

შაშაშვიტის საუბრები
 დიონის ფაქტობრივ ჩვენს ცხოვრებაში
 ბვ. 4



წოდან აღმსახიბადი აბხიონი (ხადიანი)
 აფხაზეთში ქაითვერთა გახელების პოლიტიკის წინააღმდეგ
 ბვ. 9



მანამდინ და
 ახადბახილობა
 ბვ. 14

წოდან იონან ოქიონიონის
 სწავდაბა მახივინათვის
 ბვ. 13

ბანხილვა



სახელოდ იეფიქმა - დადებითი და უახელოდითი მხაიეები
 ბვ. 17



იხიო თიბიანთვილი
 მე წავად, მაგამ სამუდამოდ თქვენთან დავიჩები
 ბვ. 25

იხ ბელი ანვანი
 მათიანთვილიანის ბალს?
 ბვ. 26



თიბიანთ-მანი

ბვ. 34



ახადბახილათი შამოქმადება
 გაზაფხული ეს ჩემი ფიქია
 ბვ. 40



ეფელის 120-ე
 დაბადების დღე
 ბვ. 46



სოფლის მეურნეობის
 სინხიანი
 ბვ. 50

სპოხი
 იემინეთი უკან დაიჩა,
 წინ იესეთია
 ბვ. 55



სარჩევი

შემეცნებითი საუბრები

დროის ფაქტორი ჩვენს ცხოვრებაში ----- 4

მაუწყებელთა ძველის კოდექსი

ზნეობრივი განუითხოება მედია-სივრცეში
კანონის ძალას ღებულობს! ----- 7

ეკლესიის ისტორია

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე ---- 8

აფხაზეთში ქართველთა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ ----- 9

ქაღაპება

წმიდა იოანე ოქროპირის სწავლება მარხვისათვის ----- 13

პრობლემა

მასმედია და ახალგაზრდობა ----- 14

ერთად ვიმსჯელოთ

სასკოლო რეფორმა - დადებითი და უარყოფითი მხარეები ----- 17

ახალი პროგრამა - „უსაფრთხო სკოლა“ ----- 19

გზა ხსენისა

გზა უფლისაჲსაჲს ----- 22

რჩევები მშობლებს

ღირსეულ შვილთა აღსაზრდელად ----- 23

არღვევითება

მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები ----- 25

ბაღი

რა ბედი ეწვევა მამულაშვილების ბაღს? ----- 27

სარჩევი

მსოფლიო ეკლესიის ისტორია

II მსოფლიო საეკლესიო კრება ----- 30

მონასტარი

„მხოლოდ ამ სამყაროში მიხაროდა“ ----- 31

SOS!! თამბაქომანია

ნუ მოსწევთ! ----- 34

ტრადიცია

აკვნის პოეზია ----- 37

ახალგაზრდათა უამოქმედება

გაზაფხული ეს ჩემი ფიქრია ----- 40

„გზავრის წერილები“

მსოფლიოს „უკანასკნელი“ საოცრება ----- 42

მონატრება

13 წელი იმ 8 მარტიდან და
წერილი გოგი დოლიძის სახლიდან... ----- 44

ეიფელის კოშკი

„ეიფელის“ 120-ე დაბადების დღე ----- 46

დიდი მუსიკოსები

ეპიზოდები დიდი მუსიკოსების ცხოვრებიდან ----- 48

სოფლის მეურნეობა

მეფრინველეობა და მისი განვითარება საქართველოში -- 50

საორბი

რუმინეთი უკან დარჩა, წინ რუსეთია... ----- 55

უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

დროის ფაქტორი ჩვენს ცხოვრებაში

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში განახლდა ყოველდღიური შემეცნებითი საუბრები, რომლებიც იმართება ყოველდღე 15.00 საათზე. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გამოთქვა სურვილი, რომ კვირაში ერთხელ, ყოველ სამშაბათს, თავად მობრძანდეს ახალგაზრ-

- ✦ ძლიან კარგად ვინყვით და არასდროს ვამთავრებთ...
- ✦ უნდა ვისწავლოთ დროის სწორად გამოყენება...
- ✦ ჩიხი არ არსებობს...
- ✦ შრომის შედეგი ზევრად დამოკიდებულია დროის სწორ გამოყენებაზე...
- ✦ ვინც ადრე დგება, ღმერთი აძლევს კეთილდღეობას...
- ✦ ვიჩქაროთ სიკეთის კეთება...
- ✦ ღმერთმა ჩვენს რომ ყველანი ყვავილები ვყოთ...



დულ ცენტრში და შეხვდეს ახალგაზრდებს. მან აღნიშნა, რომ ამ შეხვედრებს ექნება არა სალექციო, არამედ საუბრების სახე ამა თუ იმ პრობლემაზე.

„დროის ფაქტორი ჩვენს ცხოვრებაში. რას ნიშნავს დროის ფასი? როგორ წარმოგვიდგენია დრო? ვეტყვი თუ არა დროში? ვაფასებთ თუ არა მას?“ — ასე დაიწყო უწმიდესმა თავისი საუბარი. მან აღნიშნა, რომ ყოველ ერს ახასიათებს რაღაც თვისებები, მათ შორის

ჩვენც: „გზიდან შორს მთელს სპექტრს საკითხებისა და ის კი არ ვიცით, როგორ დავინწყოთ, პირველი ნაბიჯები როგორ გადავდგათ“.

„გლობალური ხედვა ახასიათებს დიდ ადამიანებს, მაგალითად, ევროპაში ჩერჩილი იყო ასეთი. იგი ხედავდა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს და იმ პრობლემებს, რომლებიც იდგა მსოფლიოს წინაშე. ასეთები იყვნენ, აგრეთვე, შარლ დე გოლი, ადენაუერი, სტალინი... მაგრამ მათ ახასი-



ათებდათ ისიც, რომ იცოდნენ, პირველი ნაბიჯები როგორ გადაედგათ“.

უწმიდესმა ასევე ყურადღება გაამახვილა, ქართველებისთვის დამახასიათებელ ისეთ თვისებაზეც, როგორიც არის კარგად დანყებული საქმის დაუმთავრებლობა. „რატომ გვემართება ასე? ეს ალბათ გენებშია. ჩვენი წინაპრების გენებშიც იყო ეს, ჩვენშიც არის“.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ ჩვენ გვახასიათებს დროის გამოუყენებლობა. ამასთან დაკავშირებით გაიხსენა თავისი სტუდენტობის წლები, როცა მოსკოვის სემინარია-აკადემიაში სწავლობდა. მაშინ რუსეთის პატრიარქი ალექსი I-მ, საოცარი ადამიანი ყოფი-

ლა, არასდროს არსად იგვიანებდა. თუ ალექსი I-ს ადრე მოუწევდა რეზიდენციიდან მანქანით გამოსვლა, მაშინ მისი უწმიდესობის კორტეჟი გზაში ჩერდებოდა და ზუსტ დროს მიბრძანდებოდა საპატრიარქო ტაძარში“.

„ჩვენ გვყავდა ერთი პროფესორი, რექტორის მოადგილე. ის გვეუბნებოდა ერთი საათი შუალამემდე ძილისა, უდრის ორ საათს შუალამის

შემდეგ. აი, რაოდენ სასარგებლოა შუალამემდე ძილი“.

უწმიდესმა ბრძანა: „კედელი თუ შეგხვდა, შემოუარე, გვერდი აუარე და განაგრძე გზა, ჩიხი არ არსებობს“, — ამ სიტყვებით მან გვიჩვენა გზა, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ პრობლემებს.

ასევე ისაუბრა, რომ აუცილებელია ვაკეთოთ კეთილი საქმე, მაგალითად ვინახულოთ სანოლს მიჯაჭვული ავადმყოფები ან მარტოხელა მოხუცები და მცირედით მაინც დავეხმაროთ მათ.

„მე მახსენდება დედის დარიგებები, ჩვენ დაგვსვამდა და გვეუბნებოდა შეილებაო სიღარიბეს არ შეეგუოთ, სიღარიბემ შეჩვევა იცისო. ჩემს ბავშვობაში ვინ იფიქრებდა უცხოეთში წასვლაზე, ის კი გვარიგებდა: — რაც უნდა გაგიჭირდეს შენს ქვეყანაში, არ წახვიდე საცხოვრებლად უცხოეთში, შენს ქვეყანაში უნდა ზიდო ის ტვირთი რაც ღმერთმა არგუნა შენს ერს“.

საუბარში უწმიდესმა ასხენა ჩინური გამოთქმა: „მშვიერს თუ აჭმევ თევზს, იგი დანაყრდება, მაგრამ თუ

თევზის ჭერას ასწავლი, მთელი სიცოცხლე დანაყრებული იქნება. ადამიანებს თევზის ჭერა უნდა ვასწავლოთ. დავსაუქმოთ, რომ მარტო სხვისი დახმარებით არ ცხოვრობდნენ“.





უნმიდესი დაინტერესდა ახალგაზრდების აზრით, ამ თემებთან დაკავშირებით და კითხვებით მიმართა მათ. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებში, და არამარტო მათში, დროის განაწილებისა და დაგვიანების პრობლემა აქტუალურია და ამის მოგვარება არც თუ ისე ადვილია, თუმცა დაპირდნენ, რომ ეცდებოდნენ ამ ხარვეზის გამოსწორებას. უნეტარესი შრომასაც შეეხო და თქვა, რომ: „ჩვენი შრომა, შრომის შედეგი, ბევრად დამოკიდებულია დროის სწორად გამოყენებაზე“. გაიხსენა გამონათქვამი: „ვინც ადრე დგება, ღმერთი აძლევს კეთილდღეობას. ამიტომ ჩვენც უნდა ვიჩქაროთ. ვიჩქაროთ სიკეთის კეთება“. უნმიდესმა გვიჩვენა დაგვიანება ჩვენი ყოველი დღე, კვირა, თვე, წელი...

„მე ვკითხულობდი იაპონურ ლექსებს, თარგმნილს ქართულად, ახლა ზეპირად არ მახსენდება, მახსოვს მხოლოდ შინაარსი: „მოვიდა გაზაფხული და აყვავდა ალუბალი, მაგრამ მოვიდა თოვლი და მე ველარ ვარჩევ, სად არის თოვლი და სად არის ყვავილი. ეს ადამიანებზეა ლაპარაკი. ღმერთმა ინებოს, რომ ყველანი ყვავილები ვიყოთ“, — ბრძანა უნმიდესმა.

ბოლოს მან ყურადღება გაამახვილა შვიდგზის ლოცვებზე, მოგვინოდა ამ ლოცვების გაძლიერებისკენ და გვითხრა, რომ იდეა შვიდი ლოცვისა წარმოიშვა ეგვიპტეში სტუმრობისას: „მინვეული ვიყავი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის მიერ ალექსანდრიაში, როცა აივანზე გამოვდიოდი, ვხედავდი მუსლიმანები როგორ ასრულებდნენ ხუთ ლოცვას და ვიფიქრე, ნუთუ ჩვენ არ გვქონდა რაიმე ისეთი ლოცვა, რომელიც ითქმებოდა დღეში რამდენჯერმე. დავინწყე ძიება ბიბლიაში და ვიპოვე 118-ე ფსალმუნში: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ უფალო“.

საუბრის დროს ახალგაზრდები აქტიურად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს. მათ უნმიდესის სიტყვები ლოცვა-კურთხევად მიიღეს და პირობაც დადეს, მეტი ყურადღებით მოეპყრან საკუთარ დროს.

მოამზადეს
ნონა სხირტლაძე და
ნათია გოგუაძე

ზნეობრივი განუკითხაობა მედია-სივრცეში კანონის ქალას დაბუღოვს !?



4 წელი დასჭირ-
და მედიასივრცეში
სრული ზნეობრივი
განუკითხაობის და-
კანონებას. საქართველოს
მოსახლეობის დიდი უმრავ-
ლესობის ინტერესების უგ-
ულუბელყოფით, მიმდინარე
წლის 12 მარტს „კომუნიკა-
ციების ეროვნულმა კომისიამ“

მიიღო „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საბ-
ოლო ვარიანტი, რომელიც მიმართულია
ზნეობრივი ფასეულობების და სახელმწი-
ფოებრივი აზროვნების ნგრევისკენ.

კოდექსის მრავალჯერადი რედაქტირებ-
ისას არ იქნა გათვალისწინებული არც
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესი-
ის წმინდა სინოდის, არც სახალხო დამცვე-
ლის, არც მრავალი სოლიდური ორგა-
ნიზაციის (არასამთავრობო და სტუდენტთა
თვითმმართველობების) მიერ დასაბუთებუ-
ლი არც ერთი მოთხოვნა-
რეკომენდაცია.

„წყალგამყოფი“ ზღვარი
(დრო, როდემდეც სატელე-
ვიზიო პროგრამებს არას-
რულწლოვანები ძირითა-
დად უყურებენ) დაწესდა
20 საათამდე. გაზიარებუ-
ლი არ იქნა არც უცხოეთ-
ის მაგალითი, მრავალ ქვე-
ყანაში ეს ზღვარი 23.00
საათია. ძალაში დარჩა ასე-
ვე დღის ნებისმიერ
მონაკვეთში სექსუალური
სცენებისა და ძალადობის
ამსახველი (ახლო ხედით) 15-

წამიანი კადრების ჩვენება.

ამასთან, კოდექსი უხვად შეიცავს ბუნდო-
ვან კონტექსტსა და ორმაგ სტანდარტებს,
რომლებიც ერთი მხრივ კრძალავენ უზნეობას,
მეორე მხრივ კი სხვადასხვა მოტივაციით (მათ
შორის „შემეცნებით-საგანმანათლებლო“
მიზნით. მ. 45. 1; „საზოგადოებრივი ინტერ-
ესის არსებობისას“ მ. 39. 2) ამგვარ პრო-
გრამებს დასაშვებად მიიჩნევენ.

დოკუმენტი უარესობისაკენ შეიცვალა
მთელ რიგ საკითხებში. მაგალითად, ახალი
კოდექსით ტერმინი „უხამსობა“ მხოლოდ
ბილწისიტყვაობას მოიცავს; ნებადართულია
პორნოგრაფიის გავრცელება კაბელურსა და
კოდირებულ არხებზე, მაშინ, როდესაც
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-
სი ამგვარ ქმედებას დანაშაულად მიიჩნევს.

მიღებული დოკუმენტი ეწინააღმდეგება
საქართველოს კონსტიტუციას და ხელს უშ-
ლის ქვეყნის წინსვლას. მისი ამოქმედებით
ძირი ეთხრება ისეთ უმთავრეს საყრდენებს,

როგორებიცაა მომავალი
თაობა და ოჯახი. იგი წინ
ელობება ჩვენი საზოგადოე-
ბის სწრაფვას ტრადიცი-
ული, მაღალზნეობრივი და
სულიერი ღირებულებებ-
ის აღდგენისაკენ. „თავისუ-
ფლების“ ნილბით მო-
წოდებული უხამსობის,
ძალადობისა და ფსიქო-
პათოლოგიურ გადახრათა
პროპაგანდისტული ნიაღ-
ვარი საფრთხეში აგდებს
საქართველოს სახელმწი-
ფოებრიობასა და ქართვე-
ლი ერის მომავალს.



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

(1917 წელი 12 (25) მარტი)

XIX

საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიამ ჯერ ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს ანექსია მოახდინა, ხოლო შემდეგ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და რუსეთის წმინდა სინოდს დაუქვემდებარა, თბილისში კი ეგზარქოსი დანიშნა ქართული ეკლესიის სამართავად. რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია საეკლესიო კანონმდებლობა (ავტოკეფალიის გაუქმება მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებას ხელწიფება. კონკრეტულად, დაირღვა III მსოფლიო კრების მე-8 და IV მსოფლიო კრების 39-ე კანონები).

1917 წლამდე ქართული ეკლესია ტყვეობაში იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსული სინოდური ეკლესია, იმპერიული მანქანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, „ქართველი ხალხის გარუსებას“ ცდილობდა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული სამღვდელოების ნაწილმა დაიწყო ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

XX საუკუნის დასაწყისში ხშირად იმართებოდა საგნაგებო სხდომები ამ საკითხთან დაკავშირებით. 1906 წელს ეს საკითხი რუსეთის საეკლესიო კრებაზე განიხილეს, მაგრამ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ცდილობდა, არ დაეშვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. მათი თქმით, ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მიცემა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავდა.

რუსეთის ხელისუფლებამ ავტოკეფალიისთვის აქტიურად მებრძოლი სასულიერო პირების დევნა-შევიწროება დაიწყო. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მოთავე — ეპისკოპოსი კირიონი რუსეთში გადაასახლეს. დევნა განიცადა, აგრეთვე, ქართული ეკლესიის თავისუფლებისთვის მებრძოლმა ქართველმა ინტელიგენციმაც იბრძოდა.

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი დიდი

ცვლილებებით ისარგებლა ქართველმა საზოგადოებამ და 12 (25) მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო: „ამიერიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია...“ კათალიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ დროებით გურია-ოდის ეპისკოპოსი ლეონიდე დაინიშნა. საქართველოს ეკლესიის მმართველობა აღმასრულებელ კომიტეტს დაევა, რომელშიც როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები შედიოდნენ. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას, გადასახლებაში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი, ასე მიესალმა: „გილოცავთ ავტოკეფალიას, ხუნდები აესხნა ივერიის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სინამდისი, მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი. იგი ტანჯვის ცრემლს ჰღვრიდა, ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას“.

საბოლოოდ, დიდი რუდუნებისა და გაუთავებელი ბრძოლის შედეგად ქართული სამღვდელოებისა და ინტელიგენციის ნაწილმა ქართულ ეკლესიას თვითმყოფადობა დაუბრუნა. ამ დიდ ეროვნულ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით, აგრეთვე, ეპისკოპოს ლეონიდეს (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი 1918-1921 წ.), ეპისკოპოს ანტონს (გიორგაძე), ეპისკოპოს პიროსს (ოქროპირიძე), არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი 1921-1927 წ.), არქიმანდრიტ ნაზარს (ლეჟავა, შემდგომში ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს), დეკანოზ კალისტრატეს (ცინცაძე, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი 1932-1952 წ.), ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, კორნელი კეკელიძეს, ნიკო მარს, ალექსანდრე ცაგარელს, ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვილს და მრავალ სხვა გულმხურვალე მამულიშვილს.

როლანდ სანადირაშვილი

წმიდა ალექსანდრე აფხაზი (სანაია)

აფხაზეთში ქართულთა გაჩენის პოლიტიკის წინააღმდეგ

რუსეთში იძულებით გადასახლებული არქიმანდრიტი ამბროსი 1910 წ. 4 თებერვლიდან 1917 წ. ივნისის ბოლომდე ნოვგოროდის ეპარქიის ქ. სტარაია რუსას მაცხოვრის ფერისცვალების პირველი კლასის მონასტრის წინამძღვრად მსახურობდა და შეთავსებით ეპარქიის მონასტრების ბლალაოჩინის მოვალეობასაც ასრულებდა. სამშობლოდან ასე შორს ყოფნის მიუხედავად, მისი ფიქრები და ძალისხმევა მთლიანად საქართველოსკენ, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისკენ, მშობლიური აფხაზეთისკენ იყო მიმართული. ამის დასტურია 1912—1917 წწ. გამოქვეყნებული სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილების მთელი სერია, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე უცნობია ქართული საზოგადოებისთვის. მკითხველს ვთავაზობთ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში 1916 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) და 23 ნოემბერს (6 დეკემბერს) გამოქვეყნებულ და ჩვენს მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ ორ წერილს „ყოვლადსამღვდელო სერგის პასუხად“ და „სოხუმის ეპარქიიდან“.

არქიმანდრიტი ამბროსი პირველ წერილს ხელს აწერს ერთ-ერთი თავისი ფსევდონიმით — „კორენბედიელი“. ეს ფსევდონიმი (ისევე როგორც „სამურზაყანოელი“) მან აირჩია როგორც აფხაზეთის მკვიდრმა, ილორში გაზრდილმა. ამბროსი ხელაია, როგორც მკვლევარი, თვლიდა, რომ „კორენბედი“ ილორის ძველი სახელწოდებაა.

წერილის ადრესატი ანტიქართული, რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი სოხუმის ეპიკოპოსი სერგი გახლავთ. 1916 წ. 13 (26) ოქტომბერს გაზეთ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში №205 მან გამოაქვეყნა „წერილი რედაქციაში, რომელშიც უარყოფდა იმავე გაზეთში ქართული ეკლესიის დასაცავად დაბეჭდილ ნ. დურნოვოს წერილის („ისევე ქართული ეკლესიის შესახებ“) იმ დებულებებს, რომლებიც აფხაზეთში არსებულ ვითარებას ასახავდნენ. არქიმანდრიტი ამბროსი იმდენად აღაშფოთა ეპიკოპოსი სერგი წერილმა, რომ გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ 1916 წ. 23 ნოემბერს (6 დეკემბერი), კიდევ ერთხელ, გამოეხმაურა მას, მეორე წერილით — „სოხუმის ეპარქიიდან“, ამჯერად უკვე „სამურზაყანოელი“-ს ფსევდონიმით.



ყოვლადსამღვდელო სერგის პასუხად

„პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში (№205) მოთავსებულია სტატია, რომელშიც ყოვლადსამღვდელო ავტორი ამბობს: „რუსებს არაერთხელ გამოუხატავთ აღშფოთება და წუხილი იმის თაობაზე, რომ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში ხშირად აქვეყნებენ ისეთ წერილებს, როგორიცაა დურნოვოს „კვლავ ქართული ეკლესიის შესახებ“. მას წერენ სიცრუეს, ის კი ენდობა თავის კორესპონდენტებს“.

ასეთი ვითარების გამო, საჭიროდ მიგვაჩნია ითქვას, რომ აუცილებელია ყოვლადსამღვდელო სერგის სტატიას დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ. საკუთარი თანამშრომლები ყოვლადსამღვდელოს, როგორც ჩანს, აშკარად ცრუ მონაცემებს აწვდიან, ის კი მრევლის ენის არცოდნის გამო იძულებულია დაუჯეროს მათ ცნობებს. ამიტომ შევიტანთ ზოგიერთ შესწორებას ყოვლადსამღვდელოს მტკიცებაში, რათა საპირისპირო მხრიდან, არ მივცეთ საბაბი ამ არასწორ მონაცემებზე მითითების სურვილის არქონაში დადანაშაულებისათვის. ამას მოითხოვს სამართლიანობა და ჭეშ-

მარიტებისკენ სწრაფვა.

ავტორი ამბობს, რომ „ილორის ეკლესიის მრევლმა მიმართა“ მას „თხოვნით მათთან აფხაზი მღვდლის დანიშვნის შესახებ, ვინაიდან აფხაზებს, ილორის ეკლესიის მრევლს, არ ესმის ქართული ენა“ (ხაზგასმა ჩვენი). უფლება არ გვაქვს ყოვლადსამღვდელო ავტორს უზუსტობა დავსწამოთ.

პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეკისრებათ მის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სურთ ყოვლადსამღვდელო არ იყოს გათვითცნობიერებული ეპარქიაში ნამდვილად არსებული მდგომარეობის შესახ-

ებ. ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკუთარი მრევლის ენის არმცოდნე ეპისკოპოსის მდგომარეობის ტრაგიზმთან. მწყემსმთავარმა არ იცის რა ენაზე საუბრობენ მისი სულიერი შვილები! მისი მდგომარეობა შემადარწმუნებელია!.. მაგრამ მას და მის მსგავსთ რატომ არ ესმით ეს, სანამ დასთანხმდებიან ასეთ უცხოენოვან ეპარქიაში კათედრის დაკავებას, რატომ არ ეკითხებიან საკუთარ თავს: იქნებთან კი სასარგებლო ასეთი მრევლისთვის? ხომ არ იქნებიან უცხოენოვანი ცხოვარნი „სხვისი ცხვრები“? გაიგებენ და მოისმენენ მის ხმას? ხომ არ არის ჭეშმარიტება მაცხოვრის სიტყვები, რომ ცხვრები გარბიან ასეთი მწყემსისგან, რადგანაც „უცხოთა ხმას არ იცნობენ“ (იოანე, 10). დაბოლოს, ყოვლადსამღვდელო ეკითხა იმავე მღვდელ მ. გვაზავასთვის¹. თუ მას, მღვდელ გვაზავას, არ შეეძლო საკუთარი თავის წინააღმდეგ მოწმედ გამოსულიყო და ეთქვა, რომ მის სამრევლოში აღსარებისა და წმინდა ზიარების გარეშე აღესრულებიან, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ილორელებზე შეძლებდა სიმართლის თქმას. მას შეეძლო წერილობით ეცნობებინა თავისი მეუფისთვის, რომ ილორში ერთი ოჯახიც არ არის, სადაც აფხაზურ ენაზე საუბრობენ. შესაბამისად, თუ ადგილი ჰქონდა ისეთ უცნაურობას, რომ ყოვლადსამღვდელოსთან შემოვიდა ილორელების თხოვნა აფხაზურ ენაზე, სწორედ აფხაზურ ენაზე მოსაუბრე აფხაზ მღვდელზე, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, ეს ისეთივე სიყალბეა, როგორც ეპარქიის მოსახლეობის სახელით შუამდგომლობის აღძვრა საეგზარქოსოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ². ვისაც შეეძლო ეთქვა, რომ ასეთი გამოყოფა არის მთელი ხალხის სურვილი, ის თამამად იტყოდა ისეთ აბსურდს და აშკარა სიცრუეს, რომ ილორელები აფხაზურ ენაზე მეტყველებენ, და მოტყუებით აიძულებდა ზემოთნახსენები თხოვნის წარდგენას, ასეთი პირები მომავალში დაარწმუნებენ მეუფეს, რომ სოხუმის ეპარქიაში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, რომ მთელს მოსახლეობას კარგად ესმის რუსული და შესანიშნავად იმოძღვრება მისი მწყემსმთავრული სიტყვებით.

მეორეც, ყოვლადსამღვდელო ახსენებს მთელს საქართველოში ძლიერ სათაყვანო ილორის სინშინდის რუსულ მონასტრად გადაკეთების განზრახვას. საკითხის ისტორია ცნობილია. ამაზე საკმარისად დაინერა (იხ. „სოტრუდნიკ ზაკავკასკოი მისიი“, 1912, №№ 10, 13 და „ზაკავკაზიე“, 1913, №№ 82, 83, 270-272, 274-276)³, ამიტომ გამეორების აუცილებლობა არ არსებობს. ამბობენ, საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, მაგრამ დაე სოხუმელ „საქმოსნებს“ იმედი ნუ ექნებათ, რომ ქართველებში (ვგულისხმობთ სამურზაყანოელებ-

საც აფხაზებთან ერთად) გაღვიძებულმა ეროვნულ—რელიგიურმა თვითშეგნებამ დაუთმო მათ ამ საკითხში.

შემდეგ, როგორც ავტორი გვარწმუნებს, ირკვევა, რომ ქართველები დადიან საკათედრო ტაძარში და თავიანთ უცხოენოვან მწყემსმთავართან კურთხევის მისაღებადაც კი მიდიან. ქება და დიდება ქართულ დიდ მოთმინებას! იყო და არის ყველა პირობა იმისთვის, რომ ზურგი შეაქციონ სოხუმის ტაძარს, სადაც არა მხოლოდ არ ჩატარებულა ღვთისმსახურება მათთვის გასაგებ ენაზე, არამედ, როგორც პრესა იტყობინებოდა, ბრწყინვალე აღდგომის დღესაც კი ქართულ ენაზე ბიბლიის წაკითხვის ნებას არ აძლევდნენ, თუმცა ის იკითხებოდა ბერძნულ და მკვდარ ლათინურ ენებზე⁴. სასიხარულოა, რომ ქართველებს კიდევ ახსოვთ მამა-პაპათა სარწმუნოება და შემორჩათ სწრაფვა ღვთისმსახურებაზე დასწრებისკენ. მაგრამ შეუძლია კი ყოვლადსამღვდელოს ეს ჩათვალოს საკუთარ დამსახურებად? უცდია კი მას იმათ გამო ესწავლა ღვთისმსახურება ქართულად, თუ ძალუძს, დამოძღვროს ისინი მათ მშობლიურ ენაზე? ტაძარში დადის ათობით ქართველი, მაგრამ ათასები ღვთისმსახურებისა და რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე რჩებიან. თუ იფიქრა მეუფემ, მიიღოს ზომები, რათა ეს უკანასკნელები რელიგიურად არ გავლურდნენ. მეუფეს შენუხებას არ ვაკადრებ, მაგრამ სასურველი იქნებოდა ყველა ამ კითხვაზე პასუხის მიღება. მტკიცება, რომ ტაძარში არის ქართველი მღვდელი, რომ ის ასრულებს საეკლესიო წესებს, რომ წმინდა საიდუმლოს მიღების გარეშე ადამიანები არ გარდაიცვლებოდნენ, რომ ამის შესახებ მეუფესთან განცხადებები არ შემოდის, ვერაფერს გვიმტკიცებს. ერთი საეკლესიო წესის შესრულებით შემოფარგვლა არ შეიძლება. მორწმუნეთათვის საჭიროა ტაძრები, ღვთისმსახურება, მათთვის გასაგებ ენაზე დამრიგებლური ქადაგებები. სხვანაირად მორწმუნეები იქამდე მივლენ, რომ ვერ იგრძნობენ აღსარებისა და სიკვდილის წინ წმ. საიდუმლოს მიღების აუცილებლობასაც კი. შესაბამისად, ამის თაობაზე საჩივრები და განცხადებები არ შემოვა და ფორმალურად ყველაფერი რიგზე იქნება. ამით თვითდამშვიდება სახიფათო!

არის სოხუმში სასაფლაოს ეკლესია, სადაც წარმოშობით ბერძენი დეკანოზი ივანოვი⁵ მსახურობს. არ ვიცით, ასრულებს თუ არა ის ღვთისმსახურებას ბერძნულ ენაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ სოხუმის კათედრაზე რუსი მღვდელმთავრების გამოჩენამდე ეს იყო ქალაქის ქართული მოსახლეობისათვის განკუთვნილი სამრევლო ეკლესია. ის აშენებულია 60-იან წლებში მარადსახსოვარი სოხუმის ეპიკოპო-

სის — ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მიერ⁶ საკუთარი სახსრებით, იმიტომ რომ სოხუმელი ქართველები მისთვის იყვნენ „თავისი ცხვრები“ (იოანე, 10, 3). ქართველთა რელიგიური ინტერესების თავგამოდებული მსახურის და ამის გამო ხალხის საყვარელი მღვდლის ტ. სახოკიას (თედო სახოკიას მამა — ჯ. გ., დ.დ.) 1887 წ. გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, საკათედრო ტაძრის კრებულის შემოსავლების გასაზრდელად, სამრევლო დახურეს. ათი წლის წინ სასაფლაოს ეკლესიაში ისევ დაუშვეს შტატი, მაგრამ ძნელად ასახსნელია, რატომ დანიშნეს იქ მღვდლად ბერძენი და არა ქართველი. ალბათ, ამას მოითხოვდა სარწმუნოების მქადაგებელთა რუსიფიკატორული მისწრაფებები, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არანაირად არ იყო ჩადებული მასში ქართული მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების ინტერესები. ასეთი შემთხვევების გამო ქართველები ჩვეულებრივ ამბობენ, რომ „ასეთია მათი ბედი, ყველგან ისინი შეძლებულნი და დევნილნი უნდა იყვნენ, მათმა ინტერესებმა ყოველთვის უნდა იზარალონ ყოველგვარი სამართლიანობისა და ადამიანურობის აშკარად ფეხქვეშ გათელივით.“ ხომ არ გვეტყვიან, ყველასათვის საერთო სამშობლოს მუდამ ერთგული ქართველები რატომ მიჰყავთ იმ შეგნებამდე, რომ სარწმუნოებისა და ქრისტიანული სიყვარულის მქადაგებლები სიძულვილით ეპყრობიან მათ? სასარგებლოა კი ზოგადად ასეთი პოლიტიკა სარწმუნოებრივ საქმეში? დროა, როგორც ჩანს, ამაზე დაფიქრება.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტიკის დარგში მეუფე სრულებითაც არ უწევს ანგარიშს კავკასიური ენათმცოდნეობის მეცნიერების თანამედროვე დებულებებს. მისი სიტყვებით, „არასწორია მტკიცება, რომ აფხაზური და ქართული ენები მონათესავეა: მსგავსება მათ შორის ისეთივეა, როგორც რუსულსა და ინგლისურს შორის“ (ხაზგასმა ჩვენია). ავტორი „უაღრესად ზუსტია“ ქართულ და აფხაზურ ენებს შორის განსხვავების დადგენაში და, შესაბამისად, ფუჭია აკადემიკოს მარისა და აფხაზური ენის მცოდნე პ. ჭარაიას შრომა. ვერ ვიკისრებთ, რომ აზრი შევაცვლევირით ყოვლადსამღვდელოს შეცდომაზე მისი საწყისოს სასაუბრო ენასთან მიმართებაში. ეს იქნება ამაო გარჯა, ვინაიდან თანამშრომელ-„საქმოსანთა“ სიტყვა მეუფისთვის ყოველთვის იქნება უფრო დამაჯერებელი, ვიდრე ჭეშმარიტი მეცნიერების ყველაზე უცნალო მონაცემები.

ამით უნდა დამთავრებულიყო პასუხი ყოვლადსამღვდელო ავტორისადმი, მაგრამ მის წერილში მოტანილია ერთი ძალიან საინტერესო მხილება, რომელსაც შეუძლია აღძვრას სევდიანი ფიქრები ყველაში, ვისაც გული შესტ-

კივა საეკლესიო-რელიგიური თვალსაზრისით საქართველოს ამჟამინდელ სავალალო მდგომარეობაზე. საკუთარი ქართველი მრევლის ქართულ ენაზე დამოძღვრის ვალდებულების მქონე მღვდელ მ. გვაზავას შვილებმა თურმე ქართული არ იციან. გვაზავა 1897 წლიდანაა მღვდელმსახური..., და მისმა შვილებმა (ალბათ, ჭაბუკობის ასაკში არიან) მშობლიური ენა არ იციან?! თავად გვაზავასაც ხომ არ დაავინცდა ქართული ენა? ესეც შეიძლება მომხდარიყო, თუ თითქმის ოცწლიანი მღვდელმსახურობის განმავლობაში მას არ მიეცემოდა ქართულად მსახურებისა და ქადაგების საშუალება. მერე ასეთი მღვდელი ასეთი რეჟიმის პირობებში მწყემსავს ქ. სოხუმისა და მისი მიდამოების ქართულ მოსახლეობას!..

უკანასკნელი ერთდღიანი აღწერით, ქ. სოხუმის მთლიანი მოსახლეობა შეადგენს 24 072 სულს, რომელთა შორის 16 840 ქართველია. გარდა ამისა, ქალაქგარეთ ქალაქისთვის გადაცემულ მიწებზე სამი ათას სულამდე ქართველი არენდატორია. თუ ამას დაუმატებთ კერძო მფლობელობაში მყოფ მიწებზე მომუშავე არენდატორებს, აგრეთვე ქალაქში დროებით მაცხოვრებლებს, ქართველთა საერთო რაოდენობა, რომელიც საჭიროებს რელიგიურ მომსახურებას, 20 ათას სულზე ბევრად მეტი უნდა იყოს. მღვდელ გვაზავას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მისი სამწყსო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არ ჩამორჩება ბერძნული აღმოსავლური ეკლესიის ბევრ მიტროპოლიას. ერთი მღვდელი კეთილსინდისიერად როგორ მოემსახურება ასეთ სამწყსოს? თქვას თვითონ გვაზავამ, ამჟამინდელი ეპისკოპოსის დროს ან საერთოდ თუ შეუსრულებია ოდესმე ლიტურგია, სხვა საეკლესიო სამსახური თავისი მრევლის მშობლიურ ენაზე... საეპარქიო უფროსობამ ყველაფერ ამაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, მაგრამ უნდა მოეშვას პოლიტიკანობას და, ქართველთა გარუსების მიზნით, ქართული ენის დევნას, რასაც იგი, თამამად გარწმუნებთ, ვერც მიაღწევს.

კორენბედიელი
პეტროგრადსკიე ვედომოსტი, 1916,
25 ოქტომბერი
(7 ნოემბერი), №213.

სოხუმის ეპარქიდან

„პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-მ №205-ში დაბეჭდა სოხუმის ეპისკოპოსის სერგის წერილი, საიდანაც ვიკებთ, რომ ქ. სოხუმში არიან ქართველი და ბერძენი მღვდლები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის ცნობა, რისთვის არსებობენ ისინი, ვინაიდან, ეტყობა, ქართველთა და ბერძენთა

ენაზე ღვთისმსახურების შესრულება არ წარმოადგენს მათ პირდაპირ მოვალეობას. ეს ჩანს ყოვლადსამღვდელოს წერილიდან. „არიან, აგრეთვე, სოხუმში, — ნათქვამია წერილში, — ბერძნული სამღვდელოების წარმომადგენლები: დეკანოზი აბრაამ ივანოვი და მღვდელი ქრისტოფორო კოფიდისი. ბერძნები უფრო ადრეულ ლიტურგიას ესწრებიან და როცა ასეთი მსახურების რიგი სერგეი პროტოპოპოვზე მოდის, მაშინ ის ბერძნულად სწირავს“. სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი იმაზე, სწირავენ თუ არა ბერძნულად თავად ბერძნული სამღვდელოების წარმომადგენლები დეკანოზი ა. ივანოვი და მღვდელი ქრ. კოფიდისი. მაგრამ ისმის კითხვა: იმიტომ ხომ არ დასჭირდათ მამა ს. პროტოპოპოვის ბერძნული ღვთისმსახურება, რომ ბერძნული სამღვდელოების ეს წარმომადგენლები რატომღაც ამ ენაზე წირვას არ ასრულებენ? მამა კოფიდისი, ეტყობა, შტატგარეშე მღვდელია და არ ვიცით, აქვს თუ არა მას ეკლესია, სადაც მღვდელმსახურობს და სადაც ღვთისმსახურებას ჩაატარებდა; დეკანოზი ივანოვი კი ადრე სოხუმელი ქართველების კუთვნილი სამრევლო ეკლესიის — სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარია. უაზრო იქნებოდა იქ ბერძნულად წირვა, ვინაიდან ბერძნები იქ არ დადიან. იქნება შთაბეჭდილება, რომ სოხუმში არიან ბერძნული სამღვდელოების წარმომადგენლები, რომლებიც არაბერძნებისთვის არსებობენ და რომლებსაც მშობლიურ ენაზე წირვის ჩატარების საშუალება არ ეძლევათ. სოხუმელ ბერძნებს მაინც შეუძლიათ არ იყვნენ განაწყენებული საეპარქიო უფროსობაზე, რადგანაც ჰყავთ რა არა მათთვის მომსახურე საკუთარი მწყემსები, მათი მომსახურება ხდება საკათედრო ტაძრის რუსი მღვდლის მიერ. კარგი იქნებოდა ყოვლადსამღვდელოს იმის შესახებაც ეთქვა, რუსი მღვდლებიდან ვინ წირავს ტაძარში ქართულად, როცა იქ ქართველები მოდიან; ქართველები რომ დადიან საკათედრო ტაძარში, ამაში წერილიც გვარწმუნებს ან, შესაძლოა, ტაძრის მღვდელს მ. გვაზავას ამჟამად უკვე მიეცა უფლება ალავლინოს წირვა ამ ენაზე იმათთვის, ვისი რელიგიური ინტერესების მომსახურებაც მას ევალება?

უაღრესად მადლიერები ვართ ყოვლადსამღვდელო სერგის, რომ მან საჭიროდ ჩათვალა წერილობით დაემშვიდებინა ისინი, ვისაც აქვს უნარი იყოს შემოფოთებული სოხუმელი არარუსების, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის ორი მესამედის შემცველი ქართველების რელიგიური ინტერესების მომსახურების სავალალო მდგომარეობით. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა უფრო გარკვევით ითქვას — თუ ბერძნულ ენას ისმენენ საკათედრო ტაძარში და ბერძნები, მღვდელ პროტოპოპოვის თავაზიანობით, შეიძლება დამშვიდებული და

კმაყოფილები იყვნენ, მაშინ არანაირად არ შეიძლება იგივეს თქმა ქართული ენისა და ქართველების მიმართ, ვინაიდან ყოვლადსამღვდელომ საეჭვოა განაცხადოს, რომ რუსი მღვდლებიდან ვინმე ასრულებს იქ ღვთისმსახურებას ქართველებისათვის მათ ენაზე. მაგრამ საჭირო იყო ამ უკანასკნელთა დამშვიდებაც.

სამურზაყანოელი
 პეტროგადსკიე ვედომოსტი, 1916, 23
 ნოემბერი (6 დეკემბერი), №233.

კომენტარები

1. მიხეილ გვაზავა — სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელი. მხარს უჭერდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. 20-იან წლებში დეკანოზის ხარისხით სოხუმის საკათედრო ტაძრის საბჭოს თავმჯდომარედ მსახურობდა.

2. უწმინდესი სინოდის 1916 წ. 29 თებერვალ — 1 მარტის განჩინებით (№ 1463) და პეტერბურგის მიტროპოლიტ პიტირიმის (საქართველოს ეგზარქოსი 1914 წ. 26 ივნისიდან 1915 წ. 23 ნოემბრამდე) თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელიც რუსეთში ეპარქიების რაოდენობის გაზრდისა და მათ შორის ახალი საზღვრების დადგენის საკითხებს იხილავდა.

3. იხ. არქ. ამბროსის მიერ „ამბერის“ ფსევდონიმით 1913 წ. გამოქვეყნებული წერილები: „სასურველია თუ არა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება და „ილორის ტაძრის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების შესახებ“ (წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 492—547).

4. სოხუმის ეპიკოპოს არსენის (1895 წ. 2 თებერვალი — 1905 წ. 26 მარტი) განკარგულებით სოხუმის საკათედრო ტაძარში აღდგომის დღეს ქართულ ენაზე სახარების წაკითხვა აეკრძალა იმ პერიოდში ტაძრის კანდელაკს მამა ბესარიონ ხელაიას. ამის შესახებ საზოგადოებას თედო სახოკიამ ამცნო.

5. აბრაამ ივანოვი XIX ს. 90-იანი წლებიდან მსახურობდა სოხუმის ეპარქიაში, წლების მანძილზე იყო ბლაღოჩინი მღვდელი (თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონებისა). საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეუერთდა ე.წ. განმახლებლებს და 1923 წლიდან გახდა მათი ეპისკოპოსი აფხაზეთში.

6. აფხაზეთის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სასაფლაოს ეკლესია 1867 წ. აღადგინა.

7. ს. პროტოპოპოვი — 1905 წლიდან სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი;

ჯემალ ბამახარია,
 დინარა ღარსალია



შენი. რას გარგებს მარხვა, თუკი გლახაკი და მშვიერი ნახე და არ შეინწყალე? არ იცი განა, რა შეემთხვათ იმ ქალწულთ, დღენიადაგ მარხვითა და ღოცვით რომ განიწმიდნეს გვაგნი თვისნი? რადგან არ შეინწყალეს გლახაკნი, მათთვისაც ჩაირაზა კარი ნყალობისა. ამიტომ თქვა ღმერთმა: მარხვისას გლახაკს უწილადე საზრდელი შენი, რათა მან ჭამოს, დანაყრდეს და დაგლოცოს შენ. და თუ შეინწყალე გლახაკი, შენიც შეისმინოს უფალმან და

ქადაგება

ვას გონება, რომ უჯეროდ გვაგმეცხველოს, ქცევითა და ხედვით ეშმაკეულს მიგვამსგავსოს... და სამარცხვინო და სასაცილო რომ არ იყოს ყველა ჩვენი საქციელი იმ დროს.

ფრიად პატიოსან არს, მარხვა, რადგან იგი ანგელოსს მიახლოებს კაცს. მარხვამ განწმინდა და უბინოება მიანიჭა წმინდანთ. მარხვამ აიყვანა კეთილისმოქმედი ზეცად. მაგრამ მხ-

წმინდა იოანე ოქრობირის სწავლება მარხვისთვის

მარხვისას, შენ, ჰოი, კაცო, თუ განიმზადო საზრდელი დღისა, მისი ნაწილი გლახაკთ უწილადე და ისე იმარხულე, რომ გლახაკიც დააპურო და შეინწყალო იმავ საზრდელით, შენ რომ იკვებები. თუ გლახაკი არ შეინწყალე და ისე ილოცე და იმარხულე, შენაც გენიოს სიტყვები, უფალმა რომ უთხრა ისაია წინასწარმეტყველს: „უკეთუ ძაძაი შეიმოსო და ნაცარი დაიფარო და განჰკაფო გუამი შენი მარხვისა სიმრავლითა და გლახაკი არ შეინწყალო, არა შეინირავს ღოცვასა შენსა და მარხვასა“.

თუკი გაუწოდო პური მშვიერს, უცხო შენს ჭერქვეშ შეიყვანო და უკეთურება შენი ალაგმო შენგან, მაშინ შეგიწყნაროს უფალმან და შეინიროს ღოცვა

შეგიწყალოს.

მონაზონთ კი, რომელთაც დაუტევეს უფლისათვის სოფელი, არარა აქვთ ნივთიერი, გამხმარა გვაგი მათი მარხვით და ღოცვა მათი წმიდა არს და უბინო.

სხვებს, თუკი ისინი მარხულობენ და თავისი საზრდელით აპურებენ მშვიერთ და გლახაკთ, ამ ნყალობისათვის შენირავს ღმერთი მარხვასა მათსა.

არა გსმენია, რა სიკეთეები ელით მმარხველთა? და არ შეგგფერის უძღებება საზრდელში „უზომობა სასამელში, რათა არ დაგვარგოთ თავი, არ აგვერიოს ფეხი, არ ჩაგვინითლდეს თვალნი, არ დაბორძიკდეს ენა და სვლა ჩვენი რომ არ ემსგავსოს ბარბაცს მთვრალისას; და ისე არ წაგვერთ-

ოლოდ საქმელისა და სასამელის მარხვას როდი ვამბობ, არამედ დაიცევ თავი შენი ყოვლისაგან ბოროტისა, რომელიც სძულს უფალს და ჰქმენ სათნოებანი, რომლებიც უყვარს მას. ღოცვა და მარხვა, მღვიძარება და განკითხვა გლახაკთა, სინმიდე და ძვირუხსენებლობა, სიყვარული და სიმდაბლე, მოთმინება და სულგრძელობა, ამათი შეძენა გვიბრძანა უფალმა; და ოდეს დავნერგავთ ამ საქმეებს ჩვენში, მაშინ შეინიროს ღოცვა და მარხვა ჩვენი და ღირს გვყოს თავის სასუფეველსა, რათა ვადიდებდეთ მის წმიდა სახელს, რომლისა არს დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

მოამზადა
სალომე ზადრიშვილმა

მსხვერპლია



მასმედიაში არსებული მდგომარეობა რომ საგანგაშოა, ამას თანდათან ყველა ნათლად ხედავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბავშვებში, მოზარდებსა თუ ახალგაზრდებში მიზანმიმართულად ამკვიდრებენ უზნეობას. სადღაც გაქრა ძველი, კეთილი მულტიფილმები, ბავშვობაში რომ სიხარულს გვანიჭებდნენ, ისინი ბოროტმა რობოტებმა და ძალადობამ შეცვალა. იქმნება ახალი „თოქშოუები“, თითქოსდა ახალგაზრდობის თავისუფალი აზრის გამოსახატავად, მაგრამ ამ გადაცემებში ნაკლებად არის მსჯელობა სულიერებასა და ზნეობაზე. აქ თითქმის ყველაფერი გაუკუღმართებულია. აი, ამ ღირებულებებზე ვზრდით ბავშვებს — საკუთარ მარგალიტებს ვწუნობთ და სიკეთეს სხვაგან ვეძებთ. არის კი ყველაფერი უცხოური მისაღები? ღირს უკან დავაყენოთ ჩვენი ფასეულობები და გზა გავუხსნათ ყველაფერ „ახალს“? ბრძენს უთქვამს — ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო.

რას ამკვიდრებს დღეს მასმედია, რომელსაც თანაბრად შეუძლია როგორც სასიკეთო, ისე დამანგრეველი გავლენა მოახდინოს ახალგაზრდებზე. მხატვრული ფილმებიდან და ტელესერიალებიდან ჩვენს ოჯახებში იჭრებიან დაუპატიჟებელი „სტუმრები“, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ საკუთარ უხამსი ცხოვრების წესი გვასწავლონ. გინება, უწმანური საუბარი, ძალადობა და გარყვნილება მათ მიერ წარმოჩენილია, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი, ბუნებრივი თვისებები და არა, როგორც მიუღებელი, დამღუპველი ცოდვები.

როდესაც „თოქ-შოუებში“ მიყვანილი ბავშვების აზრს ისმენ, გიჩნდება კითხვა — ნუთუ

ყველა ასე ფიქრობს, თუ ეს მხოლოდ ის ნაწილია, რომელსაც ჰგონია — „სკანდალურია, ეი კარგია“. საბედნიეროდ, არიან ახალგაზრდები, რომელთაც არ მოსწონთ არსებული ვითარდება. უსაგნო მსჯელობის ნაცვლად, ცდილობენ საქმე აკეთონ და იპოვონ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

თორნიკე ავინიკაძე:

მასმედიაში არსებული გადაცემები, სრულად არ ასახავენ ახალგაზრდობის მისწრაფებებს. მათში ახალგაზრდობის მხოლოდ ერთი კუთხეა წარმოდგენილი. მაგ: ვინ რა მუსიკას უსმენს, რა გასართობებია ქალაქში, როგორ დავამკვიდროთ ჩვენში აქამდე უცნობი დღესასწაულები. აუცილებელია, მეორე, მთავარი მხარეც აისახოს. ძალიან ბევრია ახალგაზრდა, რომელიც, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს, იღწვის, სიკეთის კეთებას ცდილობს, ზრუნავს ქვეყანაზე, მოყვასზე, დავრდომილზე, კარგ ლექსებს წერს, შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, დაკავებულია ტაძრების, ძეგლების მოვლა-პატრონობით და ა.შ ანუ ცხოვრობს სულიერი ღირებულებებით; გააზრებულად მისდევს ტრადიციებს; ცდილობს, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა და შთამომავლობას გადასცეს ის, რაც მამა-პაპისაგან მოსდეს.

მიწვეული ვიყავი „თოქშოუში“, სადაც საუბარი იყო ინტიმურ ტელეფონზე. აპელირებდნენ იმით, რომ ევროპაში ეს მიღებულია და ძალიან ნორმალურია, რეკავდნენ ადამიანები სხვადასხვა ანომალიებით, რომელთაც ყურადღებით უსმენდნენ და დეტალურად არჩევდნენ მათ პრობლემებს. ბევრჯერ ვეცადეთ აზრის გამოთქმას, მაგრამ არავინ გვაქცევდა ყურადღებას. გადაცემა რომ მთავრდებოდა, მაშინ გვკითხეს, რამეს ხომ არ დაამატებდით? რაღა უნდა დაამატო ამ დროს — ერთი სიტყვა? მთელი გადაცემა გაწერილია — წინასწარ იციან, ვინ რა უნდა თქვას.

ყველაზე დიდი პრობლემა ახალგაზრდებში — ზედაპირულობაა. თუ ზედაპირულად აზროვნებ, რასაც მოგაწვდიან ყველაფერს მიიღებ. მაგალითად, რა არის ვალენტილობა, რომელსაც თავს გვახვევენ ტელევიზიით? ტელევიზიით გვეუბნებიან, რომ სიყვარულის დღეა და ამ დღეს შეყვარებულს საჩუქარი უნდა ვუყიდოთ, სადმე დავპატიჟოთ, სწორედ ეს არის სინამდვილეში ვალენტილობის მთავარი მამოძრავებელი. ვილაცას ერის გარყვნი, ფუ-

ახალგაზრდობა

ლის კეთება უნდა. გვეუბნებიან — ტელევიზია საზოგადოების დაკვეთას ასრულებსო. ტყუილია! რა დაკვეთაზე შეიძლება ილაპარაკო, როცა არავინ იცის, ვინ იყო ვალენტინი, როგორ შეიძლება ეს იყოს ერის დაკვეთა? რაც შეეხება სიყვარულის დღეს და წერილების მიწერას, პატრიარქის კურთხევა იყო, რომ ერთმანეთი დაგველოცა, ჩვენი მანუგვეარიც კი და სიყვარული ასე გამოგვეხატა. მე მგონია, ეს უფრო არის საზოგადოებისთვის მისაღები.

ამერიკაში წარმართული რიტუალია “ჰელოვინის” აღნიშვნა. ეს უაზრობა საქართველოშიც გადმოიღეს და ისე მასშტაბურად, როგორც გასული წლის 1 ნოემბერს იყო, არასდროს აღნიშნულა. ეს ე.წ. დღესასწაული რამდენიმე არხმა გააშუქა. ჩვენ ვითხოვეთ, ჩვენი პოზიციაც დაეფიქსირებინათ. პირადად მე ვთქვი, რომ ორი თვის წინ ომი გადავიტანეთ, დავკარგეთ ტერიტორიები, ამდენი დენილი გვყავს, აქ კი ამ დროს საპატრიარქოსთან, სიონთან, სადაც არის სასულიერო აკადემია და სემინარია, სატანისტური რიტუალი მოაწყვეს. იმის მაგივრად, რომ უფალს ვევედროთ გადარჩენისათვის, ასეთ უმსგავსოებას ვაწყობთ. მათ ეს ყველაფერი ამოჭრეს და ორი სიტყვით ისე გააშუქეს, თითქოს ვიღაც შემფოთებული ადამიანი ვიყავი, რომლისგანაც ვერ გაიგებდი, რა უნდოდა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელს აქვს 14000 ლარი ხელფასი, რასაც ჩვენი მშობლები, გადასახადების სახით იხდიან. ეს კომისია რამდენიმე წელია მაუწყებელთა ქცევის კოდექსზე მუშაობს.

ამ დოკუმენტის პროექტის განხილვას ვეცადეთ, მაგრამ ყველანიარად შეგვზღუდეს, მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა ჩვენი ალტერნატიული წინადადებები და შენიშვნები. არც მოგვისმინეს და არც პასუხი გაგვცეს. კომისიის ხელმძღვანელთან ვცადეთ მოზარდებზე ტელეგადაცემების მანერა ზეგავლენაზე გვესაუბრა. მან კი სიცილით გვიპასუხა — იურისტი ხომ არა ვარ, ეს საქმე ვიცოდეთ. აი, ასეთმა ხელმძღვანელმა თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიღება. როდესაც კომისიის პირველმა პირმა არ იცის, რაზეა საუბარი, ეს ნიშნავს, რომ დაკვეთა სხვისგან მოდის. თუ როგორი უნდა იყოს მედიასივრცე, ამას „თავისუფლების ინსტიტუტი“ განსაზღვრავს.



თავითა გულბიანი:

მედიასივრცე „შოუებით“ არის გადაჯერებული. ახალგაზრდების ნაწილი მათ სიამოვნებით უყურებს და გულიანად იცინის. მიკვირს, რა მოსწონთ, ეს ხომ იუმორი არ არის.

ნათია გოგუაძე:

დღევანდელი შოუები, მართლაც, უგემოვნოა და ბილნსიტყვიერებით სავსე. საზოგადოებას აჩვენებენ ამ უგემოვნობას, პრესაშიც იგივე ხდება. ბევრი ახალგაზრდისთვის თავისუფლება იმასთან ასოცირდება, რომ პირსინგი ან სვირინგი გაიკეთოს, გამომწვევად ჩაიცვას... ხშირად იკვეთება აზრი, რომ ჩვენ ევროპელები ვართ და რას ვაკეთებთ? მათგან მაინცდამაინც ცუდი გადმოგვაქვს.

გადაცემის მიმდინარეობისას საწინააღმდეგო აზრს არავინ აქცევს ყურადღებას, თუ ვინმე ზნეობას შეეხება, დამცინავ კომენტარებს უკეთებენ ან ტაში გაისმის. აუცილებელია, დაბალანსდეს სტუმრების ორივე მხარე.

დიმიტრი გუგუნაძე:

მასმედიაში ბევრი ე.წ. ახალგაზრდული გადაცემაა. მოდაშიც შემოვიდა, რომ ასეთი პროექტები ყველა არხს ჰქონდეს. პრობლემა თვითონ ახალგაზრდებშია, იმათში, ვისთვისაც ეს გადაცემები კეთდება — ვინც მასში მონაწილეობს და უყურებს. ვფიქრობ, აქ პირსინგზეც უნდა ილაპარაკონ, როგვაც და სხვ. მხოლოდ აუცილებელია ასეთ გადაცემებში ჩაერთონ გა-

ნათლებული ადამიანები, ვისაც ჩამოყალიბებული პოზიციები გააჩნიათ. რამდენიმე გადაცემაში იყვნენ მონაწილეები, რომლებიც, ჯანსაღად აზროვნებენ, მაგრამ თავიანთი პოზიციის გამოხატვის საშუალება არ მიეცათ.

აჩიკო სულაშვილიძე:

მასმედიაში უნდა გქონდეს საშუალება დადებითი ნახო და უარყოფითიც. თუ უზნეობაზე შეიძლება გავაკეთოთ გადაცემა, რატომ არ გვაქვს უფლება ზნეობაზე ვისაუბროთ? მაგრამ, როგორც ჩანს, ამ თემას მოგება არ მოაქვს. მივდივართ ისევ სათავესთან — როგორია დაკვეთა, რომელი გადაცემაა მომგებიანი. კი მაგრამ — ვინაა დამკვეთი?

მეუფე სტეფანა:

მასმედიას ძალიან დიდი ძალა აქვს. მისი საშუალებით შეიძლება ჯანსაღი აზრი მივიდეს მაყურებელამდე. სამწუხაროდ, დღეს ყვირილი და დაპირისპირება მთავარი კრიტერიუმი გადაცემის „რეიტინგულობისა“. ვინც ნორმალურ საუბარს ცდილობს, ის ყოველთვის უმცირესობაშია. ამ შემთხვევაში შეუძლებელია რაიმე გააკეთო. დღეს უკვე ზნეობაზე საუბარი სასაცილოა და ეს არის პრობლემა! მხოლოდ საპატრიარქოს ტელევიზიით რატომ უნდა იყოს ზნეობაზე საუბარი? არსებობს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, და იგი ვინმეს ნაუკითხავს? არც ერთმა „თოქშოუმ“ არ მიიღო ეს საკითხი განსახილველ თემად. რაც არ ანეობთ, იმაზე არ საუბრობენ. როდესაც ტელეარხები უზნეობას აშუქებენ, რაც იმ უვარგისი ქცევის კოდექსითაც კი აკრძალულია, გააპროტესტებ, მაგრამ არავითარი მექანიზმი არ არსებობს, რომ რამე შეიცვალოს.

„თოქშოუებში“ არის წამყვანი, ძირითადი სტუმრები და დარბაზი (საზოგადოება). შენ მთავარი აზრის გამოთქმის საშუალება არ გეძლევა, ისე რომ არ გაგანწყვეტინონ (საერთოდ თუ მოგცეს ამის საშუალება). იმ პოზიციაში, როდესაც მხოლოდ ორი სიტყვის ჩამატების უფლება გაქვს, რა უნდა თქვა? ხომ შეიძლება ნორმალურ, ზნეობრივ ღირებულებებზე ისაუბრო და საზოგადოების გემოვნება კი არ გააუარესო, არამედ, პირიქით, მაღალი სულიერებისკენ მიმართო? ამგვარი გადაცემებით ადამიანის შინაგანი, სულიერი ღირებულებები ფაქტობრივად ითრგუნება და იგი ცხოველს ემსგავსება: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაჰყო, ჰბაძვიდა პირუტყვთა უგნურთა და მიემსგავსა მათ“ — პირდაპირ წერია ფსალმუნში. მასმედიაში თავისუფლების ლოზუნგით ადამიანის სულიერი ღირებულებების უგულვებელყოფა ხდება, ადამიანის პირუტყვის დონეზე დაყვან-

ით, ცდილობენ ცრუთავისუფლების განცდა განავითარონ. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხდება ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. საქართველოში მრავალი ღრმად და წესიერად მოაზროვნე ადამიანია, რომელთა წარმოჩენაც ბევრ დადებითს მოუტანს საზოგადოებას, თუმცა ისინი არავის ახსოვს.

პორნობიზნესი ნარკობიზნესზე უფრო ძლიერია. თან ნარკობიზნესი, ასე, თუ ისე აკრძალულია, პორნობიზნესს კი პრაქტიკულად არანაირი ზღვარი არ აქვს, დღეს მთელი მასმედია მასზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში, ადამიანის ქვენა გრძნობებზე ზემოქმედებით, დიდი ფულის შოვნას ცდილობენ. ამავე დროს, მათ მიმართ პრეტენზია არ უნდა გქონდეს, ვისაც პრეტენზია აქვს, იღვენება.


უზნეობა მასმედიაში მყარად მკვიდრდება. ეს არის პროპაგანდა, რომელიც თავისუფლების ნიღბით ზნეობის წინააღმდეგ ილაშქრებს. როცა მოზარდში პირუტყვულ ინსტინქტებს გააღვიძებ, ძალიან ძნელია ეს ყველაფერი, დიდი დოზით ჩადებული, შემდეგ, რალაც მოტივაციით, გააჩერო. „სექსუალური რევოლუცია“ სწორედ ეს არის. მაგრამ რატომ უნდა ვებრძოლოთ ქალწულობის ინსტიტუტს, რაც ნორმალურია ჩვენში? ჭეშმარიტი ღირებულებების მაგივრად შენს სულში ადგილს ფსევდოფასულობა იკავებს, რომელსაც უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებ, ვიდრე ღმერთს.

რა უნდა გავაკეთოთ? როგორ მოვიქცეთ? უნდა ვიაზროვნოთ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ყველაფერს და ვთქვათ ჩვენი სიტყვა. პოლიტიკური ხერხებით ემშაკ ვერ მოვერევით, მასაც სწორედ ის უნდა, რომ პოლიტიკურად ვებრძოლოთ. უფალი გვეუბნება, რომ მხოლოდ ლოცვითა და მარხვით შეგიძლია მოერიო ბოროტს. ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოსწორებით და ერთად ყოფნით, ერთმანეთისადმი მხარდაჭერით და სიყვარულით, ეკლესიის გვერდით, პატრიარქის გვერდით ყოფნით აუცილებლად გავალთ სამშვიდობოს. რაც არ უნდა მოხდეს გარშემო, შენ მაინც შეგიძლია შინაგანად თავი დაიცვა. ღმერთი არ აძლევს ბოროტს უფლებას დაგუფლოს, თუ შენ თავად, საკუთარი სურვილით არ მისცემ მას უფლებას დაგატყვევოს და დაგლუპოს.

ქრისტიანული ცხოვრება შენს ხელშია, შენ თუ გინდა, იქნები ქრისტიანი, ამას უკვე ვერაზინ დაგიმლის თუ გინდ მოგკლან კიდევ იმისთვის, რომ ქრისტიანი ხარ!

მასალა მოამზადა
ვერიკო ხატისკაცმა

სახალხო რევოლუცია



დღევანდელი და შავოუნიტი მხარეები



სასკოლო რეფორმის საკითხი ის საკითხია, რომელიც აღელვებს ახალგაზრდობას და აქტიურად განიხილება საზოგადოებაში. ჟურნალი „ახალგაზრდობა“ გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ განხილვას ქართულ მართლმადიდებლურ ფორუმ Church.ge-დან (სტილი დაცულია).

გთავაზობთ თქვენც ჩაერთოთ მსჯელობაში სასკოლო რეფორმის შესახებ, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოსაზრებები, შეფასებები, წინადადებები შემდეგ მისამართზე: ელიას მთა, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ელ. ფოსტა: axalgazrdoba@gmail.com

✱ ახლანდელი ახალგაზრდობის უმეტესობას, ჩემი აზრით, არ მოსწონს ის რეფორმები რაც სკოლებში ხდება, იმიტომ რომ ის მათ ზღუდავს ბევრ რაღაცაში. მეც მათ მივეკუთვნები და მართალია ცუდი ასაკი გვაქვს, მაგრამ უნდა ვეცადოთ ცუდი საქმისგან თავი შევიკავოთ. ok, ამით მოვრჩი ამ თემას. აბა გისმენთ

✱ ახალ რეფორმებში კონკრეტულად რას გულისხმობს.

✱ რეფორმამ ბევრი მხარე მოიცვა და შენ კონკრეტულად რომელს გულისხმობ?

✱ კი აქვს მნიშვნელობა ბავშვების აზრსაც ამ შემთხვევაში, მაგრამ - ძალიან მცირე.

✱ ბავშვებმა რა იციან, რა ჯობია...

✱ მშვენივრად ვიცი ...

✱ მდაა... კლასებში კამერების დაყენებით თუ ჰგონიათ რომ რამეს მიაღწევენ ძალიან ცდებიან. მაგითი „ხელებს ვერ დაიბანენ“. და მაგ ლელვობა რეფორმის გატარებას ჯობია სწავლის სურვილი გააღვიძონ ახალგაზრდობაში. როცა დათვებს წვრთნიან, 900 კაცი კი არ აკვირდება და აკომპლექსებს, არც ქცევის ეთიკებს უკითხავენ, იმიტომ რომ მთავარი როლი აღმზრდელს ეკისრება და გაგებას აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის. ამ გაგების დასამყარებლად კი სხვადასხვაგვარი საშუალებები არსებობს, ეს ინდივიდუალურია. მაგრამ ეს ყველაფერი კონფიდენციალური უნდა იყოს აუცილებლად. კამერები კი ხელს უშლის ამ საქმეს. ახლა ვიღაც ტუტუცი იკითხავს, კი მაგრამ ჩვენ დათვები ხომ არ ვართო.

✱ იცით რა არის? ჩემ დროს კამერები არ იყო და ასეთი კარგი ცხოვრება, მაგრამ ასეთი რამე არ ხდებოდა ეს თაობის ბრალია. ჩემთვის არავის უსწავლებია სექსი რა იყო.... „ადამიანს“

რომ ვსწავლობდით, სადაც სასქესო ორგანოებზე იყო საუბარი იმ გვერზე გადაშლაც კი გვცხვენოდა. ახლა კი..... კლასში ერთი რომ სიგარეტს მოსწევდა ყველა იმას ვეჩხუბებოდით. არაფერს შეცვლის ეს ყველაფერი, რეფორმა კი არა, რაც გინდა ის დაარქვით. დიდი არ ვარ 24 წლის ვარ.

✱ ხოდა რაც შეეხება რეფორმებს, რა თქმა უნდა, არ მოწონთ, მაგრამ სულ სხვა რამის გამო, დამიჯერეთ პატრიოტობას და ნურც რამე ღირსებას ამას ნუ მიანერთ.

✱ კარგი იქნებოდა შენეული განმარტებაც მოაყოლო რატომ არ მოწონთ რეფორმა.

✱ მეზარება მოყოლა ახლა, ისე ჩემთან შუშანიკს, გრიგოლს და ა.შ ამოიღებენ თუ არა, თითქმის არ ანაღვლებთ, არც ვეფხისტყაოსანი, ოლონდ ნაკლებად იყონ შეზღუდული. გასართობსა და „პონტის გაჩითვის“ მეტი არაფერი ახსოვთ, გოგოებიანად და ბიჭებიანად ღირსებები იკარგება. მე მასე ვამჩნევ და რავიცი.

✱ და მაგაშია მერე საქმე რომ აღარ აინტერესებთ არაფერი დღეს ახალგაზრდობას წიგნი კომპიუტერით შეუცვალეს და ამას უდიდეს მიღწევად თვლიან, არ გეგონოთ რომ რამე საწიანამდეგო მაქვს კომპიუტერის, მაგრამ ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ წიგნი უკეთესია, ვიდრე კომპიუტერი. და კიდევ ვეფხისტყაოსანი ახსენეთ, როგორ უნდა დააინტერესოს მეორე კლასელ ბავშვს მეექვსე კლასის პროგრამამ? ეს ხომ ზღაპარი არ არის, რომ ადვილად ისწავლო, რავი აბა ღმერთმა ქნას მალე გამოსწორებულიყოს ეს ყველაფერი.

✱ ჩემს დროს კი „ჩვენი სკოლა“ ძალიან მაგარი იყო, მოსწავლეების და მასწავლებელთა დონეც ძალიან მისაღები... ახლა არ ვიცი. აქ (საზღვარგარეთ) ძალიან აფასებენ „ძველ საბ-



ჭოურ სკოლას“ აკადემიური ხარისხის მიხედვით. ესენი რასაც აქ მე-8 კლასში სწავლობენ, იმაზე მეტი უკვე ჩვენ მე-6-ში გვექონდა ნასწავლი.

❖ ძალიან ჭკვიანი თაობა მოდის... მაგრამ მირჩევნია განონასწორებული თაობა იყოს ვიდრე ძალიან ჭკვიანი...

❖ კი, მართალია ჭკვიანი

ანი კი მოდის, მაგრამ ბავშვობა-ახალგაზრდობის მთელი ძალები „ინგლისურის და სხვა ასეთების შესწავლას ხმარდება.

❖ მოკლედ რომ ვთქვა, სკოლის რეფორმის მიზანია ისეთი ახალგაზრდობის შექმნა-აღზრდა, რუსთავი 2-ის და პირველი არხის ახალგაზრდულ სერიალებში რომ არის და არც ის სერიალებია შემთხვევითი. აღზრდა სკოლაში, აღზრდა სახლში ტელევიზორით.

❖ მართალია, და უკვე დაწყებულია, ჩაცმულობა, ქცევა და ასეთები ბევრმა უკვე შემოიღო. ვნახოთ რა იქნება, ძალიანაც არ შეტოპონ ნეტა.

❖ მინდა გითხრად საშინელი რეფორმები გატარდა სკოლაში რითაც საშინლად უკმაყოფილო ვარ!!! ჩვენი საშველი არაა რა.

❖ საიდან იცი? გაქვს მტკიცებულებები?

❖ უნდა გეთქვას: ჩვენ მე-6-ში გვექონდა გავლილი და არა ნასწავლი... მეც ბევრი რამე არ მომწონს ახალი განათლების სისტემისა, მაგრამ დავაბრალოთ:

1. რომ ეს განზრახ კეთდება;

2. უნდათ ჩვენი დონის სპეციალურად დაწევა და მსგავსი რამეები ძალიან ნააგავს შეთქმულების თეორიის ერთერთ განმტოებას.

❖ მე პირადად ბევრი რაღაცა მომწონს რეფორმის, მაგრამ ბევრიც არა, დასახვეწია კიდევ...

❖ მე ვფიქრობ რომ ახალგაზრდობა გაყოფილია, (თუმცა ასე ყოველთვის იყო ალბათ) არის მოწესრიგებული და ჭკვიანი ნაწილი, და ავარდნილი, ვფიქრობ რომ მოწესრიგებული და ჭკვიანი უფრო მეტია (იმედი მაქვს დიდი)

❖ ერთადერთი რის გამოც ამ რეფორმის უკმაყოფილო ვარ ის არის რომ მე-12 კლასში ვარ:

❖ უბრალოდ განათლების სამინისტროს საცდელი ბაჭიები ვართ ... ახლა ცდიან ახალ რეფორმებს.

❖ ეს ახალი ე.წ. სკოლის რეფორმა საშინელებაა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად კი არაა, პირიქით! არ მესმის რაზე ფიქრობენ ან რა მიზანი აქვთ!

❖ ნეტავ ვინ ატარებს ქვეყანაში ამ რეფორმებს, ან ვინ იგონებს საერთოდ??? ნუ, რა თქმა უნდა, ხარვეზები ბევრია და ჯერ კიდევ დასახვეწიც... ასე რომ ვნახოთ საბოლოო შედეგი რა იქნება....

❖ მოსწავლე ვარ, შემძილია ვთქვა სრული ნაგავია მეტი თუ არა. რას გვერჩიან სწავლის

საშუალება მოგვცენ.

❖ და რისი სწავლა გინდა და არ გასწავლიან??? და კონკრეტულად რას გერჩიან???

❖ ჯერ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია ავიღოთ ტრიმესტრში ერთს რომ სწავლობ. ახლა ბიოლოგიას გავდივარ, ხოდა ფიზიკა, ქიმია არც მასსოვს ვაფშე, არადა მაგრა ვსწავლობდი. მერე რავი საერთოდ უაზრო სტილია ძალიან რა. უაზრო ნიგნები და რამე. მათემატიკაში კვადრატული განტოლება მეცხრეში ისწავლება, თან ჯერ ფუნქცია, მერე განტოლება. სისულელეა. მოკლედ რავი ბევრი ნაკლი აქვს. მეორე ფიზიკურად ყოველდღე შვიდი გაკვეთილი მაქვს და საშინელებაა. თან ნიგნები არი ტონობით, რავი, ჯერ ამხელა ყდები რათ უნდაათ... რამოდენიმე ნიგნი არ მიმაქ ხოლმე და ჩანთა 7 კილოს ინონის თან არ წაიღებ და დაგერხევა მასწავლებლები-საგან. ხოდა ეს მეთორმეტე კლასი ხო საშინელებაა... რავი, რავი...

❖ ხოოო... არა ეგ ტრიმესტრებით კაია, თორე მთელი წელი ფიზიკას რა გაუძლებდა, გაიმეორებ და გაგახსენდება.


❖ პრინციპში ცუდი არაა, ცოტა გონივრული განხორციელება ესაჭიროება.

❖ სკოლას ციხედ ნუ აქცევენ ოღონდ!!! ეს ბავშვები ჩვენი მომავალია და რასაც დავთესთ, იმას მოვიმკით!

❖ ჩემი შვილის სკოლა მართლა ციხედ რომ გადააქციეს ეგ ზუსტად ვიცი, ფანჯრებზეც კი რკინის ცხაურები აუკრეს ბავშვებს, მასწავლებლები სრული უფლებით სარგებლობენ, უფრო სწორედ ისეთი უფლებით წინა საუკუნეებში უმკაცრეს გიმნაზიაში რომ მოქმედებდა. ალარაფერს ვიტყვი ბავშვების უმიზეზო ლანძღვაზე, ცემაზე და მუქარაზე, ეგ იმ სკოლის ყოველდღიურობაა, დირექტორი ყველაფრის უფლებას აძლევს მასწავლებლებს, დამნაშავეა თუ არაა დამნაშავე ბავშვი, თუ თქვენ თვლით რომ დასასჯელია, ნებისმიერი საშუალებით დასაჯეთო, ისეთი ადამიანია, საერთოდ არც მოგისმენს, უხეში და უზრდელი, მშობლების უკმაყოფილებას კი ამ სიტყვებით პასუხობს: „თუ გინდათ იჩივლეთ, სააკაშვილის კაცი ვარ და ვერაფერს დამაჟღებს თქვენი ჩივილიო“. საერთოდ არა მგონია, რომ საქართველოში რამე გამოსწორდეს განათლების მხრივ, სანამ სკოლებში ასეთი მდგომარეობაა და ამხელა უფლებებს აძლევენ მასწავლებლებს და დირექტორებს. ესლა ისეა საქმე, არაა გამორიცხული მთლიანად მეთერთმეტე კლასმა სხვა სკოლაში გადასვლა მოითხოვოს.

❖ დღევანდელი განათლების სისტემა ნაღდად არ მომწონს. ბავშვებს დებილებად ზრდიან. უფრო სწორად უნდათ, რომ ეგეთი გაზარდონ. მადლობა ღმერთს ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოსდით.





ახალი ჯგუფი - „უსაფრთხო სკოლა“

ნინია კაკაბაძე: კონკრეტულად რას გულისხმობს ეს ახალი პროექტი — „უსაფრთხო სკოლა“?

ბერიკა შუაკიძე: „უსაფრთხო სკოლა“ მეგაპროგრამაა, შეიცავს 11 მიმართულებას და 7 ქვეპროგრამას. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებთ, რომ საკონკურსო პროგრამებისთვის გამოვყოთ თანხა, რადგან ძალიან ბევრი ორგანიზაციაა, რომელსაც ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება აქვს. ეს არის ფსიქოლოგთა ასოციაცია და კიდევ სხვა მრავალი. ბუნებრივია, მათ ამ პროგრამაში ჩართვის საშუალებას მივცემთ.

ნ.კ.: აქამდე ამ პროგრამის შედგენაში არც ერთი ამგვარი ორგანიზაცია არ მონაწილეობდა?

ბ.შ.: ვიდრე პროგრამაზე მუშაობას დავიწყებდით, ჩვენ მოკვლევას ჩავატარეთ, თუ ვინ მუშაობს ამ კუთხით საქართველოში. არის ძალიან ბევრი საერთაშორისო და ქართული ორგანიზაცია. მათი გამოცდილება გავიზიარეთ. აგრეთვე გვექონდა კონფერენცია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში. 15 ოქტომბერს 15-კაციანი გუნდი ამერიკაში 21 დღით გაემგზავრა. აქ იქნებან სკოლის დირექტორი, ჩვენი სამინისტროს თანამშრომელი, ფსიქოლოგი, ჟურნალისტი და ა.შ. ისინი შეეცდებიან, იქაური გამოცდილება ქართულ სინამდვილეს მოარგონ. აგრეთვე არის პროექტი „ჰარმონია“, რომელსაც სურს, ჩვენი ორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი წაიყვანოს, რომლებიც ისევ ამერიკაში, ამერიკელ კოლეგებთან ერთად იმუშავენ ისეთ საკითხზე, როგორიცაა მოზარდებში ძალადობის პრობლემის მოგვარებაში პოლიციის როლი. ეს პროექტი სომხეთში უკვე საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა. როდესაც მინისტრმა ლომაიამ (ყოფილმა — რედ.) პოლიციასთან თანამშრომლობის დაწყების შესახებ განაცხადა, ქართულ საზოგადოებაში გარკვეული შიში გაჩნდა. იარაღასხმული პოლიცია სკოლაში ძალის დემონსტრირებისთვის არ შედის. ისინი იქნებიან სპიჯრ-პოლიციელები,

რომლებიც მიდიან ბავშვებთან და ესაუბრებიან, თუ რა მავნე გავლენა აქვს ნარკოტიკებს, ცივი იარაღის ხმარებას ან, თუნდაც, წესების დარღვევას. გარდა ამისა, პოლიციელები ბავშვებს 9-დან 2 საათამდე ქუჩაშიც გააკონტროლებენ.

ნ.კ.: რა სახის კონტროლი იქნება ქუჩაში? რა ფორმით მოხდება ეს?

ბ.შ. ეს გადანაცვტილება ჩვენ ზედაპირულად არ მიგვიღია. სტატისტიკა ძალიან მარტივია. დანაშაულის 75 პროცენტი, ძირითადად, სკოლის გარეთ ხდება. ამიტომ, სკოლის გარეთ იმორიგეებს 2 პოლიციელი - ერთი ქალბატონი, მეორე კი მამაკაცი, რომლებიც არატიპური პოლიციელები იქნებიან. მათ ექნებათ გავლილი სპეციალური ტრენინგი, თუ როგორ უნდა ესაუბრონ მოზარდს. მოზარდს ხშირად არ ესმის კანონმორჩილება, არაფრით არ შეიძლება, ის პოლიციელთან კონფლიქტში შევიდეს. ფსიქოლოგების რჩევას ვითვალისწინებთ და პოლიციელებს ვუბნებთ - თუკი ბავშვი ძირს არის დავარდნილი, არ შეიძლება მას ფეხზე მდგარმა ვესაუბროთ.

ნ.კ.: რა სახით ან რა ფორმით დაამყარებს სპიჯრ-პოლიციელი ბავშვთან ურთიერთობას სკოლის შიგნით?

ბ.შ. ამ პროგრამის კოორდინატორია ეკა ზღუ-ლაძე შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ეს სემინარის ტიპის გაკვეთილები იქნება.

ნ.კ. ნინო, როგორია თქვენი შთაბეჭდილება? და აგრეთვე კითხვა ბატონ ბერიკასთან.

ნინო მახაშვილი: მე მინდა, ჩემი კმაყოფილება გამოვთქვა, რომ ამ დიდ პრობლემას, ასე თუ ისე, ეხმანება ორგანიზაცია, სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოება. მისასალმებელია, რომ ახალ პროგრამაში ნაგულისხმევია ნაადრევი პრევენცია და პროფილაქტიკა, კონტროლის მექანიზმის გაძლიერება, განხორციელება და თან მულტიდისციპლინარული გუნდის შექმნა, სადაც ჩართულები იქნებიან მშობელი, მასწავლებელი, პოლიციელი, ფსიქოლოგი. ჩვენ — სპეციალისტებს, მშობლებს, მოქალაქეებს გვაინტერესებს, რა მიდგომას ეფუძნება განათლების სამინისტრო, როდესაც ამ დიდ პროგრამას გვთავაზობს. ჩვენ დავინახეთ, რომ კანონმდებლობა სახელმწიფოში, სამწესბაროდ, უფრო რეპრესიული, სადამსჯელო კუთხით იხრება. ძალიან მოხარული ვარ, თუკი პოლიციელები მოზარდებთან ლაპარაკს ისწავლიან, მათი როლი მნიშვნელოვანია. კვლევები გვაჩვენებს, რომ ძალიან მაღალია ქვევითი და ემოციური პრობლემები, მაგრამ არ ვიცით — რატომ. ჩვენ, პრაქტიკულად, ბნელში ვართ. იმისათვის, რომ ძალიან ზუსტი და ეფექტური ინტერვენციები დაიგეგმოს, უამრავი სფეროა საკვლევი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფოკუსი, რომელიც პრევენციაზე ძვირი ჯდება. თქვენი საუბრიდან ჩემთვის ოდნავ გაუგებარია — რა არის თქვენი მთავარი კონცეფცია — რეაბილიტაცია, განათლება თუ სწორედ ეს კონტროლი? საით მიდის ეს უსაფრთხო სკოლა?

ბ.შ.: ვიდრე ჩვენ პროგრამაზე ვმუშაობდით, დავინწყეთ რისკების გაზომვა. ჩემს დეპარტამენტში შემოდის ერთი სამმართველო, რომელიც მონაცემთა ბაზაზე მუშაობს და მეორე სამმართველო, რომელიც კვლევებზე მუშაობს. დასაწყისში, სწორედ ამ მეორე სამმართველოს მოთხოვნით, რომელიც ფსიქოლოგებისგან არის შემდეგარი, იყო კვლევა. სამინისტრომ დამთავრა მასშტაბური ცვლილებები, კანონშემოქმედებითი საქმიანობა და ახლა უკვე ჩავდივართ ქვემოთ. ვიდრე პროგრამას დავინწყებდით, ჩვენ ერთი ზედაპირული კვლევა ჩავატარეთ, თუმცა 25 სექტემბრიდან იწყება მეორე მასშტაბური კვლევა, სადაც დავადგენთ საქართველოს სკოლებში გავრცელებული ძალადობის ფორმებს. ამავე დროს, ჩვენ გამოვიკვლევთ ყველა ტიპის ძალადობას, მათ შორის, ოჯახის ძალადობას, რომელიც შეიძლება ბავშვზე ზემოქმედებდეს. მოსწავლეთა პირადი საქმეები — ეს იქნება გარკვეულწილად თქვენს კითხვაზე პასუხი. ამ იდეის ავტორი ჩვენი დეპარტამენტია. პირად საქმეში იქნება ყოველი ბავშვის შესახებ სრული მონაცემები — წარმატებები, აკადემიური მოსწრება, დისციპლინარული დარღვევები და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველოში აქამდე არ არსებობდა სტატისტიკა, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს არის ამოსავალი იმისათვის, რომ გავიგოთ საქართველოს სკოლებში ზუსტად როდის, რომელ წუთს, სად, რამდენი გაცდენა და გაკვეთილის ჩაშლა არის დაფიქსირებული. როგორც ტიპურ მონაცემს, ამას მე ვერ დავინახავ. ეს იქნება მკაცრად ანონიმური. ბავშვის პირადი საქმის გაცემის შემთხვევაში დირექტორი სამსახურს დატოვებს და შესაძლებელია მისი საქმე მართლმსაჯულებასაც გადაეცეს. მონაცემთა ბაზის არსებობით არც ერთი ბავშვი არ უნდა დაზიანდეს. მონაცემთა ბაზა ძალიან კარგია - ნებისმიერი დირექტორი ნახავს სიტუაციას თავის სკოლაში, რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ნახავს მის სკოლებში არსებულ მდგომარეობას, განათლების მინისტრს შეეძლება, ქალაქისა და რეგიონების სკოლებში არსებული მდგომარეობის შედარება... ამიტომ, ჩვენ პირადი საქმეები გვჭირდება, რათა დავაკვირდეთ, რა პრობლემები აქვს ამა თუ იმ სკოლას ქალაქსა თუ სოფლებში.

ზოგადად მშობლების პედაგოგიზაციას, პოლიცია-სთან თანამშრომლობას რაც შეეხება, აქ ჩვენ გამოვიდით მარტივი და უნივერსალური ღირებულებებიდან — მე შემიძლია არ ვისწავლო, კონსტიტუცია მე ამას არ მავალდებულებს, მაგრამ მე მეკრძალება, რომ სწავლაში სხვას შევუშალო ხელი. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბავშვმა, კარგად უნდა შეისწავლოს თავისი მოვალეობები. კანონმორჩილებას 30-35 წლის ასაკში ისე ვერ ვასწავლით, როგორც ადრეულ ასაკში.

6.მ.: მე მაშინებს ასეთი დეფინიცია — არადისციპლინირებული ბავშვი, არაკანონმორჩილი ბავშვი. ჩვენ, სპეციალისტებმა, ვიცით, რომ ამ დიდ კატეგორიაში ძნელია ერთი განსაზღვრების მოძებნა. ეს შეიძლება იყოს ბავშვი, რომელიც მასწავლებლის

თვალთახედვიდან არადისციპლინირებულია, ის შესაძლებელია, იყოს ოჯახური ძალადობის ან თანატოლთა ძალადობის მსხვერპლი; შესაძლებელია, ჰქონდეს ყურადღების დეფიციტი, ჰქონდეს ჰიპერაქტიურობის სინდრომი... შეიძლება იყოს ბავშვი, რომელსაც ხასიათობრივი აშლილობის აქცენტები აქვს, ჩვენ, მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებმა ვიცით, რომ ამის გამოსწორება შესაძლებელია. როგორ სვამთ ბავშვებს ჩარჩოში და რა შედის ამ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაში?

ბ.შ.: ჩვენ ჩარჩოში არავის ვსვამთ. კანონმორჩილება არის ძალიან მარტივი. ჩვენ მოსწავლეთა ქცევის კოდ-ექსი ერთი ძალიან მარტივი პრინციპით შევიმუშავეთ და ეს კოდექსი დამოუკიდებლად არ შეგვიქმნია. მისი პრეზენტაცია გავაკეთეთ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საჯარო სკოლის დირექტორებისათვის, რათა ამ კოდ-ექსის შექმნაში მათაც მიეღოთ მონაწილეობა.

ნ.კ.: მის შექმნაში მოსწავლეებმა თუ მიიღეს მონაწილეობა?

ბ.შ.: სკოლის დირექტორებს ვთხოვეთ, რომ ეს კოდექსი მოსწავლეთა კომიტეტისათვის გაეცნოთ. ძალიან ბევრი ადამიანის მოსაზრებაა - როდესაც ჩვენ ამ პაკეტს გავაგზავნით სკოლებში, მოსწავლეების მხრიდანაც მოხდეს მათი განხილვა. შესაძლებელია, ბევრი სკოლა გამოვიდეს იმ ინიციატივითაც, რომ თამაშის საერთო წესებზე თავად ბავშვები შეთანხმდნენ და ის სკოლის ერთგვარ კონსტიტუციად იქცეს. ჩვენ ვაძლევთ ამ მეთოდოლოგიურ დახმარებას, მაგრამ სკოლამ ის ნელ-ნელა მეტად უნდა დახვეწოს. თავიდან, ანუ სასწავლო წლის



დასაწყისში, მოსწავლეთა ქცევის კოდექსს დამრიგებლები და დირექტორები გააცნობენ ბავშვებს და ბავშვი ვალდებული იქნება, ხელმოწერით დაადასტუროს თანხმობა, რომ ამ სკოლაში მიღებულ წესებს დაემორჩილება.

ნ.კ.: და რა ელით იმ ბავშვებს, რომლებიც ხელმოწერის შემდეგ ამ წესებს დაარღვევენ? ამ ე.წ. არადისციპლინირებული ბავშვების მიმართ რა ტიპის თუ ფორმის სადამსჯელო ღონისძიებებს გაატარებთ?

ბ.შ.: კანონში ადრეც იყო, თუ როგორ უნდა დაისაჯოს ბავშვი. მაგალითად, თუ მოსწავლე ორჯერ ჩაშლიდა გაკვეთილს, მას 20 დღით დაითხოვდნენ სკოლიდან. მაგრამ, ვიფიქრეთ, რომ 20 დღით ბავშვის სწავლისგან გათავისუფლება არცთუ ისე ეფექტური დასჯაა. ამიტომ ჩვენ ამგვარად შევცვალეთ: კანონდამრღვევი ბავშვი მოვა სკოლაში, მისთვის გამოვყოფთ ადგილს. ჩემი აზრით, ეს ადგილი უნდა იყოს ბიბლიოთეკა, სადაც მისთვის შერჩეული იქნება მხატვრული ლიტერატურა და ის ჩვეულებრივად გაივლის სასწავლო პროცესს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მიეხმარება ბიბლიოთეკარს, დაალაგებინებს წიგნებს, ასევე მიეხმარება სკოლის დარაჯს, მიიღებს მონაწილეობას სკოლის დასუფთავებაში... გააკეთებს ყველაფერს, ოღონდ არ დაალაგებს ტუალეტს. რასაკვირველია, ძალდატანებით არაფერს გააკეთებინებთ.

გ.მ.: ამ ახალი პროგრამის ფარგლებში თავად სკოლებს აქვთ თუ არა დავალება ან რეკომენდაცია განათლების სამინისტროს მხრიდან — შეიმუშაონ კრიზისულ, მძიმე სიტუაციაზე, საგანგებო და არასაგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკუთარი წესები და პროცედურები? თქვენ სტატისტიკური მონაცემებით, სპეციალურად აღზრდილი პოლიციელებით, პედაგოგიზირებული მშობლებით ცდილობთ, რომ მოაგროვოთ ნაადრევი, გამაფრთხილებელი ნიშნები და ადრეული პრევენცია გააკეთოთ. მაგრამ, ყველაფერი რომ ცხადი იყოს, როგორ არის ეს რეგულირებული პროცედურულად? კოდექსში, რომელსაც თქვენ სკოლას აძლევთ, ეს ალბათ არ არის. როგორ რეაგირებს სკოლა კრიზისზე, რა ნაბიჯებს დგამს, ვინ არის პასუხისმგებელი, სად ირეკება და ა.შ.?

ბ.შ.: სკოლის დისციპლინარულ კომიტეტსა და სააპელაციო კომიტეტში მასწავლებელთა სუბიექტივიზმი სრულიად გამორცხულია, მოსწავლეთა პირად საქმეში ვერავინ შეიტანს მონაცემს, სანამ სააპელაციო კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ამის შემდეგ ბავშვს კიდევ შეეძლება, გაასაჩივროს სამეურვეო საბჭოში. სააპელაციოც და დისციპლინარული კომიტეტიც მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისაგან შედგება. ეს ადამიანები უზრუნველყოფენ სკოლაში კანონის აღსრულებას. ამ ინსტიტუციებმა და მოსწავლეთა თვითმმართველობამ უნდა დაიწყოს მუშაობა. აღარ იქნება ისე, როგორც აქამდე იყო, როდესაც ყვე-



ლაფერი - კანალიზაციიდან დანყებული და ბავშვის მოსწრებით დამთავრებული — ერთ ადამიანს, ანუ სკოლის დირექტორს ებარა. ამიტომ უნდა იმუშაოს არა ერთმა ადამიანმა, არამედ თემმა. სანამ არ იქნება კვლევა, მტკიცებულებები, ჰაერზე რალაციის თქმა ძალიან რთულია. სანამ არ იქნება სტატისტიკური მნიშვნელობა და არა სტატისტიკა, ჩვენ ვერაფერს დაგწერგავთ. მონაცემების არქონის შემთხვევაში პოლიტიკა არ შემუშავდება.

ნ.კ.: ქალბატონო ნინო, როგორია თქვენი შთაბეჭდილება? რა პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები ჩანს ამ ახალ პროგრამაში?

გ.მ. მე მნიშვნელოვანი ნიშნების განცდა მაქვს. ჩანს, რომ ადამიანები ფიქრობენ, სწავლობენ, გამოყვეს ფინანსები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ეს, მართლაც, იმხელა პრობლემაა, იმდენ სფეროს, სექტორს, ეტაპს მოიცავს, რომ ძალიან რთულია, ერთბაშად მოისაზრო ყველაფერი. ჩემი სიფრთხილე მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაოდ, ჯერჯერობით რასაც ვხედავ, ეს გარეგანი კონტროლის გამაძლიერებელი მექანიზმების დანერგვაა. ჩვენ, საზოგადოებას, მართლა თუ გვინდა, რომ გავიზარდოთ და ფეხზე დავდგეთ, შინაგანი კონტროლის გაზრდა გვესაჭიროება, რომელიც სხვა მეთოდებით მიიღწევა, უფრო საგანმანათლებლო პროგრამების სახით. როდესაც დავინახავ, რომ ფოკუსი და ემფაზა გადასულია რეალურ პრევენციასა და გაზრდაზე, აღზრდაზე, განათლებაზე, მაშინ უფრო მშვიდად ვიქნები. თუმცა ნელ-ნელა წინ ნამდვილად მივდივართ. სკოლას ნამდვილად სჭირდება გაფრთხილება, დაცვა, ჩარევა, დამატებითი სახეების შეყვანა და იქნებ ამან ნდობაც კი გაზარდოს. გააჩნია, ამ ყველაფერს როგორ გავაკეთებთ.

ნინია კაკაბაძე

2007 წლის 20 სექტემბერი

გაზეთი „24 საათი“

რუბრიკა — „საზოგადოება და ისტორია“



„იჩქარეთ და ღმერთს ემსახურეთ, რადგან გარღებით გვიანია ვიდრე გვგონია“ მღვდელმონაზონი სერაფიმ როჟი

გიორგი, 45 წლის: ადრე რწმენა ჩემთვის მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ტაძართან გავლისას პირველად გადავინერდი ხოლმე. მაგრამ ცხოვრებაში თავს იმხელა განსაცდელი დამატყდა, მივხვდი, უფლის გარდა ჩემი მშველელი არავინ იყო. სრულიად უდანაშაულოდ ციხეში მოვხვდი. იქ გატარებული თითოეული დღე ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ენა ვერ აღწერს როგორ ვიტანჯებოდი. ერთადერთი იმედი ციხეში არ-

ვარულისთვის ყველაფრის გაღება ღირს-თქო და მისი დაუინებელი თხოვნით, მეც კათოლიკე გავხდი. ოჯახი შევექმენით. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შვილი არა და არ მეძლეოდა, რასაც ძალიან განვიცდიდი. ამის შემდეგ ჩვენს ოჯახში ნელ-ნელა უსიამოვნებები გაჩნდა, ბოლოს კი გაუთავებელ ჩხუბში გადაიზარდა. ვგრძნობდი, ჩემი ოჯახი დანგრევის პირას იყო, მაგრამ მე არაფრის შეცვლა აღარ შემეძლო. საბოლოოდ ერთმანეთს დავშორდით. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რისთვის დამსაჯა უფალმა. სარწმუნოება არაფრის გულისთვის არ უნდა შემეცვალა. ღმერთის წყალობით, ისევ მართლმადიდებელი ქრისტიანი გავხდი და ვცდილობ, ჩემი ცხოვრება უფლის ნებით წარვმართო. ვცოცხლობ იმედით, რომ ღმერთი ამ შეცდომას მაპატიებს და თავის სიყვარულსა და წყალობას არ მომაკლებს.

P.S. ზოგჯერ ღმერთი ადამიანებს დიდ განსაცდელებს მოუვლენს, რათა ამის შემდეგ მაინც იპოვონ ზეციერი მშობელი შეიყვარონ, თავიანთი სცენ მას. როგორც წმინდა მამა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ღმერთი სამუდამოდ არც უბედურებაში ტოვებს ადამიანებს, რათა სრულიად უღონონი არ შეიქნან და არც ბედნიერებაში, რათა დაუდევრობით არ ევნონ და სხვებზე ზრუნვა არ დაივიწყონ, რამეთუ იგი სხვადასხვა სამუშაოებითა და ღონით განაგებს ადამიანთა სხნას“.

ბილაშვილი მარიამი

გზა უფლისაჲნ

ამქვეყნიური ცხოვრება თითოეული ადამიანისთვის გამოცდას წარმოადგენს. ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევა კი ღვთის შეწევნის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. წმიდა იოანე კრონდშტადტელი გვასწავლის: „თუკი, მართლაც, ღმერთს შენს საკუთარ მამად მიიჩნევ, მაშინ სასოებდე კიდეც მას, იმედი გქონდეს მისი ვითარება ერთი მამისა. ყოვლადსახიერისა, ყოვლადძლიერისა, ბრძენისა, რომელიც უცვალებელია თავის სიყვარულში და ყოველგვარ სრულყოფილებაში“.

ეკლესიის კარი ყველასთვის ღიაა, მთავარია ადამიანებმა უფლის წმინდა წიაღში გაერთიანება მოისურვონ.

სებულის სამლოცველო გახდა, სადაც ყოველდღე შევდიოდი და საოცარი სიმშვიდით ვიცებოდი. მოულოდნელად უფალმა უდიდესი საჩუქარი გამიკეთა, დროზე ადრე გამათავისუფლეს. თითქოს ხელახლა დავიბადე, ახალი ადამიანი გავხდი, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ღმერთისადმი მსახურებაა. დიდი მადლობა უფალს ყველაფრისთვის!

ენო, 26 წლის: როგორც ადამიანთა გარკვეულ ნაწილს, მეც მეგონა, რომ მორწმუნე ადამიანისთვის საკმარისი იყო ტაძარში ხანდახან, დღესასწაულებზე შეესულიყავი და სანთელი დამენთო. მოულოდნელად ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ძალიან შემეყვარდა. ის კათოლიკე იყო. რწმენაში იმდენად სუსტი ვიყავი, გადავწყვიტე სიყ-

ლირსაჲდ უზიღთა აღსაზრდედად

(რჩევები მშობლებს)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2(3))

„მთაწმინდიდან“ მეტეხის ხიდზე გადანაცვლებამდე, შეახსენეთ შვილებს, რატომ ჰქვია ამ წმიდა ადგილს მეორე სახელი — „მამადავითი“.

ერთად გაიხსენეთ ცამეტთაგან ერთ-ერთი ასურელი მამის, დავით გარეჯელის ღვანლი, რომელსაც იგი ჩვენი დედაქალაქისთვის ეწოდა იმ დროს თბილისი ცეცხლთაყვანისმცემლებს ეპყრათ. ღირსი მამა ქალაქის მცხოვრებთა ცოდვების მიტევებას ევედრებოდა ღმერთს. მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა, შემდეგ გადმოდგებოდა მთაზე (ახლა რომ „მთაწმინდას“ და „მამადავითს“ ვუწოდებთ) და ქალაქს აკურთხებდა.

აჩვენეთ შვილებს დავითის სენაკი და მისი ლოცვით აღმოცენებული წყალიც შეასვით.

ერთად შევედრეთ წმიდა მამას, კვლავაც არ მოაკლოს მფარველობა ჩვენს დედაქალაქს, თითოეულ ჩვენგანს!

მეტეხის ხიდიდან ბავშვებს მტკვარში ჩააშვებინეთ ყვავილების თაიგული. შეახსენეთ სარწმუნოებისათვის 100 000 მონამის თავდადება, უმძიმესი 1227 წელი.

ხიდიდან შეახედეთ სიონის გუმბათს, საიდანაც ქართველთა სისხლისმსმელი ჯალალ-ედ-დინი თვალს ადევნებდა თბილისელთა არჩევანს.

თაყვანი ეცით ამ წმინდა ადგილს და სთხოვეთ ბავშვებს, ამგვარივე მონივნება გამოსატონ მისადმი.

სთხოვეთ, იფიქრონ, როგორ ვაქციოთ დედაქალაქის უპირველეს დღესასწაულად ხვარაზმელთაგან წამებული 100 000 წმინდანის ხსენების დღე.

საქართველოს და კერძოდ მის დედაქალაქს ხომ ანალოგი არ მოეპოვება ამ სრულიად გამორ-

ჩეული ნიშნის გამო — საქართველოს ჰყავს სარწმუნოებისათვის, საკუთარი ნებით, ერთ დღეს შეწირული გაცილებით მეტი წმინდანი, ვიდრე სხვა ქვეყნებს.

დააფიქრეთ ბავშვები, რომ ეს ფაქტი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მეტეხის ხიდთან, **ენვით აბო თბილელის სახელობის ტაძარს.** აჩვენეთ შვილებს აბოს გვამის დანვის ადგილას (სადაც ამჟამად ეს ტაძარი დგას) მოჭრილი ხის ყოველ გადანაჭერზე ბუნებრივად გამოსახული, საოცრად სიმეტრიული ჯვარი. ჰკითხეთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს? დაეხმარეთ სწორი პასუხის გაცემაში.

იქვე, **მეტეხის ტაძარში მოილოცეთ წმინდა შუშანიკის საფლავი.** უამბეთ სომეხთა უკანასკნელი მართლმადიდებელი პატრიარქის — წმინდა საპაკის, ქართლში აღზრდილი შვილთაშვილის ურყევი რწმენის შესახებ.

ენვით სიონის საკათედრო ტაძარს.

მოილოცეთ „სიონის ღვთისმშობლის“, ათონის წმინდა მთიდან ჩამობრძანებული „ივერიის ღვთისმშობლის“, აგრეთვე, სხვა ხატები. თაყვანი ეცით წმინდა ნინოს ჯვარს, თომა მოციქულის წმინდა თავის ქალას. მუხლი მოიყარეთ წმინდა პატრიარქების ამბროსი აღმსარებლისა და კირიონის საფლავებთან. შეახსენეთ შვილებს წმინდა ამბროსის სიტყვები, რომლითაც მან ჯალათებს მიმართა: „**სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, სხეულს კი რაც გინდათ ის უყავით**“. უბის წიგნაკში ჩაანერინეთ ეს სიტყვებიც.

ჩამოათვლევინეთ წმინდანებად შერაცხული საქართველოს სხვა პატრიარქები. **ანჩისხატის ტაძარში მოილოცეთ** კიდევ ერთი მათგანის — **ევდემოზ კათალიკოსის საფლავი.** იქვე გაიხსენეთ ამ ტაძრისა და მისი მოსახელე ხატის ისტორია.

ენვით ხელოვნების მუზეუმს და თაყვანი ეცით **ანჩისხატის ორიგინალს**, იქ დაცულ სხვა სინმინდებთან ერთად.

რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლთან **აჩვენეთ** სამშობლოს თავისუფლებისათვის





1921 წელს შეწირული ჩვენი ახალგაზრდების დაფარული განსასვენებელი. მათ შორის, მარო მაყაშვილი არ დაგავინყდეთ!

უამბეთ პოეტ კოტე მაყაშვილის ასულის, 18 წლის მაროს თავდადებაზე, რომლის სახეც ქართველმა ხალხმა ამოიწრო ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკებაში „ქართველის დედა“.

დაუკავშირეთ ერთმანეთს 1921 წლის თებერვლისა და 1989 წლის გაზაფხულის ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობები. უამბეთ როგორ გადაეჯახა ერთმანეთს ეს ორი თარიღი, როგორ დაუკავშირდა ისინი სამუდამოდ რუსთაველის პროსპექტს.

აჩვენეთ 300 არაგველის ობელისკი. კიდევ ერთხელ გაიხსენეთ კრწანისის ბრძოლა, 1795 წელი, ბრძოლა ქართლ-კახეთსა და სპარსეთის ლაშქარს შორის თბილისთან.

მოუყევით სხვადასხვა ომების დროს თურქეთსა და სპარსეთში გადასახლებული ქართველების შესახებ. როგორ შემოინახეს მათ თავისი ქვეყნის სიყვარული, როგორ ზრუნავენ შთამომავლებისათვის ქართული ენისა და ტრადიციების გადაცემაზე.

მოინახულეთ დიდგორის ველი. გაიხსენეთ 1121 წლის 12 აგვისტო, „ძლევაი საკვირველი.“ გაიხსენეთ დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლის წინ წარმოთქმული სიტყვები:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლებისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავექცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს ... მტკიცე გულით დაუნდობლად შევეუტიოთ.“

უთხარით შვილებს, რომ დიდგორის ბრძოლა აღიარებულია ერთ-ერთად მსოფლიოს სამ უდიდეს ბრწყინვალე ბრძოლათა შორის. ამ ომში თურქ-სელჩუკები რიცხოვნობით დიდად აჭარ-

ბებდნენ ქართველებს. ფრანგი ისტორიკოსის გოტიეს ცნობით მტრის ჯარში 600 000 მეომარი იყო. ქართველებს სულ 55-56 ათასი კაცი ჰყავდათ, ე.ი. დაახლოებით 10-ჯერ ნაკლები.

ხილულად იბრძოდაო ამ ომში წმინდა გიორგი, მისი შემწეობით შეძლეს ქართველებმა ურიცხვი მტრის დამარცხება. ღვთისმშობლის მადლმა იხსნა საქართველო განსაცდელისაგან.

ფურცელზე დაწერეთ თარიღები 1195 წ., 1203 წ. ჰკითხეთ ბავშვებს რა იციან მათ შესახებ. ერთად გაიხსენეთ შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში თამარის ბრწყინვალე გამარჯვებები, თუ როგორ მიუძღოდა ჯვრით ხელში ფეხშიშველი თამარი ჯარს და დედალღვთისმშობელს ავედრებდა საქართველოს მომავალს.

დაწერეთ თარიღი — 1624 წ. ჰკითხეთ რა მოვლენას უკავშირდება იგი. დააფიქრეთ, რა ვიქნებოდით დღეს აშოთან მუხრან-ბატონის ასულის, კახეთის დედოფლის, წმინდა ქეთევანის მონაშენებრივი არჩევანის გარეშე.

ჰკითხეთ შვილებს, ვის სახელს უკავშირდება სიმღერა „შავლეგო“; რა იციან ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების, სოლომონ დოდაშვილის, ელიზბარ ერისთავის, კოტე აფხაზის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის... შესახებ. სთხოვეთ შეისწავლონ მათი ღვაწლი, უბის წიგნაკში ჩაიწერონ და დაიმახსოვრონ მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღები.


დაეხმარეთ უბის წიგნაკისათვის სხვა საინტერესო მასალის შერჩევაში. ამოაწერინეთ ყურადსაღები ციტატები. თუ საშუალებაა, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოაჭრევიანეთ და წიგნაკში ჩააკრევიანეთ ცნობილ ადამიანთა (კლასიკოსთა) პორტრეტები, ნახატები... მიაჩვიეთ ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვას. დროდადრო სთხოვეთ, გაჩვენონ, რა ჩანაწერებით გაამდიდრეს წიგნაკი. მოუწონეთ ნამუშევარი, მიეცით სათანადო რჩევა-დარიგება და აღძვრით მეტი მონდომებისათვის.

„ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირი“



მე მზავლ, მაბრამ სამუდამოდ თქვენთან დავბრჩები

„როდესაც ჩვენგან მიღის ისეთი პიროვნება,
როგორც იყო რეზო თაბუკაშვილი, საზოგადოება
ღარიბდება, ეკარგება სილამაზიერ“.
მიხეილ თუმანიშვილი



„რევაზი იყო დიდი მამულიშვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანი“ — ეს სიტყვები უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ წარმოთქვა რეზო თაბუკაშვილის დაკრძალვაზე. ნამდვილად ძნელი იქნება იმ ადამიანის ღვაწლის სრულად ასახვა, რომელმაც თავისი ცხოვრება სამშობლოსა და მოყვასს მიუძღვნა. საზოგადოება ასეთ ადამიანებს ძირითადად გარდაცვალების შემდეგ აფასებს, თუმცა რევაზ თაბუკაშვილმა სიცოცხლეშივე დაიმსახურა ხალხის დიდი სიყვარული.

რევაზ შალვას ძე თაბუკაშვილი 1927 წლის 2 აგვისტოს დაიბადა. იგი იყო მწერალი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, ავტორი პიესებისა: „რას იტყვის ხალხი“, „დენბურგის ზარი“, „დაბადება“ და სხვ.

დაწერილი აქვს კინოსცენარები ფილმებისთვის: „მზე შემოდგომისა“, „წარსული ზაფხული“, „ჯვარცმული კუნძული“, ასევე ლიბრეტოები ოპერებისათვის „მინდია“, და „ქაჯანა“. მასვე ეკუთვნის შექსპირის სონეტების თარგმანი. ბატონი რეზო ცდილობდა სამშობლოსაკენ მოებრუნებინა საზღვარგარეთ გაბნეული ქართული სული, რაშიც მას ოჯახის წევრებიც ეხმარებოდნენ. „ეს ოჯახი იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა, რომელმაც ვინ მოთვლის, რამდენი უცხოელი საქართველოს მეგობრად აქცია. ასევე ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი სიყვარულით გამოთბარი ტოვებდა ამ ოჯახს, კვლავ აქ დაბრუნების სურვილით“, — თქვა ელდარ შენგელაიამ 1994 წლის 5 აპრილს დიდუბის ნეკროპოლში, როცა საქართველომ მიწას მიაბარა ბატონი რეზოს მეუღლე, ყველასათვის საყვარელი მსახიობი, მედია ჯაფარიძე.

ბატონი რეზოს მოღვაწეობაზე სასაუბროდ ვესტუმრე, მის შვილს, ბატონ ლაშა თაბუკაშვილს:

— ბ-ნი რეზო საზღვარგარეთ ეძებდა ქართული კულტურის კვალს. როგორ ახერხებდა ამას საბჭოთა პერიოდში?

— მამის მიერ გადაღებული ყველა ფილმი, პრაქტიკულად, არალეგალური იყო. რომ ეთქვა — თამარაშვილის საფლავის პოვნა ან ჩამოსვენება მინდაო, ვინ გამოუყოფდა თანხას?! ეგ კი არა, ჩამოსვენების შემდეგ, ლამის დასაჭერად ჰქონდა საქმე. იქაც, საზღვარგარეთ, ნებისმიერ პოლიციელს რომ შეემოწმებინა, აპარ-

ატს გაუტყუებდა და დიდი უსიამოვნებაც შეემთხვეოდა. იმდენად მაღავედა ამ ფილმებს, რომ რუსეთის ფესტივალებზეც კი არ ყოფილა ნაჩვენები. გენიალურმა იტალიელმა კინოსცენარისტმა ტონინო გუერამ ცაში აიყვანა ეს ფილმები, როგორც საერთოდ ახალი მწერლური ჟანრი კინომატოგრაფში. ხოლო ერთმა რუსმა ებრაელმა ამ ფილმების საქებარი სტატია დაწერა. მამა სპეციალურად გადაფრინდა მოსკოვში და ორმაგი ჰონორარი გადა-

უხადა, რომ ეს სტატია არ დაბეჭდილიყო, რადგან ფილმები წამსვე აიკრძალებოდა. საზღვარგარეთ მისი წასვლები ხომ ლამის აბსურდული იყო. ეს ხან ჩვეულებრივი ტურიზმი გახლდათ, ხან ფეხბურთელებს მიყვებოდა, ხან — ანსამბლ „რუსთავს“, იყო ჩასვლები კერძო მინვესტიაცი. საკუთრივ, კინო-ექსპედიცია, ფაქტობრივად, თითქმის არ ყოფილა.

დადიოდა თავისი ხარჯით, ყოფილა შემთხვევა, როცა შიმშილსაგან გულიც წასვლია. უკაპიკო, ქუჩაში ლამენათევს, ჰოლანდიაში დი-აბუტიანი ჰგონებიათ და მოსულერებისთვის პირში შოკოლადი ჩაუდიათ. რომ ჩამოვიდა, 10 კილო ჰქონდა დაკლებული. 40 დღე მალავდა მიხეილ თამარაშვილის სასახლეს და იმდენი მოახერხა, აეროპორტში ბარგშიც კი არ ჩააბარა. ამასთან დაკავშირებით რუს ჩეკისტთან კონფლიქტიც მოუვიდა.

ყველას ეგონა, გარდაცვლილი ან მამა იყო მისი, ან პაპა და როცა გაიგეს, რომ ეს უბრალოდ დიდი ქართველი იყო და მამამ თავისი ხარჯებით გადაწყვიტა მისი ჩამოსვენება, იტალიელების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სასაფლაოს დირექტორმა თქვა — მინდა თქვენთან ჩამოვიდე და ვნახო, რა ხალხი ხართ ეს ქართველებიო.

დიპლომატიური აკადემიის დამთავრების შემდეგ, რეზომ ბრწყინვალე კარიერაზე თქვა უარი. მერე დაიწყო მწერლობით თავის რჩენა და კინოსტუდიაში მუშაობა.

— როგორ იღებდა საბჭოთა ხელისუფლება მამათქვენის საქმიანობას?

— ხელისუფლება უაზრო მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან მამა არაფერს უთანხმებდა. ასეთი ფილოსოფიური თეზა ჰქონდა — „კომუნისტური საზოგადოება არის კოლექტიური უპასუხისმგებლობის ქვეყანა და ასეთ ქვეყანაში ვინმეს რამის ნებართვა რომ თხოვო, მაშინვე დაფრთხება და გეტყვის — არა!“ თან ყველა ფილმები რომელზეც რეზო მუშაობდა, იყო აკრძალულ ადამიანებზე — თამარაშვილი, თარხნიშვილი, თაყაიშვილი, ხარისჭირაშვილი, კიტა ჩხენკელი და მრავალი სხვა. ამიტომ ყოველი წასვლის წინ ამბობდა — შეიძლება ეს ბოლო შანსი იყოსო. როდესაც თან ვახლდი, მეც კი დაბნეული და გაოცებული ვიყავი, მისი დიპლომატიური

და პიროვნული ნიჭით.

იყო უიმედობაც და ბევრი გულისტკივილიც. ერთ კაცს, მამამ, ხელიც კი გაართყა, იმის გამო, რომ უთხრა — აუ, რას დაგრი-ალებ საზღვარგარეთო! საერთოდ, როცა ისეთ ადამიანთა ცხოვრებას ასახავ, როგორ-ბზეც მამა იღებდა ფილმებს, იქ შენი ხვედრის გაიოლება არ შეიძლება. ამიტომაც ბევრი ამბობდა, რომ მამა უკვე თავისი ფილმების გმირებს დაემსგავსა. თავად ჩრდილში ყოფნას არჩევდა. მისთვის მთავარი, საქმის შედეგი იყო. ოთახში, სადაც ის მუშაობდა, ჰქონდა იმ ადამიანთა ფოტოები, ვიზეც ფილმებს იღებდა. მათ ბიოგრაფიაში იძირებოდა და მათი ცხოვრებით იყო გაჟღენთილი.

— ბატონო ლაშა, თუ იყო ისეთი რამ, რისი გაკეთებაც სურდა და ვერ მოასწრო?

— ბოლოს სურდა გრიგოლ ფერაძის, გაბრიელ ეპისკოპოსისა და ქეთევან წამე-ბულის ღვანლის ამსახველი ტრილოგიის გადაღება, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ფერაძის ნაწილობრივ დამონტაჟება შეძლო, რომელ-იც, მისმა მოსწავლეებმა დაასრულეს. სიკვდი-ლის წინ კი დანერა ლექსი-ანდერძი:

შვილიშვილებს

მშვიდობას ვეცავი მალე ქართულ ზეფის საფიროსს, და მერე ცალკად შევერწყმები ზღვას უნაპიროსს, ქარს იმ ქვეყნის დაფხვედრებ მალე წინ აფრას, დიდებულო! გარდვიქრევი უნებ ნინაპრად. და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა ნვალეზას, სიკვდილი მაინც არ დაარქვავთ გარდაცვალებას. მე ნავალო რადგან დრო ჯერ მაქვს უკვე არჩევნის, მე ნავალო, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავორჩები. მე გიმეფურონთ, ქოვრების გზას როცა გაჰყვებით, მე დავინახავთ, მაგრამ ვეღარ დავგინახებთ: მე არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოდავე, სამშობლო თქვენი თუ არასდროს არ იყოფავეთ! მაგრამ ირადეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ, თუ სარბილად საქართველო გეპატარავათ. დამარცხებულნიერ არასოდეს ჩანდეთ საზოგადო-ვინმეს სივლახე კაყთა მოდგმას არ დააბრალოთ. ცხელი გექნებათ სიყმაწვილო. მერე სიბერე სხვათა მიღწევით სიხარული თუ გაიბეგრეთ.

P.S. ეს ლექსი მთელი ქართველი ახალგაზრდობისთვის ანდერძად შეიძლე-ბა მივიჩნიოთ.

ნინო ჭიჭარაული

ჩა კელი მუშა მამულაშვილის კალს?

უ

ლაქ მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის პირდაპირ მოსჩანს მამულაშვილების ასწლოვანი ბაღი, რომელიც მნახველს თავისი სილამაზით აოცებს. დღეს, ცოტამ

ეილის ძმის შეილიშვილი) :

— დავიბადე მცხეთაში, მამულაშვილების საგვარეულო სახლში, სადაც დიდი პაპა მიხეილი მოღვაწეობდა. მახსოვს, ბაღის სანახავად ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოდიოდა, საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, აფრიკის ქვეყნებიდანაც კი. პაპამ დიდი ამაგი დასდო აქაურობას.

მიხეილსა და მის ძმებს სვეტიცხოვლის გვერდით ეკლიანი ბუჩქნარი გაუჩნებიათ და სანაცვლოდ ლამაზი ბაღი გაუშენებიათ. პაპას თბილისში, ეზლანდელ თავისუფლების მოედანზე გაუხსნია მალაზია „სოლეიდორი“ (ყვავილების მზე). ეს მალაზია მარაგდებოდა ნარეკვავის ბაღიდან ჩამოტანილი ყვავილებით, რომელსაც მაშინ მიხეილი და მისი ძმები, ნიკოლოზი და ალექსანდრე უძღვებოდნენ. პაპა მცხეთაში დაიბადა, მშობლები ადრე გარდაეცვალა, ამიტომაც მასზე და მის და-ძმაზე სამთავროს მონასტრის დედეები ზრუნავდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს მონაზვნები ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ. ისინი ომის მონაწილეებისთვის ქსოვდნენ ტანსაცმელს, წინდებს და ფრონტზე უგზავნიდნენ.

საოცარია, ერთი ხელისოდენა მინაზე ყველანაირი ყვავილი ყვაოდა. ჩვენს ბაღში დღესაც დგას ილია ჭავჭავაძის ნაჩუქარი ქვევრი. თურმე, როცა სტალინი თავის სახლში დასასვენებლად ჩამოდიოდა, აუცილებლად პაპას იწვევდა ბაღის მოსავლელად.



მიხეილი თურმე ხშირად ესაუბრებოდა ყვავილებს. მაგალითად, ორქიდეებს ასე მიმართავდა: „ამაზონის ნყალდალეულო ორქიდეებო, აქ რამ მოგიყვანათ, როგორ გაჩნდით აქ?“ მისი ქალიშვილი პელაგია იხსენებს:

„იმ დროს მცენარეების გაცვლა-გამოცვლა ქვეყნებს შორის იკრძალებოდა, რადგან შეიძლებოდა შემოტანილი მცენარით ვირუსი გავრცელებულიყო. დღესაც მიკვირს როგორ ახერხებდა პაპა ასეთი მცენარეების შემოტანას. მაშინ ხომ ეს ძალიან რთული იყო. მახსოვს, პაპას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში 80 წლის იუბილე გადაუხადეთ. იგი სცენაზე იჯდა სავარძელში, უცებ ზემოდან ყვავილების ფანტელები დაეშვა. მაშინ სტუმრად ჩამოვიდნენ, იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, პაპის დიდი მეგობარი, ნიკო კეცხოველი თავის ოჯახთან ერთად. ყველა მეუბნებოდა, პაპის ხელობა შესწავლა და მისი საქმიანობა გამეგრძელებინა.

მახსოვს, ერთხელ ქალი ესაუბრებოდა პაპას. უცებ ქალმა იქვე ამოშული ვარდის

თუ იცის ამ ბაღის და მისი შემოქმედის, მიხეილ მამულაშვილის შესახებ. ბატონ მიხეილს იცნობდნენ არა მარტო საქართველოში არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ბაღში დღესაც ხარობს უნიკალური ასწლოვანი ჯიშის ხეები. აქ შესულს თვალწინ ეშლება მცენარეებითა და ქვებით შექმნილი კომპოზიციები, რომელიც საოცარ სანახაობას ქმნის მნახველისთვის.

ზიზი მამულაშვილი (მიხეილის ძმის შვილიშვილი) :





საკუთრებუ-
ლი მდებარე-
ობა აქვს.
აქედან მოჩანს
ჯვრის მონას-

ტერი და სვეტიცხოველი. იყო დრო, როცა კომუნისტები არავის აძლევდნენ უფლებას ამ ბაღის გარშემო რაიმე აგებულიყო. გარკვეულ პერიოდში, იყო აზრი, ბაღის მოპირდაპირე მხარეს, ჯვრის მონასტრამდე საბაგირო გზა გაეყვანათ, მაგრამ კომუნისტებმა არავის მისცეს რაიმეს გაკეთების უფლება.

ბაღში ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილი მცენარეები ხარობდა, მათ შორის სხვადასხვა ჯიშის ვარდი, ყაყაო, ალბური წარმომავლობის ხის იორდასალამი. ეს მცენარე ზამთარში არ კვდება, აქვს წითელი, ვარდისფერი და მოთეთრო ფერის ყვავილები; ასევე იასამნები, ალბური ყაყაოები, იტალიური ზანზალაკები, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი სუროები არის ასწლოვანი წითელი ხე, რომლის მერქანიც უძვირფასესია და ავეჯის დასამზადებლად გამოიყენება. ბაღში იზრდება, ასევე, ორი არგენტინული კედარი. უამრავი სხვა მცენარე ხარობს, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

მინდა გავიხსენო პაპის გარდაცვალების დღეს პიონერთა სასახლეში მისი აღსაზრდელის წარმოთქმული სიტყვა: „მიშა პაპა ისე გაეპარა თავის ყვავილებს ამ ზამთარში, როგორც დედა — მძინარე შვილებს“.

იმედს გამოვთქვამ, რომ მონესრიგდება წყლისა და გათბობის საკითხები, რითაც გადავარჩენთ უნიკალურ ბაღს, ჩვენი შვილების საკუთრებას.

მიხეილ (მიშა) მამულაშვილი (დიდი მიხ-

ფოთოლს უხეშად მოკიდა ხელი. ეს რომ მიხეილმა დაინახა, ქალს თმებზე დაქაჩა. თანამოსაუბრემ ამგვარი ქცევის მიზეზი ჰკითხა, მან კი უპასუხა — ყვავილსაც სტყვიავო. ამ ბაღს გან-

ეილის შვილთაშვილი):

— პაპა დაიბადა 1873 წელს და 100 წლისა გარდაიცვალა. ანდერძის მიხედვით, დაკრძალულია თავის ბაღში. ჰყავდა სამი შვილი: პაპაჩემი — მიშა, გოგი და პელაგია. მეუღლე ადრე გარდაეცვალა. მისი სამივე შვილი მონაზონმა პელაგიამ გაზარდა, რომელიც დაკრძალულია სამთავროს დედათა მონასტერში. იქვეა დაკრძალული პაპას მეუღლე და ქალიშვილი.

გადმოცემით ვიცი, რომ პაპის ნათლია ილუმენია ნინო ამილახვარი იყო. ეს სახლი პაპამ 1923 წელს ააშენა. დღეს იგი მთლიანად საჭიროებს რესტავრაციას. აქ ინახება უნიკალური არქივი, ხელნაწერები, მოგონებები, ფოტოები და ფერწერული ტილოები. მისივე დანატოვარია ჰერბარიუმიც. აუცილებელია ამ საგანძურის გადარჩენა. არასათანადო პირობების გამო შეიძლება ყველაფერი დაიკარგოს.

მუშტაედის ტერიტორიაზე იმ დროს გაიხსნა პირველი საბაღოსნო სკოლა, სადაც პაპა სწავლობდა. მაშინ ამ სკოლის დირექ-

ტორი ალექსანდრე ემილის ძე კლააუზენი იყო. მისი განათლების მიღებაში დიდი წვლილი ილია წინამძღვიშვილსაც მიუძღვის.

სწორედ ილია წინამძღვიშვილის ინიციატივით 1907 წელს თბილისში გაიხსნა ყვავილების მალაზია „სოლეიდორი“. მალაზიას პაპა ხელმძღვანელობდა. აკეთებდა თაიგულებს, გვირგვინებს, საქორწინო კალათებს.

როცა მცხეთაში უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჩამობრძანდებოდა ხოლმე, დიდ პაპას ხშირად სტუმრობდა დედა პელაგიასთან ერთად. ერევნის მოედანზე სადაც, პაპას მალაზია ჰქონდა, ხშირად იკრიბებოდნენ უპატრონო ბავშვები. პაპა მათ საბაღოსნო საქმიანობის სწავლას სთავაზობდა და ასწავლიდა კიდევ. ნარეკვავის მეურნობაში უამრავი ახალგაზრდა დააყენა სწორ გზაზე.

გადმოცემის თანახმად, „სოლეიდორში“ შესულან „ვანზატების“ წარმომადგენლები და გაოცებული დარჩენილან, როცა ულამაზესი



ყვავილები უნახავთ. შემდეგ დეპეშა გამოუგზავნიათ და სტუმრად მიუწვევიათ. მართლაც 1913 წელს, პაპა და მისი უფროსი ვაჟიშვილი ჰოლანდიაში გამგზავრებულან.

თურმე მასპინძლებს, ხუთ ძმას, ვანზატელებს საყვავილეები ჰქონიათ გაკეთებული. ერთ დღეს პაპა ძმებმა წაიყვანეს ჰაგაში და ქალაქგარეთ დედოფლის სასახლეში შეიყვანეს. მიხეილი გაოცებული დარჩენილა, როცა უნახავს მთელი სასახლის ეზოში აყვავებული ტიტები. ამ დროს ჰოლანდიის დედოფალი, ნიდერლანდების სამეფოს მონარქი ქალი, ვილჰელმინა იყო. იგი თვითონ ჩამოსულა სასახლიდან სტუმრების დანახვისას, უკითხავს საიდან იყვნენ. როცა გაუგია, რომ ცნობილი დეკორატორი საქართველოდან ჩამოსულიყო, მისამართი გამოურთმევია. პაპა იხსენებდა: სექტემბრის თვე იდგა, ჰოლანდიის დედოფლის საჩუქრებმა გული გამიხარა. ცხრა მოზრდილი ყუთი გამოგზავნა, ოცდაცამეტი სხვადასხვა ჯიშის ტიტის ჰოლანდიური ჰიბრიდებით.

ჰოლანდიის გარდა, გერმანიაშიც ყოფილა. იქ თურმე ერთ-ერთ ყვავილების მაღაზიაში შესულა და ყვავილების მოტანა უთხოვია, რათა თვითონ გაეკეთებინა რაიმე კომპოზიცია. გამყიდველმა პაპას სურვილი შეუსრულა და მასალა მოუტანა. მნახველები შექმნილი კომპოზიციით აღფრთოვანებულან და გერმანიაში დარჩენა შეუთავაზებიათ, მაგრამ პაპა მიხეილს უარი უთქვამს.

მოსკოვში ყვავილების საერთაშორისო გამოფენაზე, პაპას პირველი ადგილი აუღია და ოქროს მედლით დაუჯილდოვებიათ. დიდი მიხეილი მრავალმხრივ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს ასი მანეთი შესწირა, და შოთა რუსთაველის უნიკალური პორტრეტი გადაარჩინა. ეს პორტრეტი ორბელიანების საკუთრება ყოფილა (ერეკლეს ასულის, თეკლე ბატონიშვი-

ლის ოჯახისა)...

ილია წინამძღვრიშვილმა მოსწერა: „ჩემო სულიერო შვილო მიხა, ღმერთსა ვთხოვ შენს ჯამთელობას, შენ შრომას არა აქვს საზღვარი საქართველოს მოზარდ შვილებისათვის, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, წმინდა და უანგარო



კაცი ხარ, ღმერთმა ქმნას, საქართველოში განმრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულე სამშობლოსი“.

დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ძალიან ძნელია მხოლოდ საკუთარი ხელებით ბალის გადარჩენა. ზამთარში უამრავი მცენარე დაგველუპა. ასე თუ გაგქელდა, დაიკარგება ის სიმდიდრე, რაც ჩვენს შთამომავლობას ეკუთვნის. ეს ბალი არამარტო ჩემია, მთელი საქართველოს საკუთრებაცაა. ეს არის ჩვენი ხალხის, ერის სიმდიდრე.

P.S. მიხეილ მამულაშვილის ბაღში გაზაფხული დამდგარა. ალაგ-ალაგ იები ამოსულიყო, ყოველ კუთხეში ქვაში გატოვებული საქართველო მოჩანდა. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და თითქოს მახარებდნენ — აქ დიდი ხანია გაზაფხულდაო....

ნათია გოგუაძე

ფოტოები მიხეილ ჭიჭიშკოშვილისა.

ძველი ფოტოები მიხეილ მამულაშვილის ფოტოარქივიდან



მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება კონსტანტინოპოლში 381 წელს იმპერატორ თეოდოსი დიდის (379-395წ.წ.) დროს შედგა. მას 150 კაცი დაესწრო. დრო, რომელიც ეკლესიამ I-დან II კრებამდე განვლო, მეტად რთული იყო. ამ პერიოდში ბიზანტიას მართავდნენ არიანელი იმპერატორები: კონსტანტინე II, ვალენტი და წარმართი იულიანე, „განდგომილად“ წოდებული. გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის ბევრ საეპისკოპოსო კათედრაზე არიანელი ეპისკოპოსები ისხდნენ, წარმოიშვა ერესები: მაკედონიოსის ერესი (სულთ-

და სულიწმიდის შესახებ. ზემოხსენებულ სიმბოლოს დღემდე ის სახე აქვს, როგორიც მეორე მსოფლიო კრებაზე მიიღეს. მას მეორენაირად მრწამსს უწოდებენ. ამ კრებამ სულ შვიდი კანონი მიიღო და მნიშვნელოვნად გაუფართოვა უფლებები კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს. კრების მესამე კანონით კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს აქვს უპირატესობა, ანუ წარჩინებულება პატივისა, რომელიც რომის ეპისკოპოსის პატივის ტოლია, ვინაიდან კონსტანტინოპოლი არის „ახალი რომი“. მის საგანგებლო ოლქს მიუერთეს პონტოს, მცირე

II მსოფლიო საეკლესიო კრება

მბრძოლნი), რომლის მიმდევარიც ძე ღმრთისას მიიჩნევდნენ მამა ღმრთის მსგავსად, ხოლო სულიწმიდას ღვთის პირველ ქმნილებად და იარაღად. ანომეველთა-აეციუსის და ევნომიოსის ერესები ასწავლიდნენ, რომ ძე მამის მსგავსი კი არ არის, არამედ მისგან არსობრივად განსხვავდება.

წყაროების სიმწირის გამო, ჩვენთვის უცნობია, რამდენი მღვდელმთავარი დაესწრო კრებას. არსებობს ცნობა, რომ მას თავმჯდომარეობდა მელეტი ანტიოქიელი, რომელიც კრების მიმდინარეობის დროს გარდაიცვალა. შემდგომ თავმჯდომარეობდა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. იგი შეეცადა ეკლესიაში წარმოქმნილი დაპირისპირების მოგვარებას, მაგრამ მისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. გრიგოლ ღვთისმეტყველმა თავყრილობაც დატოვა და კონსტანტინოპოლის კათედრაც. ბოლოს კრებას კონსტანტინოპოლის ახლადარჩეული ეპისკოპოსი ნექტარიოსი ხელმძღვანელობდა. კრების მონაწილეებმა დაგმეს მაკედონიოსის, ანომეველთა-აეციუსისა და ევნომიოსის ერესები, ასევე ფონინის მოძღვრება, რომელმაც განაახლა საბელიოზისა და აპოლინარიოსის სწავლება, თითქოს მაცხოვრის ხორციელი ბუნება მოჩვენებითი იყო. კრებაზე მიიღეს სარწმუნოების შევსებული სიმბოლო, რომელსაც ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს უწოდებენ. ამ სიმბოლოში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო სწავლებაზე ძისა



აზიისა და თრაკიის მიტროპოლიები. კრებამ ასევე დაადგინა ეკლესიაში მწვალებელთა (მათი მონაწილეების შემთხვევაში) კვლავ დაბრუნების საკითხი. კერძოდ, ეს უნდა მომხდარიყო ნათლისღებით ან მირონცხებით, რაც მათი მწვალებლობის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ამ კრებაზე მართლმადიდებლობის დაცვაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის წმინდა ბასილი დიდს. მართალია, იმ დროს იგი უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მისმა თხზულებებმა დიდი როლი ითამაშა ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს შემუშავებაში, აგრეთვე, წმინდა გრიგოლ ნაზიანზელს, ღვთისმეტყველს, რომელიც 381 წელს კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი იყო. მისმა თხზულებებმა ასევე

დიდი როლი ითამაშა მრწამსის ფორმულირებაში. გრიგოლ ნოსელი კრებას ბოლომდე ესწრებოდა და ასევე, დიდი წვლილი შეიტანა დოგმატიკის ჩამოყალიბებაში. ზოგადად, განუზომელია წმ. კაპადოკიელი მამებისა და კაპადოკიური საღვთისმეტყველო სკოლის დამსახურება ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს შემუშავებასა და ჭეშმარიტების დაცვაში.

მოამზადა:
როლანდ სანდერაშვილმა



„მხოლოდ ამ სამყაროში მიხაროდა“

„ადამიანის დანიშნულება უფლის ჰოვანაა“
ბერი იოსებ ათონელი

„საჭიროა გიყვარდეს ყველა,
ყველაზე მეტად კი ღმერთი“
სერაფიმ საროველი

ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარად წარემატება ცხოვრების გზაზე. ღმერთი ზოგს ერში აკურთხებს, ზოგს — ბერში. ადამიანები, რომლებიც საერო ცხოვრებას ირჩევენ, ხშირად მაინც ვერ წყდებიან ბერულს, რადგანაც უფალთან სიახლოვე მეთთვის ყველაზე ტკბილია. ის, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა სტუმრად მონასტერში, მისი ტიპიკონით უცხოვრია, სამორჩილო საქმე შეუსრულებია და მაღლი შეუმოსავს, არასოდეს დაავიწყდება იქაური სამყარო. მეც მუდამ მახსენდებოდა წალკაში გატარებული დღეები, ის სულიერი სიმშვიდე და სიხარული, რასაც იქ განვიცდიდი, ამიტომაც სულ ვუცდიდი ხელსაყრელ დროს, რომ თბილისი დამეტოვებინა. და აი, მოძღვარმა მაკურთხა, მცხეთის იოანე-თორნიკე მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტერში წავსულიყავი.

იოანე-თორნიკე მთაწმინდელის სახელი ადრე არ გამეგონა.

მონასტრის წინ უგემოვნო, სხვადასხვა ფერის კორპუსები წამოჭიმულან და პატარა

ტაძრის სილამაზეს მალავენ. ცხოვრებაშიც თითქოს ასეა — უღირსი წინ წამოწევას ცდილობს, ღირსეული კი თავმდაბლად იმალება.

ასეთი ფიქრებით ავირბინე აღმართი მონასტრამდე და კარიბჭესთან ჩემს ბარგზე ჩამოვჯექი, რომ ცოტა დამესვენა, თან იქაურობა დამეთვალე რეებიანა. მცხეთის სილამაზეზე საუბრით თავს არ შეგანწყენთ, რადგანაც ყველას კარგად მოეხსენება, რა მშვენიერია, განსაკუთრებით ზაფხულში. მონასტერი მწვანეში იყო ჩაფლული, შორს კი ნისლი ყელსაბამივით მორკალილყო მთებსა და მწვერვალებზე. „რომ მოსალამოვდება, ალბათ, უფრო დაბლაც ჩამოინევს და ღამით მონასტერსაც შემოეჭდობა“ — გავიფიქრე. უზომოდ მიყვარს ნისლის ცქერა...

ამასობაში ტაძრის კეთილმოწესე გამოჩნდა... ავედით მონასტერში. კელია, რომელშიც უნდა მეცხოვრა, ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ მხარეს მორჩილი რებეკა ცხოვრობდა და სამორჩილო საქმეში მას მიმამაგრეს. აქ უფრო მეტი მქონდა თავისუფ



იოანე-თორნიკე მთაწმინდელის სახელობის მონასტერი

ფალი დრო, ამიტომაც ლოცვისა და საქმის გარდა სასულიერო ლიტერატურასაც ვკითხულობდი (მათ შორის უწმიდესის ეპისტოლეებს). უამრავი რამ ამოვიწერე, რაც ჩემს მაშინდელ სულიერ მდგომარეობას ეპასუხებოდა. განსაკუთრებულად მახსოვს სიტყვები:

„როგორც მთიდან მომზირალი ადამიანი ირგვლივ ყველაფერს ხედავს — მთის ნაპრალებს, ხევებს, ხოლო მათში ჩაბუდებულ სიბინძურეს და ჭუჭყს კი ვერ ამჩნევს, ასეა ამაყი ადამიანიც, თავისი ამპარტავნების მწვერვალიდან საკუთარი სულის უწმინდურობას ვერ ამჩნევს“.

მაინც როგორ უნდა ვისწავლოთ სიმდაბლე, ჩვენი ცოდვები რომ დავინახოთ? რა თქმა უნდა, მორჩილებით. მონასტერში ასე სწავლობენ.



მეც არაერთხელ დავფიქრებულვარ ამაზე და შესაბამისად, ყოველთვის ვცდილობდი მორჩილების უსიტყვოდ შესრულებას. განსაკუთრებით იმის გაკეთებას, რაც მეძნელებოდა. მქონდა საყვარელი სამორჩილო საქმეც — ბაღში მუშაობა. იქ ულამაზეს ყვავილებს ვუვლიდი, ისეთ იშვიათობებსაც, რომლებიც ადრე არ მენახა. საღამოობით კი ლოცვის დამთავრების შემდეგ, ჩამოვჯდებოდი ბაღში, ტაძრის კიბეზე და შორს, კლდის თავზე განათებულ ჯვრის მონასტერს გავცქეროდი. ირგვლივ კი ყვავილების სურნელება ტრიალებდა... დაუფინყარი იყო ის დღეები.

მონასტერში ყოფნისას დავინტერესდი იქ მცხოვრებთა

ვინაობით. მინდოდა გამეგო, რამ მოიყვანა აქ სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის ადამიანები. თითოეულმა თავისი ამბავი მომითხრო და აღმოჩნდა, რომ ყველას განსხვავებული მიზეზი გააჩნდა. ბევრმა მათგანს მშობლებიც ჰყავდა, ოჯახიც ჰქონდა და მატერიალური კეთილდღეობაც, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მიატოვეს და უფალთან მივიდნენ. ახლა მათ მხოლოდ ის სურთ, რომ არასდროს მოშორდნენ მონასტერს. მათგან ყველაზე გამორჩეული დედა ეფემია იყო, რომლის თბილი და ხალისიანი ღიმილი ეხლაც თვალწინ მიდგას. მახსოვს, აღსარების თქმა მსურდა და, რადგანაც მამაო იქ არ იყო, მირჩიეს დედასთან მესაუბრა. ეს საუბარიც კარგად მახსოვს. დედა ეფემია სკამზე

იჯდა, მე კი — მის ფეხთით, ხალიჩაზე და ასე ვსაუბრობდი. მოვუყევი ჩემს ცხოვრებაზე, მიზნებსა და სურვილებზე. მან რჩევები მომცა და ცოტაოდენი საკუთარ თავზეც მიაბო:

„დაახლოებით 5 წლის წინ მოვედი მონასტერში. მშობლების დამოკიდებულება უარყოფითი იყო, მაგრამ ღვთის შენეებით მათი წინააღმდეგობის დაძლევა გამიადვილდა. პირველად 18 წლის ასაკში წავედი მონასტერში, სამჯერ დამაბრუნეს და მაშინ მახსოვს დავფიქრდი — მონასტერში ჩემს წარწყმედას ხომ არ ვეძებ-მეთქი? ბოლოს წალკაში წამოვედი და ვიცოდი, უკან ველარ დამაბრუნებდნენ. ვგრძნობდი, რომ ერში ბედ-

ნიერი არ ვიყავი და მხოლოდ ამ სამყაროში მიხაროდა. ახლა კი შესაძლებელი რომ იყოს წელიწადში რამდენჯერმე აღკვეცა, ჩემს ალტეშებს ყოველთვის განვაახლებდი.

ზოგჯერ მონასტერში სტუმრად მოსულები, იქ სამუდამოდ რჩებიან. ირმა 12 წელი იმყოფებოდა ქორწინებაში და მისი თქმით, მონაზვნობაზე არასდროს უფიქრია:

„ამ მარცვაში მორჩილად მაკურთხებენ. ქვეყანას ახალი სახელით მოვევლინები. თავიდან აქ სტუმრად მოვედი, მაგრამ 3 დღის შემდეგ უკან დავბრუნდი და მამაოსგან დარჩენის კურთხევა ავიღე. დედა ეფემია საოცრად კარგი წინამძღვარია, გულშიჩამწვდომია, შენი სიხარული უხარია, შენი ტკივილი ტკივა, მიმტყეპელი და უაღრესად მოსიყვარულეა. დებსაც ძალიან შევეჩვიე. უკან არავითარ შემთხვევაში არ დავბრუნდები“.

ამ ადამიანების სიხარული უსაზღვროა, როდესაც ისინი მონაზვნად აღკვეცაზე საუბრობენ. დედა რექაბი სწორედ ამაზე მოგვითხრობს:

— აღკვეცის დღე არასოდეს დამავინწყდება. ტაძარი სავსე იყო ჩემი მეგობრებით. როცა მონაზვნებით გარშემორტყმული მინაზე ვიყავი განრთხმული, ვფიქრობდი: ღმერთო შემაძლებინე ამ ჯვრის ტარებამეთქი. ის ღამე ტაძარში მართომ გავათიე.

— სად უფრო იოლია ცხოვრება ადამიანი, ერში თუ მონაზვნობაში?

— მონაზვნობა არ გაცხონებს, შენმა დათმენამ უნდა გაცხონოს. სადაც სწორად იცხოვრებ, ყველგან ცხოვრებ. მუდამ ვფიქრობ, თუ ჩემი მშობლები არ ცხოვრდნენ, ჩემი მონაზვნობა მაინც შეუშლავდა უჩქებს მდგომარეობას-თქო.

მონასტერში ყველაზე უხ-

უცესი ანა იყო, რომელსაც მალე 81 წელი უსრულდებოდა. ჩემი წამოსვლის შემდეგ ის დედა იოვანა გახდა.

დედა იოანა: აღდგომის დიდმარხვაში მოვედი მონასტერში. მინდოდა მონაზვნობა, რათა უკეთ შემეცნო უფალი. რთულია, მაგრამ ყოველად ნაყოფიერი, რომ შეუერთდე ღმერთს. მან ცხოვრებაში მაკურთხა ვყოფილიყავი დედა და მაჩუქა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. როგორც დედას შეეფერება, ისინი კარგ ადამიანებად აღვზარდე. მართალია, დიდი ღვაწლი დამჭირდა, მაგრამ უფალმა დამიფასა. მონაზვნობა იცი რა არის? — მოკლებული იყო მიწიერს და ფიქრობდე ზეციურზე. აქ ყველა მოქმედება უფლისადმი მიძღვნილი“.

მართლაც, მონასტერში ყოველი საქმე უფლის სადიდებლად კეთდებოდა. დედა ეფემია ყოველ საღამოს ესაუბრებოდა მონასტრის წევრებს. ასე უფრო ადვილად მიუწვდებოდა გული თითოეულ მათგანზე. კითხვაზე, თუ რატომ ირჩევს ადამიანი მონაზვნობას, მან ასეთი პასუხი გამცა:

მამა სერაფიმ როუზის თქმით: ყველამ, ვინც ამქვეყნიური საქმეები დატოვა, ან ცოდვათა სიმრავლის, ან ცათა სასუფეველის მიღწევის, ან ღვთის სიყვარულის გამო გააკეთა და თუ ამ სამიდან არცერთი არ იყო მათი განზრახვის მიზეზი, მაშინ სოფლიდან გასვლა უგუნურობა ყოფილა. მონაზონი ისაა, ვინც ყველგან და ყველაფერში მხოლოდ ღვთისას ხედავს და აკეთებს. მაგრამ, მარტო მონაზვნობა არ გაცხონებს. ადამიანისთვის ის ჯობია, რა გზაზეც ღმერთი მოუწოდებს... მოუწოდა მათაც უფალმა

და გაყვინ. „ვინც ქრისტეს გზას დაადგება, არა მარტო აუცილებლად გაიგებს, სად არის ჭეშმარიტება, არამედ, მიუახლოვდება კიდევ, ხოლო ჭეშმარიტებასთან სიახლოვე საუკუნო ცხოვრებას მიანიჭებს“ — ეს უწმიდესის სიტყვებია. ვისაც ჭეშმარიტების ძიება სურს, ის ტაძარში დგება, ხოლო ვისაც მეტი სულიერი ძალა აქვს, მონასტერში მიდის. ჩვენ კი, ერის ადამიანებს, შეგვიძლია ვიდგეთ ტაძარში და ზოგჯერ მონასტერში წავიდეთ, რომ მცირე ღვაწლით მაინც მივემსგავსოთ მონაზვნებს.

ეს წერილი 2007 წლის ივნისში დაიწერა. ამის შემდეგ მონატრებამ არაერთხელ ჩამიყვანა ამ მონასტერში, სადაც ბევრი რამ შეიცვალა: ირმა დღეს იქ აღარ ცხოვრობს, დედა იოვანა გარდაიცვალა, უფალმა მოიხსენოს მისი სული; რამდენიმე ახალი წევრიც შეემატათ და უფლის ნებით, ყველანი თანხმობით ცხოვრობენ. მე ბედნიერი დღეები გავატარე ამ მონასტერში და ყველაზე დიდი სიყვარულით მინდა გავიხსენო დედა ეფემია, რომელ-

მაც სული გამითბო. ამ პატარა ლექსით ყველაფრისთვის მადლობას ვუხდის:

როგორი წხოვრების ჭრელი ზღოცებზე
შენი ნაყვები მიმაქვს საგზაოვად.
ღვთობრივ გრძნობით ნათქვამ სიტყვებზე
გუცმოფენილი ვიფიქრებ მარად.

დედაო, სული გამითბე წოდვილს,
ამასვე მეტი იმედით, რწმენით
გადაყვორე სამარის ლოდი,
გუცს ჩემსას, ასე შეხე ხელი.

შენი ღიღრიანი თვალების ფერი
მე ღიღხანს, ღიღხანს ვადარე ზეჟას,
და ევ ლიმილი, ასე რომ გშვენის,
ჩველგან სძაღლოს და ქრისტეს მიუღრას.

ზეჟის ვერაფრის ვერა ვარ მოქმელი,
დამლოყე დედა სულიერი ზავში,
გონგაფხტული, რწმენი მლოყველი
და უვარგისი მორჩილებში.

P.S. დედებს ამ მონასტერში წესად ჰქონდათ, ყოველი ლოცვის ბოლოს ერთმანეთს შენდობას სთხოვდნენ. მეც მინდა, ამ წერილის ბოლოს შენდობა ვითხოვო, თუ რაიმე სწორად არ დავწერე.

ნინო ჭინჭარაული





როდესაც 1492 წლის 12 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბი სან-სალვადორის კუნძულს მიაღწა, ის და მისი თანამგზავრები შეძრა უჩვეულო სანახაობამ — აბორიგენები პირიდან და ცხვირიდან ბოლს უშვებდნენ. ინდიელები (ასე უწოდა მათ კოლუმბმა) „წმინდა“ დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომელზეც ისინი განსაკუთრებულ ბალახს ეწოდნენ სრულ გაბრუებამდე. ამ მდგომარეობით ისინი, თითქოს, კავშირს ამყარებდნენ „ღმერთებთან“ და შემდეგ ყვებოდნენ, თუ რას ეუბნებოდა მათ „დიადი სული.“ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ესპანელმა მეზღვაურებმა თავის თანამემამულეებსაც გააცნეს ზემოაღნიშნული „სიამოვნება“. მოგზაურთა ცნობების თანახმად, ამერიკელი აბორიგენები თამბაქოს ფოთლებს ღმერთების ნაბოძებად მიიჩნევდნენ და უწოდებდნენ მას ტობაკო-ს... მოგვიანებით საფრანგეთის ელჩმა, ჟან ნიკომ, მეზღვაურისაგან თამბაქო იყიდა, მას „ნიკოტიანა ტაბაკუმ“ უწოდა და საფრანგეთის სამეფო კარზე გაგზავნა.

მე-16 საუკუნის ბოლოს ჩიბუხის მოწევა პოპულარული გახდა ლონდონში, სადაც

მოდაში ე.წ. „მოსანევი საღამოები“ შემოვიდა. და თამბაქოს მოყვარულთათვის სპეციალური სამოსიც კი გამოიგონეს სმოკინგი (ინგლ. smoking — მოწევა).

თამბაქოს წარმოშობაზე ლეგენდებიც არსებობდა. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, თამბაქო სისხლის აღმრევთა (ცოდვილი დაძმის) საფლავიდანაა აღმოცენებული. დროთა განმავლობაში თამბაქოს ციებ-ცხელება მთელს ევროპასა და აზიაში დაიწყო. მის აღსაკვეთად ძველად უამრავ სადამსჯელო ზომას მიმართავდნენ. დაწესებული იყო ეკლესიიდან განკვეთა, დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა და მათი პირში ჩიბუხგაჩრილი თავების გამოფენა, ტუჩებისა და ცხვირის მოკვეთა, თამბაქოთი მოვაჭრეთა ცოცხლად დაწვა, ნესტოებისა და ცხვირის დაჭრა და დამნაშავეთა გადასახლება. მაგრამ დროთა ცვლამ ეს ყველაფერი შეცვალა და მწვევლთათვის განკუთვნილი სადამსჯელო ზომები მათივე ნახალისების პროპაგანდამ შეცვალა.

თამბაქო მცენარეული ნაწარმია. მისი ბოლის შემადგენლობა რთულია და 5000-მდე ნივთიერებას შეიცავს. ქვემოთ უფრო

ახლოს გავეცნობით რამდენიმე მათგანს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ მოწევა არა მარტო თვითმკვლელობა, არამედ სხვა ადამიანების მკვლელობაცაა...

ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს მიეკუთვნება ნიკოტინი (რომელიც არაფრით ჩამოუვარდება კოკაინსა და ჰეროინს) და ფისი (თამბაქოს კვამლი). ერთი ღერი სიგარეტი დაახლოებით 8,4 მგ. ნიკოტინსა და 15 მგ. ფისს შეიცავს. თამბაქოში შემავალი ნიკოტინი ადამიანს თანდათანობით კლავს, — იწვევს რა მძიმე დაავადებებს. იგი, ჩასუნთქულ კვამლთან ერთად, ჩადის ფილტვებში, სწრაფად გადადის სისხლში და თავის ტვინს სულ რაღაც 8 წამში აღწევს. აღსანიშნავია, რომ ერთი წვეთი ნიკოტინი კლავს საშუალო წონის ადამიანს.

თამბაქოს კვამლის ერთ-ერთი შემადგენელი ნივთიერებაა ნახშირის მონოქსიდი, რომელიც მანქანის გამონაბოლქვში გამოიყოფა და საკმაოდ ძლიერი შხამია. თამბაქოს კვამლი ასევე შეიცავს დარიშხანს და ამონიუმს; ამათგან პირველი ცნობილი შხამია, ხოლო მეორე კი სხვადასხვა ხსნარების შემადგენელი კომპონენტი. თუ ადამიანი დღეში 20 ღერ სიგარეტს ეწევა, წლის განმავლობაში მის ფილტვებში 1 ლიტრი ფისი (თამბაქოს კვამლი) დაილექება.

საინტერესოა, რატომ ხდებიან მასზე ასე ადვილად დამოკიდებულნი?! მიზეზი მრავალფეროვანია და ამასთან რთულიც... უმრავლეს შემთხვევაში მოწევის ჩვევა მოზარდობის პერიოდში ყალიბდება. უკვე 20 წლის ასაკში განისაზღვრება მწვევლთა სტატუსი. ზოგიერთი ბავშვი მოწევას 9-11 წლიდან იწყებს.

მათი 80% კი ამ ჩვევას რეგულარულად აგრძელებს მოზარდობის ასაკშიც. მოწევა მოზარდებში შეიძლება გახდეს სიფიციხის, გაღიზიანების, გაფანტულობის, დაბნეულობის, ყურადღებისა და მეხსიერების დაქვეითების, ძილის დარღვევის მიზეზი. რაც უფრო ადრე იწყებს ადამიანი მოწევას, მით მაღალია სიკვდილიანობის რისკი. იმ მწვევლებში, რომელთა ასაკი 18 წელია, უკვე აღინიშნება გულის დაავადების ნიშნები.

ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ საქართველოში სიგარეტის მოწევის შედეგად ყოველწლიურად 8-12 ათასი ადამიანი იღუპება, მსოფლიოში კი — 3-4 მილიონი. სტატისტიკის თანახმად, ამ ციფრებს ყოველ 10 წამში მოწევის შედეგად გარდაცვლილი თითო ადამიანი ემატება. ერთი ღერი სიგარეტი მწვევლის სიცოცხლეს საშუალოდ 7 წუთით ამცირებს.

მოწევა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც თვითმკვლელობად, ასევე მკვლელობადაც. ჩვენი ბინების, ოფისებისა და სხვა ადგილების გაბოლვას იმ „უცოდველ სიამოვნებას“ უნდა „ვუმადლოდეთ“, რომელზე უარის თქმაც, რაღაც მიზეზების გამო, არ შეუძლია ზოგიერთ ჩვენს ახლობელსაც. ცნობილია, რომ საქართველოში „პასიური წვევის“ მიზეზით ყოველწლიურად 82 000 არამწვევლი ავადდება. თამბაქოს ნებისმიერი მომხმარებელი,

რომელიც სხვების თანდასწრებით ეწევა, ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, „პასიური წვევის“ შედეგად ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად საშუალოდ 4000 კაცი იღუპება...

ყველა მწვევლმა უნდა გააცნობიეროს, რომ თამბაქოს მოხმარებით, საკუთარი თავის გარდა, გარშემომყოფებსაც აყენებს ზიანს (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებს).

სიგარეტი მოქმედებს არა მხოლოდ ადამიანის ორგანიზმზე, არამედ ცვლის მის ქცევით ჩვევებსაც. ნიკოტინს ახასიათებს დამოკ-



იდებულების, მიჩვევის ჩამოყალიბება. ჩვევითი დამოკიდებულება ფორმირდება თანდათანობით და მოიცავს სიგარეტის ყიდვის, კოლოფის გახსნის და მოწევის „რიტუალებს“, რომელიც ხშირად თან ახლავს ფინჯანი ყავის სმას, სატელეფონო საუბრებს, ნერვულ გაღიზიანებას, შესვენებას სამსახურში, მანქანის ტარებას, ალკოჰოლის მიღებას, მეგობრებთან შეკრებებს.

დასავლეთის ქვეყნებში საზოგადოებაში სიგარეტის მოწევა სამარცხვინო საქციელად ითვლება; მოწევა ცუდ ტონადაა აღიარებული. მწველი მოზარდი აუცილებლად არაპრესტიჟულ პიროვნებად ითვლება. აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში მწველ ადამიანს გაუნათლებელს უწოდებენ; ასეთი ადამიანი სოციალურად დეგრადირებულად ითვლება და უპრინციპო ადამიანის სიმბოლოა. იყო მწველი — არ

ნიშნავს, რომ ძლიერი ხარ, პირიქით — იყო მწველი — ნიშნავს, რომ უძლური და უნებისყოფო ადამიანი ხარ, რომელიც ხელყოფს არა მარტო საკუთარ, არამედ სხვების ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც და ამ საშინელი პროცესის შეწყვეტას ვერ ახერხებს.

მთავარეპისკოპოსი იოანე (შახოვსკი) წერდა: „ისეთი წვრილმანი ცოდვა, როგორიც თამბაქოა, ისე გადაეზარდა ადამიანთა საზოგადოებას ჩვევაში, რომ საზოგადოება მას ყოველგვარ პირობებს უქმნის. სად აღარ შეიძლება სიგარეტის პოვნა! ყველგან შეხვდებით საფერფლეს, ყველგან არსებობს მოწვევისათვის განკუთვნილი სპეციალური ოთახები, ვაგონები, კუბები მწველთათვის. გაზვიადებული არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ მთელი მსოფლიო წარმოადგენს ერთ ოთახს, უფრო სწორად კი ერთ უზარმაზარ ვაგონს მწველთათვის ვარსკვლავთაშორის სივრცეში“.

მოწვევისთვის თავის დაწებებას ძლიერი ნებისყოფა

სჭირდება; მისი მიტოვების შემდეგ პირველი დღეები ურთულესია ნებისმიერი მწველისათვის. ამ შემთხვევაში აუცილებელია ადამიანმა გარემო შეიცვალოს, სიგარეტის მოკიდების ნაცვლად გაისეირნოს, ისუნთქოს ნელა და ღრმად... მართალია რთულია, მაგრამ ნებისმიერი მწველის მიერ მოწვევისთვის თავის დაწებება შესაძლებელია და რაც მთავარია, საუკეთესო გადაწყვეტილებაა!

ამისთვის უმთავრესია, რომ ყოველმა მწველმა გამოიჩინოს ნებისყოფა და ირწმუნოს, რომ თუკი მოინდომებს, შეძლებს კიდეც თამბაქოსათვის თავის დაწებებას! მთავარი ხომ მოინდომება... თუკი მოვინდომებთ, უფლის შეწევნით ყველა პრობლემას დავძლევთ!

თამარ არზიანი



Sigaraadaki Zehirleri Hiç Merak Ettiniz mi?
Sigara Dumanında
3unlardan Başka
1000'den Fazla Zehir Var !..

ARSENİK (Çok Güçlü Zehir)	SİYANÜR (Çok Güçlü Zehir)
NAFTİLAMİN (Kanser Yapar)	TOLUIDİN (Kanser Yapar)
METANOL (Körük Yapar)	AMONYAK (Yer Temizleyici)
PİREN (Kanser Yapar)	ÜRETAN (Kanser Yapar)
KARBONMONOKSİT (Zehirli Gaz-Egzoz Gazı)	TOLUEN (Endüstriyel Solvent)
NAFTALİN (Güve Zehiri)	KATRAN (Acıktı Yağdan Zift)
KADMIYUM (Ateroskleroz ve Kanser Yapar)	POLONYUM 210 (Radyoaktif Madde)
NİKOTİN (Aşışkanlık Yapar, Zehir)	FENOL (Zehirli Madde)
BENZOPİREN (Kanser Yapar)	ASETON (Boya Çıkartıcı)
VİNİL KLORİD (Kanser Yapar)	DİBENZAKRİDİN (Kanser Yapar)
	DDT (Böcek Zehiri)

**Kendinize Bir İyilik Yapın
SİGARAYI
BIRAKIN**

Afşi Hazırlayan: Dr. Mükremin Er, Göğüs Hastalıkları Uzmanı, Ankara Güven Hastanesi, Şişli Ek. No:29, Kavalidere Ankara

ბრუნეცია

საქართველო კრთილ ჟურნალი

დღეს არსებული პრობლემის ფონზე საზოგადოებას შესაძლოა უმნიშვნელოდ მოეჩვენოს აკვნის პოეზიაზე საუბარი და გასაუვირიც არ იქნება, რადგან დღეს იავენანასა და აკვნასა თავისი დანიშნულება დაკარგული აქვს. მიუხედავად ამისა, ალბათ ბევრს დარჩენია ტკბილ მოგონებად ყრმობის წლებში მოსმენილი საამო ლექს-სიმღერები.

ადრე წარმოუდგენელი იყო ვინმე „იავენანის“ გარეშე გაზრდილიყო. ვაჟა-ფშაველას თქმით: „როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება ალმზრდელი, რძე — საზრდოდ და ნანა — მოსასვენებლად... ყველა ეს ხდება ოჯახში დედის ხელმძღვანელობით და სწორედ ეს არის დასაბამი პატრიოტიზმისა“.

აკვანი და იავენანა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. პირველი ძველთაგან გავრცელებული იყო ევროპა-აზიის ზოგიერთ ხალხებში. აკვანი არსებობს ორგვარი — სარწვევი და საქანებელი. სარწვევს საგოგავეები აქვს, საქანებელი კი თოკებზეა ჩამოკიდებული. აკვნის პრიმიტიული სახეობაა ე.წ. „ხოჭიჭი“ — საგებლიანი ფიცარი. ნამდვილ აკვანში ჩანვენამდე ჩვილს ხოჭიჭში აკრავდნენ, ზოგჯერ კი ზანდურის (პურეულის) ღეროებში ახვევდნენ და არტახებით ძნასავით კრავდნენ. ამგვარ საწოლს „ფირცხი“ ერქვა.

საქართველოში გავრცელებული ჩვეულებრივი სარწვევი აკვნის მოწყობილობაში შედის ნაილი, საბანი, მუხლთბალიში, საფერხები, სამხრეულები, საბეჭურები, არტახები და სხვა.

ლეიბში სათანადო ადგილზე ამოჭრილ ჰიგიენურ ნახვრეტზე უყრიდნენ შიბაქს ან აფენდნენ ბუერის, ანწლის, ღოლოს სუფთა ფოთლებს. უშვილობის ან ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში, ხატს პატარა აკვნს



სწირავდნენ. სწორედ ასეთ აკვნებთან იმღერებოდა და იგალობებოდა „იავენანა“, რომელსაც თავდაპირველად წარმართული დანიშნულება ჰქონდა. „იავენანის“ მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან იგი ქართული ხალხური მუსიკისა და სულიერი კულტურის ისტორიაში განვითარების უძველეს ეტაპს წარმოადგენს.

„იავენანასთვის“ დამახასიათებელია მარტივი, მაგრამ შთაბეჭდავი მელოდია, რომელსაც ასრულებს ერთი, ან მონაცვლეობით ორი მთქმელი (ქალი) გაბმული (ბურდონული) ბანის ფონზე. სიმღერა ერთმუხლოვანია და მდორედ ვითარდება. ის უმთავრესად ქართლ-კახური მუსიკის ფოლკლორში გვხვდება. იმერულ და გურულ სასიმღერო შემოქმედებაში კი უფრო გავრცელებულია „საბოდიშო“ ანუ „ბატონებო“. ვ. მაღრაძის მოსაზრებით მესხურ სიმღერებს „იავენანას“ ტიპის ინტონაციები და ფრაგმენტები უდევს საფუძვლად. „იავენანას“ მელოდიას დამუშავებული სახით ვხვდებით. ავალიშვილის, მ. ბალანჩიშვილის და სხვათა შემოქმედებაში.

„იავენანას“ ციკლის ლექსებს დიდაქტიკურ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც. მის მოტივებზე შექმნეს ლექსები რ. ერისთავმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, გ. ტაბიძემ და სხვებმა.

ქართული სააკვნო პოეზია შინაარსობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მასში მოიპოვება როგორც პატრიოტული, ისე რელიგიური, საისტორიო, საყოფაცხოვრებო და სხვა საინტერესო თემატიკა. თავდაპირველად, იგი წარმართული საკულ-

ტო რიტუალის საგალობელი იყო და უკავშირდებოდა მზის და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას. შემდგომ კი დაკარგა პირვანდელი სანესო ხასიათი.

აკვნის სიმღერები ძირითადად „ნანას“ (ნანინა) და „იავნანას“ სახელითაა ცნობილი. ისინი წარმოშობის მიხედვით განსხვავდებიან. „ნანა“ სანყისშივე საკუთრივ აკვნის პოეზიას წარმოადგენდა, ხოლო „იავნანას“ პირველადი ფუნქცია ბატონებისგან განკურნება იყო. მოგვიანებით, ორივე ციკლის ლექსები, ერთმანეთს დაუახლოვდა და დღეს აღარ განირჩევა. ერთში დედის გრძნობები სურვილ-მისწრაფებებია გამოხატული, მეორეში — უშუალოდ ბავშვის ბუნება და თავისებურებები. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან ის ლექს-სიმღერები, რომლებიც ტკბილხმოვანი მელოდიის ფონზე, დედის განწყობას გადმოგვცემენ. „იავნანას“ აღმზრდელობითი ფუნქცია და საგმირო-საისტორიო შინაარსიც მიაღწევს. ქართულ სააკვნო პოეზიაში ბრძოლის ველი, თავგანწირვა და მამულის სიყვარულის თემები ხშირად შეინიშნება. ის წარმოადგენს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, სულიერ კულტურას, ამაღლებულ იდეალებს და ამ ყველაფრის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ ასეთმა „იავნანამ“ გამოზარდა უამრავი ქართველი გმირი და საზოგადო მოღვაწე.

საპატრიარქოს ხალხური რენვის გამგე ელისო არაგული:



— ხევსურეთში ყველა იზრდებოდა აკვანში, ჩვენ ხუთივე და-ძმა აკვანში გავიზარდეთ. მეც, ჩემი სამი შვილი, სწორედ ასე გავზარდე და დღეს, მათაც ძალიან უყვართ აკვანი. ამბობენ რომ მონღოლები-სგანაა შემოტანილი, თუმცა, ნაკლებად მჯე-

რა, რადგან ძალიან კარგად ზის ქართულ ხასიათში. სამწუხაროა, რომ დღეს აკვანში აღარ იზრდებიან, მას თავისებური სილამაზე ჰქონდა. ბავშვს ხერხემალი სწორად ჰქონდა დაფიქსირებული. გავრცელებულია აზრი, რომ აკვანი, თითქოს, აკოჭლებს, მაგრამ, ხევსურეთში არავინ მინახავს მისგან დაკოჭლებული.

— როგორია თვითონ ხევსურული აკვანი?

— სხვებისგან განსხვავდება. ჩვეულებრივია, თუმცა გვერდებზე არა აქვს რიკულები, თვითონ კი მოჩუქურთმებულია. დაბლა ფიცარი აქვს, სადაც ქერის ჩაღას ყრიდნენ იქ აწვენდნენ ბავშვს, რომ, გვერდებიდან სიცივეს არ შეეწუხებინა. შიბაქიც არ ჰქონდა, თივა ეფინა, ისე, რომ ბავშვს არ ეხებოდა. ბავშვი შალეში იყო შეხვეული თავისუფლად მოძრაობდა. შალი თვითონ ისეთია, არ სველდება და ყველაფერს იწოვს. ბავშვს თოკებით კრავდნენ, აკვანზე ურძნის ხის ჯვრიან ნალოც მძივებს უკეთებდნენ. ურძანი წმინდა ხედ ითვლება, ხავერდით კანი აქვს და შავი ნაყოფი. არსებობს ისეთი აკვნები, რომლებშიც ბავშვს ხელ-ფეხი ცალცალკე ჰქონდა გაბოჭილი, მაგ: სამეგრელოში. თავი რომ არ გაბრტყელებოდა, რგოლი იყო შეკერილი. რაც შეეხება „იავნანას“, პაპაჩემი მღეროდა სხვანაირად, ბებიაჩემი სხვანაირად. „ეე ნანო ქალასაო, სამკალთ გაჩენილასაო“.

თუ ოჯახებს დანათესავება სურდათ, აკვანშივე ნიშნავდნენ შვილებს. დანიშნულები ცალ-ცალკე იზრდებოდნენ, ისინი უკვე ნათესავებად ითვლებოდნენ და შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ. თუმცა ზოგჯერ საპირისპიროდაც ხდებოდა, შეიძლება სხვა შეჰყვარებოდათ. ბიჭს შეეძლო უარი ეთქვა: „მე შენ აღარ მინდისხარ, თავს განებებ, ჩემგან თავისუფალი ხარ“ — ეს სიტყვები უნდა ეთქვა. გოგოს არ ჰქონდა ამის უფლება. მაგალითად ჩემი მეუღლის და ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ჩვენ 2-3 წლის ასაკში დაგვნიშნეს. აკვანში ნიშნობაც ალბათ ამიტომ ჰქვია, რომ ეს ძალიან პატარა ასაკში ხდებოდა.

ეროვნული მუზეუმის კოლექციების მენეჯერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ შოშიტაშვილი:

— საიდან შემოვიდა საქართველოში აკვანი და მისი რა ნაირსახეობები არსებობს?

— აკვანთან დაკავშირებით არსებობს ორი შეხედულება. პირველის მიხედვით, აკვანი მე-13 საუკუნეში შემოვიდა საქართველოში მომთაბარე ტომების შემოსევების შედეგად. მეორე ვერსიით, ადგილობრივი კულტურის ელემენტია. საკმაოდ მობილური ნივთია, ადვილად გადასატანი. აკვნის რამდენიმე სახეობა არსებობს: კლასიკური საგოგავებიანი (სარწვევი), ძველი აკვანი-ხოჭი, რომელიც ფიცარია და არ გოგავს. საქართველოს გარდა აკვანი ბევრგანაა გავრცელებული, მათ შორის შუა აზიაშიც.

— ვინ აკეთებდა აკვანს?

— როგორც ასეთი ხელობა „მეავენე“ არ არსებობდა, მაგრამ დურგალი, ხარატი სხვა საგნებთან ერთად აკვანსაც აკეთებდა, ვინც რიკულებზე მუშაობდა ის აკვნის გაკეთებასაც შეძლებდა და პირიქით.

— საკრალური მნიშვნელობა თუ ჰქონდა აკვანს?

— რამდენადაც ბავშვს უკავშირდებოდა, მისი დანვა არ შეიძლებოდა. ბოლო დრომდე საქართველოს ტერიტორიაზე ხის ნივთები არ შემორჩა, რადგანაც დაზიანების შემდეგ წვავდნენ. აკვნები კი შემონახულია, დამტყრეულებიც კი. საერთოდ მიიჩნეოდა რომ აკვანი, რომელშიც ბევრი ბავშვი იყო გაზრდილი, ბედნიერების მომტანი იქნებოდა.

— რას იტყვით აკვნის ეროვნულ მნიშვნელობაზე?

— ბიჭი ტრადიციულად მეომრად იზრდებოდა და მას ჰქონდა ხის ფარხმალი, გოგონას ჰქონდა აკვნის მოდელი, ანუ პატარა აკვანი, სადაც არტახებით ჩაკვრას სწავლობდა. ეს ისწავლებოდა სხვა ხელსაქმესთან ერთად და ამდენად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამასთან გოგონას პატარაობიდანვე უვითარდებოდა დედობის სათუთი გრძნობა და შვილიერების სურვილი.

**კახის ეკლესიის მოძღვარი
მღვდელი პადრი (არჩუაძე):**

აკვანი არის ადამიანის მორჩილი ცხოვრების დასაწყისი. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აკვანს ეკლესიის ფორმა აქვს.

ძველად მას თავში და ბოლოში ჯვრები ჰქონდა გამოკვეთილი, ბოროტისაგან დასაცავად. ახლა მძივებს კიდეები, მაშინ კი ნალოცი სკვნილი ეკიდა, რომელსაც ჩვილი ეთამაშებოდა. აკვანში ჩვილი მორჩილებას და მოთმინებას სწავლობს. როდესაც დედა არტახებს უჭერს, ბავშვი მორჩილებაში მოჰყავს. ამავე დროს ჩვილს უნდა ესაუბრობოდეს. კაცი იფიქრებს საუბრი რა საჭიროაო, მაგრამ ჩვილს ყველაფერი ესმის, გრძნობს და განიცდის... უბრალოდ ვერ გამოხატავს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არის კადრები, როდესაც დედის მუცელში ბავშვის მოწყვეტა სურთ, იგი შეშინებული გაურბის უცხო სხეულს — დანას. ჩვილს ჩასახვიდანვე ესმის მშობლების. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „იავნანას“. როდესაც დედა აკვანს არწევს და იავნანას უმღერის, ბავშვი იღებს დადებით მუხტს, განწყობას, სიყვარულს. ტექსტსაც თუ დავუკვირდებით, იგი ბავშვს ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულსაც ასწავლის და მუსიკალურადაც ავითარებს. აკვანი დედებს დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას ავალებს, რათა აცილებულ იქნას გვერდითი მოვლენები.

შემინდეთ, არავის განაწყენება არ მინდა, მაგრამ უყურადღებობა და პამპერსი აზარმაცებს დედას, ჩვილის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის... ჰერეთში მეტ-ნაკლებად დღემდე შემონახულია აკვანში ბავშვის აღზრდის ტრადიცია. უფროსის რჩევას ითვალისწინებენ, რადგან თვითონაც მორჩილებაში, ე.ი. აკვანში არიან გაზრდილი.



და ბოლოს, სამწუხარო ფაქტია, რომ დღეს ვითარება ამ მხრივ შეიცვალა. თანამედროვე ქალი დღეს ძალიან დინამიურად ზრუნავს თავის თავზე, ოჯახზე და კარიერაზე. მისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს აკვანითა და „იავნანით“ შვილების გაზრდა. თუმცა, რაც უნდა წინ წაინიოს ცხოვრებამ, როგორც უნდა განვითარდეს ტექნიკა და გათანამედროვედეს აღზრდის წესები, დედის მოვალეობები უცვლელი რჩება, იგი წმიდათა წმიდაა და გულგრილობითა და უსახური მოდერნიზებით არ უნდა გავაუფასუროთ.

ნინო ჭინჭარაული



აზაფხულდა! ვმადლობ უფალს, რომ კვლავ მომცა იმ დღეების, იმ სინათლისა და სითბოს, იმ სურნელის შეგრძნებისა და ტკბობისა, გაზაფხულს რომ თან მოჰყვება. ყოველი გაზაფხული

ჩემთვის რაღაც ახლისა და სასურველის მომტანია. ხომ ილვიძებს ბუნება, ჰოდა, მეც მგონია, რომ ღრმად და გულიანად მეძინა, რაღაც სევდიანსა და ცოტა შემცივნებულ სიზმარს ვხედავდი და, ჰოი, საოცრებავ?! ვიღაც მეძახის, მიკიჟინებს: გაიღვიძე, რა დროს ძილია, გაზაფხული მობრძანებულიაო! (ეს ჩემი სმავა, რომელიც ყოველ წელს ამ სიხარულს ხმაურით მიზიარებს).

გაზაფხულდა! ჰოდა, მეც უნდა გავუყვე სოფლისაკენ გზას. არ იფიქროთ ამ გზის გავლას ფეხით ვაპირებდე. ახლა მე თბილისში ვარ, სოფელი კი გორის რაიონში მაქვს. ჩავჯდები მატარებელში, რომელიც ჭაღარასავით, სიძველის ნიშნად გასდევს აღმოსავლეთ საქართველოს. იცით, რა ძველი და საცოდავია? ხანდახან ისე მეცოდება, მრცხვენია, ტვირთად რომ ვანეწარ მოყან-ყალბულ ზურგზე.

ჩემს ყურადღებას მცხეთა იპყრობს. მეგონა, ეს ქალაქი, ეს პატარა იერუსალიმი, მხოლოდ შემოდგომაზე იყო ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ წერისა და ხატვის მუზას განატრებინებს, მაგრამ ნახეთ ერთი, გაღვიძება სცოდნია ისეთი, შეგრცხვება, რა ძილის სურვილი მომძალუბიაო. არადა, როგორი დაღლილები არიან. ზოგი სამსახურიდან მოდის ღამენათევი, ზოგი ბაზარში იყო და ყინვას გადარჩენილი ბოსტნეული და ხილი გაყიდა. ფანჯრიდან ცქერით რომ არ ვტკებოდე, ამ ხალხის მოსმენას რა სჯობს! ჩვენი ქვეყნის ავან-ჩავანზე ყველას თავისი მოსაზრება აქვს, ამიტომ შიგადაშიგ ისეთი კამათი გაიმართება ხოლმე მთელი ვაგონი ფეხი-ზღდება, ზოგი კამათში ერთვება და თავისი აზრის დაფიქსირებას ცდილობს, ზოგი კი უკმაყოფილოდ იშმუშნება: რა აჩხუბებთ, მშვენივრად მეძინაო. მე ისევ ფანჯარაში ვიყურები და მეცინება... რაღაც ძალიან მიხარია და ვიცი, რატომაც.

გაზაფხულდა! აი, ჩემს სოფელსაც მიუახლოვდა მატარებელი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის, როდესაც სოფლიდან სადმე მივდივარ, რამდენი დღითაც უნდა ვიყო წასული, დაბრუნება ყოველთვის ერთნაირად მიხარია. შეიძლება ვინმემ დამცინოს, მაგრამ უნდა ვთქვა, ჩემი სოფლის ატალახებული ქუჩები (ჩვენ ორბოებს ვეძახით), ქალაქის პრესტიჟულ ქუჩებს მირჩენია. თანასოფლელები მხვდებიან,

ეს ჩემი

მესალმებიან და მეც გული სითბოთი მეცხება. დიდი გზით წასვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე, მტკვარს გადავხედავ, როგორ იქცევა, ვნახავ-მეთქი. ერთი გაჩვენათ, გაზაფხულზე როგორ გადაირევა და გასულელდება ხოლმე. არადა სხვა დროს ისეთი დინჯი და მშვიდია. აი, მივუახლოვდი სანაპიროს. ხავსის სუნი მეცა და ხმაურიც უფრო „ხმაურიანი“ მომესმა. ისე მიყვარს ეს სუნი!... გადავხედე, მოაგელვებს უშველებელ ტალღებს, მკლავი გაუშლია და ნაპირი აღარ უჩანს. აქეთ სოფელს აწყდება, მეორე ნაპირზე ბალები გაუვსია და თითქოს თავმოწონებით ამბობს: ნახეთ, როგორ ვანოყიერებ მინასო! მე კი ძალიან მეშინია ამ დროს მტკვრისა. რაღაც უცნაურად ამაყი და ბრაზიანია. რა ქნას აბა, თუ წვიმებია და თოვლი დნება?!

გაზაფხულდა! სახლში გული აღარ მიჩერდება. მივდივარ და კარგად ვიცი, სადაც. ის ადგილი, ახლა საითაც მივდივარ, ჩემთვის ყველაზე საყვარელი და ახლობელია. არ არსებობს ქვეყნის ზურგზე ისეთი ადგილი, რომელიც ამდენ სიყვარულს მაჩუქებდა ან მაგრძნობინებდა. იქ, სადაც ახლა მე მივდივარ, ყველაფერი ძალიან ძველია, მაგრამ ჩემთვის ახალივით სასიამოვნო. ასფალტიან გზას მივუყვები (გიკვირთ ალბათ, თუ ძალიან ძველია ასფალტიან გზას რაღა უნდაო მანდ, მაგრამ ამისთვის ხელისუფალთ იბრუნეს, რომ უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, ჩვენსავე, ფეხი ტალახში არ ამოსვროდათ).

ხიდზე უნდა გადავიარო. როგორც უკვე გითხარი, მტკვარი ადიდებულია, კვერნაკის მთები ბანს აძლევენ ხმაურით და თითქოს ამხნევენ კიდევ, უფრო კი მგონია, აქეზებენ. ხიდზე გადასვლა ამ დროს ძალიანაც არ მიყვარს, მაგრამ მე ახლა ისეთ ადგილას მივდივარ, უკან ვერანაირი ძალა ვეღარ მიმაბრუნებს. გადავიარე, როგორც იქნა, გულამოვარდნილმა და თავი რომ სამშვიდობოს დავიგულე, კარგად მივიხედ-მოვიხედე. ყველაფერი მწვანედ ღალანებს. ხეებს თეთრი



ფიქრია

ფიქრებით მოურთიან ტოტები და ისეთი სურნელია, ისეთი... ხალხი ბალებში ფუსფუსებს. ზოგი ხნავს და ზოგი თესავს. ძროხები გაჩვენათ ერთი, როგორი მედიდური იერით დაიარებიან აქა-იქ მიტოვებულ ბალებში. მწვანედ აბიბინებულ ბალახს შეექცევიან და ალბათ თავიანთ ახლად მოგებულ ბოროლებზე ფიქრობენ. ის ზღაპარი გამახსენდა უცებ, ცხვარზე თუ თხაზე რომ არის, საძოვარიდან დაბრუნებული, შვილებს კარზე დაუკაკუნებს და ეტყვის: „ბეკეკინა ბე, კარი გამიღე, პირით ბალახი მომაქვს, ძუძუებით — რძე“. მე რომ მკითხონ, ძროხები ძალიან კეთილი ცხოველები არიან. ისინი თავიანთ შვილებზეც ზრუნავენ და ადამიანთა შვილების ჯანსაღ კვებაზეც. ეგ, რაზეც ეხლა გესაუბრეთ, ჩემს ხელმარჯვნივ ხდება, ხოლო ხელმარცხნივ კვერნაკის მთები აღმართულან და გოროზად დამყურებენ. რამდენიც უნდათ მიყურონ, მე მათი მაინც არ მეშინია! თავმდაბლად ქედს ვიხრი მათი გოროზობის წინაშე! ადამიანს რომ ცრემლი გადმოუგორდება და ლოყას ნელ-ნელა ჩამოყვება, ისე ჩამოსდევს პატარა ნაკადულები გზად შემხვედრ მაღალ კლდეებს. ეგ ალბათ წვიმის ბრალია, ან იქნებ მართლა ტირიან?!

აი ისიც გამოჩნდა! როგორი მზერა აქვს, თითქოს სულში გიყურებსო. ნაწვიმარზე ისეთია, ნახატი გეგონება. ახლაც დაუსვლელია წვიმას და რა ლამაზია, რა ლამაზი!.. როგორ მინდა, ხატვა ვიცოდე, გადმოვიხატო, რომ შიგ ჩავაქსოვო ის განსაკუთრებული გრძნობა, რაც მისი დანახვისას მეუფლება. თანდათან ვუახლოვდები და თითქოს მესმის, როგორ მეკითხება საყვედურნარევი ხმით: სად დამეკარგეო? მე კი ჩუმი


ნაბიჯით მივინევ წინ, არ მინდა, ეს ღვთიური სიჩუმე ჩემმა უღირსმა ფეხის ხმამ დაარღვიოს. აი, მგონი გამიღმა კიდეც, მაპატია ამდენი ხნით დაგვიანება. ყოველთვის მპატიობს და მეც მეტი რა მინდა...

ეზოში შევდი. შემოიძლია ზევით ასვლა პირველივე შემხვედრი კლდიდან დავინყო, მაგრამ მე უფრო იქით მივინევ, საიდანაც ბობ-

ოქარი მტკვრის ხმა მოისმის. აქ რატომღაც აღარ მეშინია მისი. ზევით აუცილებლად იხილავთ უზარმაზარ ხეს. იმხელაა, რომ მთელს სოფელს საჩრდილობლად ეყოფა. ეს ხე საუკუნეებისა მგონია, რადგან, ჩემი აზრით, ამხელა ხის გაზრდას ერთი საუკუნე არაფრით ეყოფა. ზაფხულში მისი ჩრდილის ქვეშ ჯდომას რა სჯობს!

მოდით, ახლა უკვე ზევით ასვლა დავინწყოთ. აქ ცოტა ქურციკის სიმარდე გჭირდება, რომ ეს კლდეები აიარო. მე, შეიძლება ითქვას, მეოთხედი საუკუნეა, ამ კლდეებზე დავდივარ და აღარც მიჭირს. ერთ ადგილას, კლდის ნაპრალებში, პატარა რკინის კიბეა. ეს კიბეც ავიარე. ერთგან ხელის მიშველებაც დამჭირდა, აქედან უკვე ადვილია ასვლა, მაგრამ გაჭირვრდი და გაოგნებული ვიყურები, თითქოს პირველად ვიყო, თითქოს რაღაცა შეუცვლიათო. სინამდვილეში არაფერიც არ შეცვლილა. მეტალო-პლასტმასია თუ რა? კლდეშია ყველაფერი გამოკვეთილი. ქარი ვერ მოერევა და წვიმა. პირიქით, შეგიძლია ამ სტიქიების დროს მშვიდ ნავსაყუდელად გამოიყენო. ქვის კიბეებს მივუყვები და მახსენდება, პაპაჩემი რომ მიყვებოდა: აქ დავითსა და თამარს უვლიათო! უნდა ვიარო კი მე მათ ნაფხურებზე? არადა, თუ მათ ნაფხურზე არ გავივლი, ტაძრამდე ვერ მივალ! ნიაგი ქრის და თავსაფარს ისე მიფრიალებს, თავზე ძლივს ვიჩერებ. შევედი ტაძარში, რომელსაც ჩემი სოფლის მოხუცები უფლისწულს ეძახიან. ისე კი წმიდა გიორგის სახელობისაა. მოვილოცე და იქიდან გამოსულმა სოფელს გადმოვხედე. მტკვარს გამოღმა მე ვარ და მტკვარს გაღმა — ის. აქა-იქ კვამლიც მოჩანს. იმ ცოდნის კერასაც ვხედავ, მე რომ გამომზარდა. ეს ჩემი სკოლაა, რომელიც სიძველით, მგონია, ამ კლდეებს არც ჩამოუვარდება. აქედან სოფლის ყურება ძალიან მიყვარს. ტაძრის ზემოთ კიდეც არის ერთი ძალზედ ვიწრო ქვის კიბე. ესეც ავიარე, ქვევით გადავიხედე და ნასოფლარი დავინახე. ეს ჩემი მამა-პაპის და იმათი მამა-პაპის ნასახლარია. ერთი სიტყვით, ჩემი ძირი აქ არის. ისევ ფრთხილად ჩამოვდივარ, ირგვლივ ყველაფერს თვალს ვავლებ. ვგრძნობ, რომ ბედნიერებისაგან ისეთი სავსე ვარ, ყვირილი მინდა, მაგრამ აქ რა დამაყვირებს! ეს ხომ ჩვენი უფლისციხეა! ამაყად მზირალი, თბილი და სათუთი, მოსაფერებელი. ეს კლდის ქალაქი ჩემთვის მშობელივით საყვარელია. მადლობა შენ, ღმერთო, რომ მისი ხილვის ღირსი კიდეც ერთხელ გამხადე! შენი წყალობა ნუ მოჰკლებოდეს უფლისციხესავით სრულიად საქართველოს! ამინ!

ბაია ადუაშვილი



მსოფლიოს „შეანაცხელი“

საოცრება



თბილად ჩაცმულებს, თვითმფრინავში ტანსაცმლის გამოცვლა მოგვინია.

შარმელში ჩასულებს ჩვენი პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები დაგვხვდნენ და სასტუმრომდე მიგვაცილეს. სასტუმრო საკმაოდ მოგვეწონა, ორი დიდი აუზით პირდაპირ ქალაქის ცენტრში. ჩასვლისთანავე თვალში გვეცა ტაქსების სიმრავლე და მძღოლების აქტიურობა. ხელი თუ ოდნავ აწეული დაგინახეს, შეიძლება ავარიის მომსწრე გახდეს.

მეორე დღეს, საღამოს, გავემგზავრეთ ქაიროსაკენ. გამთენიისას, 6 საათზე გიდმა გვაცნობა, რომ სუეცის არხს ვუახლოვდებოდით. ეს არხი იმითაა საინტერესო, რომ სულ რაღაც 15 წუთში აზიიდან აფრიკაში აღმოჩნდები. დილის 10 საათისთვის ქაიროს ნაციონალურ მუზეუმთან ვიყავით, იქ დაცულია თითქმის მთელი ეგვიპტის ეროვნული სიმდიდრე, ფარაონ ტუტანჰამონის ნივთებიდან დაწყებული, უძველესი მუმიებით დამთავრებული, რომლებსაც თმები ისე გაზრდოდათ, კაცს სიცოცხლის მოგვცრიდა. რა თქმა უნდა, მუზეუმში გადაღება აკრძალული იყო.

შემდეგ ნავით ნილოსზე გავისეირნეთ და ქაირო დავათვალიერეთ. ეს მდინარე, რატომღაც, უფრო დიდი წარმომედგინა, თუმცა თუ გავისვენებთ რამდენი საინტერესო ფაქტის მომსწრეა ნილოსი, გასაკვირი არ იქნებოდა, დინება უკუღმა დაეწყო ან სულაც დამშრალიყო. მიუხედავად თანამედროვე შენობებისა, ქაიროს მაინც გადაჰკრავს ძველი, მდიდარი კულტურის ელფერი.

ნილოსზე გასეირნების შემდეგ ვესტუმრეთ პაპირუსების ქარხანასა და გალერეას, სადაც ქალაქის დამზადების მთელი პროცესი გვაჩვენეს. ისე კი, მართლაც საინტერესოა, ათასობით წლის წინ, როგორ გაუჩნდა ადამიანს ქალაქის დამზადების იდეა.

პირველი ემოცია, რომელიც პირამიდების დანახვისას გამიჩნდა, არც თუ ისე მრავლისმეტყველი იყო: „კარგია, მაგრამ უფრო მეტს მოველოდი“. თუმცა თუ დაფიქრდები, საუკუნეების წინ რა საშუალებებით შეიძლებოდა

მ

ოგზაურობა ჩემი ჰობია, ამიტომაც დავამთავრე ტურიზმის ბიზნესი და მესამე კურსიდანვე დავიწყე მუშაობა „ტუროპერატორ ინტერკონტინენტალში“ პროექტებისა და შემომავალი ტურიზმის მენეჯერად.

ეგვიპტეში მოგზაურობა, სფინქსი და პირამიდები, მოსეს ცეცხლოვანი ბუჩქის, წმიდა ეკატერინეს მონასტრის და საფლავის ნახვა, სინას მთაზე მზის ამოსვლასთან შეხვედრა ყოველთვის იყო ჩემი ოცნება.

წელს ეს ოცნება ამიხდა.


ძველით ახალი წელი თანამშრომლებმა ერთად აღვნიშნეთ და მთელი ღამე გავათენეთ. დილით სამსახურში მისულებს გენერალურმა დირექტორმა დაგვხვდნენ საოცნებო საჩუქარი — მოგზაურობა ეგვიპტეში. სულ რაღაც ორ საათში ბარგი ყველას ჩალაგებული გვექონდა და აეროპორტში გაფრენას ველოდებოდით. აქ

ამხელა ქვების ერთმანეთზე ისე დანყოფა, რომ მათ შორის ნემსიც ძლივს ეტევა, მართლაც შოკის მომგვრელია. წარმოიდგინე, რომ სფინქსს გვერდიდან უყურებ და საუკუნეების წინანდელ მოვლენებს იხსენებ, თუნდაც ნაპოლეონის ბრძოლას, რომელმაც სფინქსს ცხვირი მოამტვრია. ეს ხომ ცოტას არ ნიშნავს ჩვეულებრივი ადამიანისათვის.

სინას მთა ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა ეგვიპტეში, რადგან სწორედ აქ მდებარეობს წმიდა ეკატერინეს მონასტერი და მოსეს ცნობილი ცეცხლოვანი მაცვლის ბუჩქი, რომელიც დღესაც კი ცოცხალია. სინას მთისაკენ მსვლელობას ათვაციან ჯგუფებად დაყოფილი ათასობით ადამიანი ღამის 12 საათზე იწყებს. თითოეულ ჯგუფს საკუთარი სახელი ჰქვია და ბედუინთა გიდი ხელმძღვანელობს. ჩვენს ჯგუფს „ტრიადა“ ერქვა და რვა პოლონელთან ერთად მასში ორი ქართველი ვიყავით. გიდს მუჰამედი ერქვა. როცა ვკითხე საქართველოს შესახებ რამე თუ გსმენია-თქო, მაშინვე კალაძის გვარი წამოიძახა და ჩუმად მკითხა: ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ რუსებთან? ამას ნამდვილად არ მოველოდი, რადგან ბედუინები, როგორც წესი, უდაბნოში ცხოვრობენ და გარე სამყაროსთან თითქოს მოწყვეტილები არიან. დილის 6 საათამდე მთის მწვერვალზე უნდა ავსულიყავით, რადგან 6:30 საათზე მზის ამოსვლა იწყებოდა. სინას მთა ზღვის დონიდან 2400 მ. მდებარეობს და ზევიდან მთელ ნახევარკუნძულს დაჰყურებს. ათ კილომეტრამდე აქლემით უნდა გვევლო და მერე 350 საფეხური აგვევლო, ჩვენ, ქართველები, როგორც მსოფლიოში „ყველაზე სწრაფები“, დილის 5 საათზე პირველები ავედით მთის მწვერვალზე. ათასობით ადამიანი მთელი მსოფლიოდან, მზის ამოსვლის მოლოდინში, მთის კიდეებს შეფენილიყო. საკმაოდ ციოდა, დაახლოებით 10 გრადუსი იქნებოდა. ორმა ქართველმა ჭკუა ვიხმარეთ და, მცირე ვარჯიშის შემდეგ, გასახურებლად ვისკი გადავკარით. მზის ამოსვლა ასეთი ღამაზი არასოდეს მინახავს, თან როცა საქართველოს ჰიმნის თანხლებით ხვდები. ჩვენი ჰიმნის დასრულებას ხალხი ტაშით შეხვდა, მათ შორის რუსებიც. მთიდან ჩამოსულებმა დავათვალიერეთ წმიდა ეკატერინეს ტაძარი მთელი თავისი ღირსშესანიშნაობებით. სასტუმროში დაღლილები და შთაბეჭდილებით დატვირთულნი დავბრუნდით. ეგვიპტეში გატარებული 11 დღე სიცოცხლის ბოლომდე დაუვინყარი იქნება ყოველი ჩვენგანისათვის.

გიორგი მუხიგულიშვილი





წაჩილი გოგი დოლიძის სახლიდან...

„ატირებული დამრჩა მთან-
მიდა“ — ამ სახელწოდებ-
ის სტატიას აქვეყნებს ნუნუ
კუპრეიშვილი ჟურნალ „დრო-
შის“ 1996 წლის მარტის
ნომერში.

13 წელი გავიდა იმ 8 მარ-
ტიდან. გარდაიცვალა გოგი
დოლიძე — კაცი, რომელიც
მღეროდა გულით.

რა ხდებოდა 13 წლის წინ

მარტის დღეებში ამ ამბის
გამო, ზემოხსენებული სტატი-
იდან ამონარიდებით გიამ-
ბობთ:

„წვიმს...

ორი დღეა გადაუღე-
ბლად წვიმს.

ეს წვიმა გაზაფხულის
წვიმას როდი ჰგავს. ეს ზღვა
ცრემლია, დედასამშობლო
რომ დასტირის და ეთხოვე-

ბა თავის რჩეულ შვილს.

...იძალა დედაბუნებამ,
თოთხმეტი მარტის ცაზე
გამოჩნდა მზის სხივი და
დააცხუნა ირგვლივითი.

მოდის და მოდის ზღვა
ხალხი, წმიდა ნიკოლოზის
ეკლესიის ეზო-მიდამო ვერ
იტევს მოზღვავებულ ნაკადს
და ივსება თვალსაწიერი.

ისმის ჩუმი და ხმამალა-
ლი ქვითინი.

ტირის ქალი და კაცი,
დიდი და პატარა.

ათიოდე წლის გოგონას
ფერმკრთალ ლოყაზე ღვარ-
ად ჩამოსდის ცრემლთა ნა-
კადი.

ეს ანგელოზის ცრემლია,
მისთვის დაღვრილი.

ერთად თავშეყრილი ამ-
დენი ჭირისუფალი დიდი
ხანია თბილისს არ ახსოვს

რაც ამქვეყნად სიყვარუ-
ლი მეფობს, მე ყველასი
მოტრფიალე ვარ... სწორედ
იმ სიყვარულის წილ ერგო
ასეთი სიყვარული.

როცა მოკვდეს გულზე
ცრემლი დამაყარე, იქაც
შენი მარგალიტი მამკობ-
დეს“...

— ეს ანდერძიც აუსრულ-
და.

„...ლეგენდის სათავეში
მდგომი, საქართველოს მო-
მღერალი ბატონი გოგი,
ჩვენი გოგი, უბრალოდ თბი-
ლისელი ბიჭი გოგია...“ —
გაისმა წმიდა ნიკოლოზის
ტაძრის კედლებში გამო-
სათხოვარი სიტყვები.

„სიტყვის კაცი, უღალა-
ტო, გულიანი, სუფთა, ალა-
ლი, უაღრესად კოლორიტ-
ული ქართველი, ტკბილხმი-
ანი მომღერალი, ახლობელი
და მისაღები ყველასთვის“,
— ასე იტყვის გოგი დო-
ლიძეზე ეკა მამალაძე.



მისი სათაყვანებელი „ქართული ხმების“ „მრავალფეროვანი“ და მის პატივსაცემად მოსული ათიათასობით ქირისუფელი ტაშით მიაცილებს სამარადისო სასუფეველში...

მაგრამ სიცოცხლე გრძელდება.

მას, გოგის სიმღერასთან ერთად, მისი საფიცარი შვილი, პატარა ლევან დოლიძე გააგრძელებს...

ამ წერილს გოგი დოლიძის სახლიდან ვწერ...

წლების წინ ამის მსგავსს ვერაფერს წარმოვიდგენდი, ახლა კი უკვე წლებია გოგის სახლში ვცხოვრობ. ეს უბრალოდ და შემთხვევით არ მომხდარა.

გოგი დოლიძის შვილს, ლევანს უნივერსიტეტში დავუახლოვდი, საქართველოს ისტორიის ერთად ვმეცადინეობდით, ერთად ვმოძრაობ-

დით. მოკლედ, დავმეგობრდით. მე, რაიონიდან ჩამოსულს, ნაქირავეები ფართის ცვლა ხშირად მიწევდა. მალ-მალე გადავდიოდი ბინიდან ბინაში.

„შენ საცხოვრებელში ფულს რატომ უნდა იხდიდე, მამაჩემის სახლი დაკეტილი მაქვს, მერე მუზეუმის გაკეთებას ვაპირებ, მანამდე შედი და იცხოვრე!“ — მითხრა ერთ მშვენიერ დღეს ლევანმა.

არ მჯეროდა! ახალგაზრდა 19 წლის ბიჭის კეთილი ახირება მეგონა.

თავის დაბადების დღეს დამადგა თავზე ნაქირავე ბინაში და გამომიცხადა: „დღესვე გადადიხარ მამაჩემის სახლში!“

სიხარულისა და გაოცებისგან ენა მეტმოდა... თავი სიზმარში მეგონა.

ვცხოვრობ ახლა, აგერ უკვე მე-წელია, გოგი დოლიძის

№43-ში, გოგი დოლიძის სახლში, მისი სურათების, გიტარების, პიანინოს, სხვა ნივთების გარემოცვაში. აქ ცხოვრება ძალას მმატებს, წინ მწევს.

გოგის სახლიდან ხშირად ისმის მისი ხმა. ბევრჯერ ითქვა და ითქმება გოგის სახლში მისი სადღეგრძელო.

მადლობას ვუძღვნი გოგის სულს, მის მეუღლეს — ქეთი დეიდას, შვილს — ლევანს და უწინარესად კი — ღმერთს ამ დიდი წყალობისთვის!

დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო, ნათქვამია.. ძეგლი არ სჭირდება დიდებულ ადამიანს მთავარია, სახელი დარჩეს სახელად...

„გავა დრო და მოუყვებით შვილებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა აქვს...“

გიორგი ლიპარიშვილი

ფოტო

ზურაბ ხარაზიშვილისა

"ეიფელის" 120-ე



იყვარულისა და სილამაზის ქალაქის, პარიზის „სავიზიტო ბარათი“, ეიფელის კოშკი 120 წლის ხდება. სანამ მისი დაბადების დღეს გავიგებთ, კოშკის მშენებლობა-ისტორიაზე შევაჩეროთ ყურადღება.

ეიფელის კოშკი (ფრანგ. Tour Eiffel) ლითონის კონსტრუქციაა. ის პარიზში შამდე-მარსზე, მდინარე სენასთან დგას. კოშკი საფრანგეთის ყველაზე ცნობილი სიმბოლოა. სახელი დაერქვა პროექტის ავტორის, ინჟინერ გუსტავ ეიფელის პატივსაცემად. ნაგებობა პარიზის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა. მას წელიწადში დაახლოებით 5,5 მილიონზე მეტი დამთვალიერებელი სტუმრობს.

ეიფელის კოშკის სიმაღლე 300 მეტრია (დაახლ. 75 სართულიანი სახლის ზომა). მის თავზე 24-მეტრიანი ანტენაა, რაც ნაგებობის საერთო ზომას 324 მეტრამდე ზრდის. აშენებისას, 1889 წელს, ეიფელის კოშკი მსოფლიოში ყველაზე დიდი კონსტრუქცია იყო. პირველობის ტიტული 1930 წლამდე შეინარჩუნა. ამ დროს ნიუ-იორკში „კრაისლერ ბილდინგის“ (319 მ.) მშენებლობა დასრულდა. თუმცა ეიფელის კოშკი მას სიმაღლეში უსწრებდა, თუ ანძების სიმაღლეს დავუმატებდით. დღეს ეიფელის კოშკი საფრანგეთში სიმაღლით მეორე ნაგებობაა, 350 მ. სიმაღლის ალუის გრძელი ტალღების


გადამცემი ანძის (ააგეს 1939 წ.) შემდეგ.

კოშკის ლითონის კონსტრუქცია — 7.300 ტონაა, ხოლო საერთო წონა — 10.100 ტონა — გრანდიოზული ნაგებობა მაინც მსუბუქად ითვლება. იგი ოთხ ფეხზე დგას, სამსართულიანია და ბეტონის საძირკველი აქვს.

პირველი პლატფორმა 57 მეტრზეა, მეორე — 115, მესამე — 274. ყველა სართულზე ბარ-რესტორნებია განლაგებული. ზედა პლატფორმაზე ასასვლელი საფეხურების რაოდენობა დროდადრო იცვლებოდა. აშენებისას, 1889 წელს, 300.65 მეტრზე, 1710 საფეხური ადიოდა. 1980 წლიდან საფეხურების რაოდენობა 1920-მდე გაიზარდა. ახლა კი — 1665 საფეხურია, თუმცა, ზემოთ საფეხურებით ასვლა შეუძლებელია და დამთვალიერებელს მხოლოდ ლიფტის გამოყენება შეუძლია.

ზოგჯერ, როცა მხედველობის არე კარგია, საგნები 79 კმ-ის რადიუსით შეგვიძლია დავინახოთ. კოშკის ქვემოთ იშლება მარსის მწვანე მინდორი და ულამაზესი ხედი. აქ ტარდება ხალხმრავალი დღესასწაულები და მსოფლიო გამოფენები.





დაბადების დღე

პაერის ტემპერატურის მიხედვით, კოშკის თავის მზეს მიფიცებული მხარე ლითონის გაფართოებამ (მზისგან გადახურების დროს) შეიძლება 8 სმ-მდე გადანოს.

აღსანიშნავია ასევე ეიფელის კოშკის სარემონტო სამუშაოები. კოშკის შეკეთება 7 წელიწადში ერთხელ სამ ფენად 50 ტონა საღებავის წასმას ითვალისწინებს. დროგამოშვებით საღებავის ფერი იცვლება.

ამჟამად კოშკი მოყავისფროა. პირველ სართულზე, მსურველებს შეუძლიათ ინტერაქტივში მიიღონ მონაწილეობა და კოშკის მომავალი ფერი შეარჩიონ.

ეიფელის კოშკს საფრანგეთის რევოლუციის 100 წლისთავის აღასანიშნავად დაგეგმილი მსოფლიო გამოფენის „ექსპო-უნივერსალის“ შესასვლელის ფუნქცია უნდა ეკისრა. 300-მა მუშამ 18.038 ლითონის სუფთა კონსტრუქციული ფოლადის ფორმა ააწყო. ამისთვის, მორის კოხლინის კონსტრუქციის მიხედვით 2,5 მილიონი ჟანჭიკი გამოიყენეს.

არსებობდა შეცდომის დიდი საშიშროება, რადგან, თანამედროვე ცათამბჯენებისაგან განსხვავებით, კოშკს 2 პლატფორმის გარდა ღია ჩონჩხი აქვს, შუალედური სართულების გარეშე.

ეიფელმა მუშათა უსაფრთხოებისათვის წინასწარ მიიღო ზომები. მშენებლობის პერიოდში ლიფტების დამონტაჟებისას მხოლოდ ერთი მათგანი დაიღუპა.

თავდაპირველად, საზოგადოების რეაქცია ეიფელის კოშკის მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო. უმრავლესობას ის თვალში ცუდად, ულამაზოდ ხვდებოდა. ამის გამო

თავად ეიფელიც ძალიან შეწუხებული იყო და ერთაერთი ადგილი, სადაც იგი მშვიდად სვამდა ჩაის და ვერ ხედავდა ეიფელს, იყო სწორედ ეიფელი. დღეს იგი მსოფლიოში ხელოვნების ყველაზე წარმატებულ კონსტრუქციად აღიარებული.


პოლიეზიდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ცნობილი კლიშეა — „პარიზული ფანჯრიდან აუცილებლად უნდა ჩანდეს ეიფელის კოშკი.“

ეიფელს უფლება ჰქონდა საკუთარი ხარჯების დასაფარავად აგებული კოშკი 20 წლით მდგარიყო, (ამ შემთხვევაში ჩვენ მასზე, როგორც წარსულზე, ისე მოგვიწევდა საუბარი). თუმცა, მოგვიანებით კოშკმა საკომუნიკაციო დანიშნულებაც მიიღო და გადანაწდა მისი დატოვება ვადის გასვლის შემდეგაც.

ეიფელის კოშკის „ინაუგურაცია“ 1889 წლის 31 მარტს მოხდა. საზოგადოებისთვის კი ის 6 მაისს გაიხსნა.

უკვე 120 წელია ეიფელის კოშკი პარიზული ამბების მომსწრეა, მსოფლიო კი მისი მხილველი და მისით მოხიბლული.


გიორგი ლიპარიშვილი





ეპიზოდები

ჯები. დადგა
უამი: სიკვდი-
ლის პირას
ვდგავარ, ისე
მოვედი
დასასრულამ-
დე, რომ არ
დავმტკბარ-
ვარ ჩემი ნი-
ჭით. ცხოვრე-
ბა ჩემი საო-



ცარი იყო. კარიერა დაინ-
ყო ბედნიერების მომასწავ-
ბელი ნიშნით. მაგრამ არავის
შეუძლია ბედისწერის შეცვ-
ლა. უნდა დავემორჩილო
გარდუვალს... აღსრულდება
ის, რაც განგებას სურს!... აი
ჩემი გედის სიმღერა! მე არ
უნდა დავტოვო იგი
დაუმთავრებელი!”

მოცარტს არ
დასცალდა რეკვიე-
მის დასრულება,
იგი გარდაიცვალა...
გენიალური შემოქ-
მედი — ვოლფგანგ
ამადეი მოცარტი
უსახსრობის გამო
„მესამე კატეგორი-
ით“ დამარხეს ვენის
სასაფლაოზე, ლა-
ტაკთა და უპატ-
რონოთა საერთო
საფლავში. ასე „და-
ფასა“ მოცარტის
თანამედროვე სა-
ზოგადოებამ „მუ-
სიკის პრინცი“, რო-
მელმაც თავისი მხ-
ატვრული მემკვი-
დრეობით მთელ კა-
ცობრიობას მარად
უჭვნობი, ფასდაუდე-
ბელი განძი შესძინა!

მძიმედ დაავადებულ
მოცარტს ერთმა შავებში
გამოწყობილმა უცნობმა,
რომელმაც არ მოისურვა
თავისი ვინაობის გამხელა,
რეკვიემი შეუკვეთა. კო-
მპოზიტორმა უარი უთხრა,
მაგრამ საკმაოდ დიდმა თანხ-
ამ, რომელიც უცნობმა იქვე
გაიღო, ვალებში ჩაფლული
მოცარტი აიძულა დათანხმე-
ბულიყო. იმავე დროს მას
ინგლისიდან ძველი მეგო-
ბრის — აბატ და პონტესა-
გან ბარათი მოუვიდა. მე-
გობარი მოცარტს ლონდონ-
ში ჩასვლას თხოვდა.
მოცარტმა შემდეგი პასუხი
მიწერა: „ვიფიქრე მიმელო
შენი წინადადება, მაგრამ
როგორ? ჩემი შეგნება შემ-
ცბარია, ძნელად ვაზროვნებ
და არ შემიძლია ამ უცნაუ-
რი ადამიანის სახის დავინ-
ყება, დღენიადაგ რომ მემუ-
დარება, მაჩქარებს და მოუთ-
მენლად ელოდება ნაწარ-
მოებს. მე განვაგრძობ წერას,
ვინაიდან თხზვა ნაკლებად
მღლის ვიდრე უმოქმედო-
ბა. არაფრის არ მეშინია, მა-
გრამ ვიცი რისგანაც ვიტან-



დიდი მუსიკოსების ცხოვრებადონ



ეს მოხდა 1827 წლის მარტის მიწურულს. ღონემისდილი ბეთჰოვენი, უსახსრობის გამო, ვენიდან ფეხით გაემგზავრა გასაჭირში ჩავარდნილი ძმისწულის — კარლის დასახსნელად. სამიოდე კილომეტრი რომ გაი-


არა, მუხლებმა უმტყუნა, იქვე გზის პირას, ერთ პატარა სახლს მიაშურა და შესვენების უფლება ითხოვა. ჯახის ნევრები სტუმარს მიეგებნენ, დაღლილი, ფერმისდილი მოხუცი შინ მიიპატიჟეს და ღარიბული ვახშმით გაუმასპინძლდნენ. სუფრა რომ ალაგეს, ოჯახის უფროსი პიანინოს მიუჯდა, მისმა ორმა ვაჟმა ვიოლინო და ვიოლონჩელი მოიმარჯვეს და დაკვრა დაიწყეს. ბეთჰოვენმა, რომელსაც სრული სიყრუის გამო არაფერი ესმოდა, იქვე მჯდომ დიასახლისის თვალზე ცრემლი შენიშნა და ჰკითხა:

— მე ყრუ ვარ, არაფერი მესმის, მეგობრებო, გთხოვთ მითხარით, ვისია ეს მუსიკა, ასე რომ აგაღელვათ ყველა?

ოჯახის უფროსმა მას ნოტები გაუწოდა... აღმოჩნდა ალეგრეტო, ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიიდან.

— ეს ხომ ჩემი მუსიკაა! მე ბეთჰოვენი ვარ!... მოდით, დავამთავროთ ეს ნაწარმოები, — ნამოიძახა სტუმარმა.

კომპოზიტორი მიუჯდა ფორტეპიანოს და ახლადგაცნობილ მეგობრებთან ერთად გატაცე-



ბით განაგრძო ალეგრეტოს შესრულება. ეს იყო ბეთჰოვენის უკანასკნელი დაკვრა, რისი მონმენიც გახდნენ უბრალო, მაგრამ მუსიკის დიდად მოყვარული ადამიანები. დიდებული სტუმარი მათ იმ ღამით თავისთან მოასვენეს. ბეთჰოვენმა დილიდანვე ცუდად იგრძნო თავი, მეგობრებმა იგი ვენაში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი უშველეს მომავლად. კანასკნელ წუთებში ბეთჰოვენმა ძალა მოიკრიბა, თავისი მეგობარი იოჰან ნებომუკ ჰუმელი მოიხმო და უთხრა:

— ბოლოს და ბოლოს, თურმე, მეც მქონია ნიჭი!... — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები...

მარიამ ბელაშვილი





და მისი განვითარება საქართველოში

მცირე ისტორიული ექსკურსი

მეფრინველეობის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ცნობილია, რომ 1880-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტები გადიოდა საქესპორტოდ. მარტო ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან გატანილ იქნა 108 მილიონი კვერცხი ევროპის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც იყო პარიზი, ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, ლონდონი.

ლონდონის ბაზარზე 1898-99 წლებში ქუთაისის გუბერნიიდან გაგზავნილ კვერცხს თავისი ხარისხით მეორე ადგილი ეკავა. მეფრინველეობის განვითარებას სამრეწველო ხასიათი მიეცა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. აიგო უმსხვილესი ბროილერული ფაბრიკები (კოდა, გამარჯვება, კასპი, სოხუმი, ზუგდიდი), რომელთა საერთო წლიურმა სიმძლავრემ 30 მლნ-ს მიაღწია. ასევე, ინტენსიურად განვითარდა მეკვერცხული მიმართულების ფაბრიკები, რომელთა საერთო წარმოებამ 1990-იანი წლებისათვის 450 მლნ ცალ კვერცხს გადააჭარბა. ისე როგორც სხვა დარგებში, მეფრინველეობაც სსრ

კავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ნაწილი იყო, რომლის დაშლის შედეგად მეფრინველეობა აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში. ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი საინკუბაციო კვერცხი, კომბინირებული საკვების დასამზადებლად საჭირო ნედლეული, რამაც ფაქტობრივად, დაანგრია ჩვენი ქვეყნის მეფრინველეობა. საქართველოს ბაზარი მთლიანად დაიკავა საზღვარგარეთიდან შემოტანილი ფრინველის უხარისხო ხორცმა (გაცივებული ბარკლები და ხორცპროდუქტები) და ვადაგასულმა კვერცხმა.

დღევანდელი მდგომარეობა

ამჟამად ქვეყანაში ამოქმედდა პატარძელის, საგარეჯოს, კოდის, ბოლნისის (სავანეთი) მეფრინველეობის ფაბრიკები; აიგო მცირე სიმძლავრის სრულიად ახალი მეფრინველეობის საწარმოები: „მუხრანი“, „ალგეთი“, „კუშისი“ და სხვა. აღნიშნულმა საწარმოებმა შეძლეს უმოკლეს დროში შეეზღუდათ საზღვარგარეთიდან კვერცხის იმპორტი. მათ უკვე დაიკავეს საკუთარი ბაზრის უდიდესი სეგმენ-

ტი. თუმცა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორციტ მოსახლეობის უზრუნველყოფა. ჩვენ საწარმოებს კვლავ უხდებათ საზღვარგარეთიდან საინკუბაციო კვერცხის და ერთდღიანი წინილის შემოყვანა. ასევე, კომბინირებული საკვებისათვის საჭირო ინგრედიენტებისა და მონყოილობა-დანადგარების შემოტანა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი პროდუქციის თვითღირებულებას. ადგილობრივი პროდუქციის მაღალი ფასების გამო, ისინი კონკურენციას ვერ უწევენ შემოტანილ იაფფასიან ფრინველის ხორცს. ამიტომ ზოგიერთი საწარმო ვერ ასაღებს საკუთარ პროდუქციას და კოტრდება. მიუხედავად ამისა, მეფრინველეობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა.

თანამედროვე ტექნოლოგიები და მისი შედეგები

მეფრინველეობის დარგის წინსვლაში უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით საწარმოების აღჭურვამ და მაღალპროდუქტიული ჰიბრიდული ფრინველით სამრეწველო გუნდის დაკომპლექტებამ. ასე მაგალითად, მუხრანის მეფრინველეობის კერძო საწარმოში უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობების დანერგვამ და მაღალპროდუქტიული ფრინველის ჰოლანდიიდან შემოყვანამ, შესაძლებელი გახადა დარგი მაღარენტაბელური გამხდარიყო. აღნიშნულ საწარმოში განხორციელებულია პრინციპი: „ფრინველი-მანქანა“, რაც გულისხმობს საწარმოში კომპიუტერული მართვის სისტემის გამოყენებას. საფრინველეში მოთავსებული კომპიუტერი შედგება ოთხი სექტორისგან: 1. მიკროკლიმატი, 2. წარმოების, 3. კვერცხის შეგროვების და 4. ნაკელის გატანის. ყველა სექტორის მუშაობას კომპიუტერი აკონტროლებს. პირველად საქართველოში დაინერგა სამრეწველო გუნდის კომბინირებული შენახვა (ლრმა საფენიმაფთვებადიანი იატაკი), რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალხარისხიანი დიეტური კვერცხი. ამჟამად ევროპის ქვეყნები გადავიდნენ ბროილერების ღრმა საფენზე შენახვის ტექნოლოგიაზე. შენახვის აღნიშნული წესი მაღალხარისხიანი ბროილერის მიღების საშუალებას იძლევა. ამჟამად საქართველოში მეფრინველეობის უმრავლესი საწარმო იყენებს ბროილერების გალიურ შენახვას, რაც მნიშვნელოვნად

ზრდის ფრინველის დასმის სიმჭიდროვეს და შესაძლებლობას, ყოველ კვადრატულ მეტრ იატაკის ფართობზე მეტი ხორცის მიღების საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, გალიური შენახვისას, ნაცვლად 120-140 კგ-სა, მიიღება 220-260 კგ ხორცი. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ჯერ-ჯერობით, უარს ვერ ვიტყვით ბროილერების გალიურ გამოზრდაზე, რადგანაც მისი გამოყენება ფრინველის ხორცის წარმოების გაზრდის უმოკლესი გზაა. საქართველოში შემოყვანილმა მაღალპროდუქტიულმა მეკვერცხულმა კროსებმა ჩვენს პირობებშიც მაღალი პოტენციალი გამოავლინეს და მსოფლიო სტანდარტს მიაღწიეს. ასე მაგალითად, ერთი ფრთა ბროილერის საშუალო ცოცხალმა მასამ 42 დღის ასაკში 1,8-2 კგ შეადგინა, ხოლო ერთ კგ წონამატზე 1,8-1,9 კგ საკვები დაიხარჯა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია. ვინაიდან საქართველოს მეფრინველეობის საწარმოებს საკუთარი სანაშენე ბაზა არ გააჩნია, ამიტომაც საზღვარგარეთიდან შემოჰყავთ ფერადი და თეთრნაჭუჭიანი კვერცხის მომცემი კროსები.

ამ ფრინველის მოშენება წარმატებით მიმდინარეობს „სავანეთში“ (ბოლნისი). აღნიშნული კროსები წელიწადში 300 და მეტ კვერცხს იძლევიან. „სავანეთი“ თბილისის ბაზრებს აწვდის როგორც თეთრ, ასევე, ყავისფერ ნაჭუჭიან კვერცხს, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებასა და გათვლილი.

ამგვარად, საქართველოში მეფრინველეობის დარგის განვითარებისათვის საკუთარი სანაშენე ბაზის შექმნა საჭირო, რაც შესაძლებელია გადასახადების ლიბერალიზაციით და სანაშენე საწარმოებისათვის გრძელვადიანი მცირეპროცენტის სესხების გამოყოფით.

როზა ნოზაძე

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი, ახალგაზრდა ფერმერთა სახლი



თუშური ცხვარი

თუშური ცხვარი მცირედუმთან ცხვრის ჯიშს მიეკუთვნება. გამოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს მომთაბარე მეურნეობის პირობებისათვის დაახლოებით XII-XIII საუკუნეებში. კომპაქტური ცხოველია. მაგარი კონსტიტუციით ხასიათდება. კარგად იტანს შორ მანძილზე გადარეკვას. კარგად იკვებება მეჩხერ საძოვრებზე. შედარებით ადრემწიფადი ცხოველია. აქვს მაღალხარისხოვანი ხორცი. მისი მატყლი თეთრი, დრეკადი, ელასტიური და მბზინავია. წელიწადში ორჯერ იპარსება. ნერბის ცოცხალი წონა 41-42 კგ, ვერძისა — 50-60 კგ, ნერბის ნაპარსი 2,5-3 კგ-ია, ვერძისა — 3-4 კგ; კულის სიგრძე — 11-17 სმ-ია.

თუშური ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად მრავალი მეცნიერი იღვწოდა და კიდევ „გაუმჯობესეს“. 1932-45 წლებში შემოიყვანეს ლინკოლნის და წმინდამატყლიანი მერინოსის მწარმოებლები. გამოიყვანეს ქართული ჯიშის ცხვარი, როგორც მას უწოდეს. იგი გარეგნულად თუშურს ნააგავს. აქვს მაღალი ხარისხის მატყლი. კარგად შეეგუა მომთაბარეობას. თუშურთან შედარებით, მეტს იწონის. ხორცი გემოთი თუშურისა არ აქვს, მაგრამ კარგია. განსაკუთრებულ კვებას არ საჭიროებს. ამ ჯიშს გაზაფხულზე სცვივა მატყლი და ეს თვისება მემკვიდრეობით გადაეცემა. ჯიში საქართველოში ვერ გავრცელდა.

დაახლოებით იმავე წლებში (1936-45) თუშური ცხვრისა და წმინდა მატყლიანი ცხვრების შეჯვარებით გამოიყვანეს ქართული წმინდა მატყლიანი ცხვრის კიდევ ერთი ახალი ჯიში, რომელსაც აქვს მერინოსის მაგვარი, ერთგვაროვანი წმინდა მატყლი. გარეგნულად საკმაოდ ლამაზია. გაზაფხულზე მასაც სცვივა ბენვი და ამასთან, საკმაოდ დიდი რაოდენობით.

ასეთია თუშური ცხვრის ახალი „გაუმჯობესებული“ ჯიში. მერძეულობისთვის კი არავის მიუქცევია ყურადღება. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ცხვრის წველა გაც-

ილებით ადრეა დაწყებული, ვიდრე ფურისა. ცხვარი უფრო ადრემწიფადია. მსხვილფეხა პირუტყვისას იყენებენ: რძეს, ხორცს და ტყავს. ფურისგან შთამომავლობის მიღებას მეტი დრო სჭირდება. ცხვარი დაახლოებით ორი წლის ასაკში დადოლდება, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 11-13 თვის იმერული ცხვარი უკვე იძლევა ნაშიერს, მრავალ ბატკანს და მაკეობის ხანგრძლივობა, სხვა ცხვრებთან შედარებით, მოკლეა.

ცხვრის წველასა და მისგან რძის პროდუქტების მიღებას საუკუნოვანი ისტორია აქვს. მას წველიან ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია. მისი რძე მაღალკალორიულია. დიდი რაოდენობით შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს. პროფესორ ოლივერ მილზის აზრით, რძის მისაღებად ყველა ჯიშის ცხვარი გამოდგება, რაც დამოკიდებულია არა მარტო ცხვრის შენახვის თავისებურებასა და კვებაზე, არამედ ცხვრის მიერ რძის მიცემის სტიმულატორზე ლაქტაციის დროს. მისივე აზრით, ცხვრის წველადობა იზრდება დოლიდან 35 დღის განმავლობაში, როდესაც სტიმულატორი ბატკანია.

ცხვრის რძისგან ყველის ამოყვანა გაცილებით ეკონომიურია, ვინაიდან ერთი კილოგრამი ყველისთვის 4-5 კგ ცხვრის რძეა საჭირო, მაშინ როდესაც, იგივე მაჩვენებელი ფურისათვის 10 კგ რძეა საჭირო.

მერძეული მეცხვარეობა ყველგან სარფიანია, მათ შორის, ქალაქის გარეუბანში მცხოვრებლებს შორის. ცხვრის რძე ერთ-ერთი საუკეთესო თერაპიული საშუალებაა, განსაკუთრებით, სუსტი ადამიანებისათვის.



იცით თუ არა, რომ

❖ გიგანტი მცენარე

ყველაზე დიდფოთლებიანი ბალახი ხორკლიანი გუნერაა. მან სახელი ნორვეგიული ბოტანიკოსის ერნსტ გუნერის (1718-1773) პატივსაცემად მიიღო. იგი გავრცელებულია სამხრეთ ნახევარსფეროში: ამერიკაში, აფრიკაში, ტასმანიაზე, ახალ ზელანდიასა და ჰავაის კუნძულებზე. მისი ფოთლების სიგრძე 140 სმ-ს აღწევს. გუნერას ყველაზე მსხვილი ფოთლის ქვეშ სამ ცხენოსანს შეუძლია თავის შეფარება.



❖ თითქმის ზრავად — კილიმანჯაროზე

სუსტი მხედველობის მქონე და უსინათლო თერთმეტმა მოზარდმა მოაწყო ასვლა აფრიკის უმაღლეს მწვერვალზე — კილიმანჯაროზე. ექვსმა აფრიკელმა და ხუთმა ბრიტანელმა 5895 მეტრის სიმაღლე დაძლია; მათ სიმაღლეთა დაძლევის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფს გამოცდილი მთამსვლელები ხელმძღვანელობდნენ.

ეს საინტერესოა

❖ ზღვა თუ კისალი?

აპენინის ნახევარკუნძულის გარემომცველი ზღვები ტურისტებს უხვად იზიდავს, თუმცა, მათ შეიძლება არც კი იცოდნენ, რომ ეს ზღვები ხშირად მედუზებით „აღულებულან“ და წყალი ნამდვილ კისელს დამსგავსებია. თავისუფლადმცურავ სუსხიანთა მასიურ მომრავლებას ზუსტ ახსნას სპეციალისტები ვერ უძებნიან. ეს ყველაფერი შეიძლება ზღვის ბინადართა კვების ჯაჭვში გარკვეულ ცვლილებებთან იყოს დაკავშირებული ან აპენინებზე მთელი ზაფხულის განმავლობაში გამეფებულ ცხელ და უნიაველო ამინდთან.



❖ თაფლი ათასწლეულებსაც უძლავს

სწორი შენახვისას თაფლი თავის სასარგებლო თვისებებს არ კარგავს ასწლეულების და ათასწლეულების მანძილზეც.

❖ ინფარქტიც გადამდებია?

ამერიკელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ინფარქტი გადამდებია სქესობრივი გზით.

❖ ქლამიდიას ბაქტერია, რომელიც „ფეხს მოიკიდებს“ ადამიანის ორგანიზმში, უშვილობასა და სასქესო ორგანოების ანთებას, მხედველობის დაქვეითებასა და საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას იწვევს და, რაც მთავარია, ხელს უწყობს ინფარქტს.

სასარგებლო რჩევები



როგორ შევანალოთ დაზარაბის პროცესი

თუ თქვენ ყოველდღიურად მიირთმევთ ორ ჭიქა ნატურალურ ღვინოს, ორგანიზმს გაამდიდრებთ ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც, ერთი მხრივ, გულს დაიცავენ სხვადასხვა სპეციფიურ დაავადებათაგან, მეორე მხრივ, შეანელებენ დაბერების პროცესს.

გამანადგურებლად ზემოქმედებს იმ-
უნურ სისტემაზე უძილობა, რომელიც
ინვესსიის ნივთიერებათა ცვლის მოშლას,
დაბერების პროცესს აჩქარებს, ვნებს ტვი-
ნის უჯრედებს. ყოველივე ამას კი შედეგად
მოსდევს სწრაფი დაბერება.

❖ ვისაც ჩიხვი აწუხავს



განსაკუთრებით სასარ-
გებლოა კაკლის ხის მწვ-
ანე, ნორჩი ნაყოფი. ათი
დღის განმავლობაში
ყოველდღიურად საუზმემ-
დე ცოტა ხნით ადრე გა-
დაყლაპეთ თითო თხილი-
სოდენა კაკალი, რომლის
სამკურნალო თვისებები

დიდი ხანია ცნობილია. კაკალი მდიდარია
ვიტამინებითა და იოდით.

❖ შეიყვარეთ სიჩუმე

ყველაფერი, რაც ადამიანის ხმაზე მაღა-
ლია, მოქმედებს ნერვებზე და ვნებს ჯანმ-
რთელობას. ბიბლიის მიხედვით, ღმერთიც
კი სიჩუმეში გვეცხადება. სიჩუმე წმიდათა-
მიდა საჩუქარია. თითქმის ყველა დიდი
ალმოჩენა და ხელოვნების ქმნილება სიჩუმე-
ში შეიქმნა. სიჩუმე კურნავს, ამშვიდებს და
სულიერად ამდიდრებს ადამიანს მაშინ,
როდესაც სხვადასხვაგვარი ხმაური ინვესსი-
ის შეფერხებას ნერვული სისტემის მუშაობა-
ში, ავითარებს კუჭის წყლულოვან პრო-
ცესებს, ხელს უწყობს არტერიული წნევის
მატებას, ხდება დაღლილობის მიზეზი,
აბრკოლებს ნაკითხულის შეთვისებას და
დამახსოვრებას, ამცირებს შრომისუნარი-
ანობას, ინვესსიის სმენის დაქვეითებას და
არცთუ იშვიათად მის დაკარგვასაც კი.

❖ ნარევს გავიმარჯვოთ



თუ 1/3 ჩაის ჩიქა
ქარხლის წვეს გავაჩ-
ერებთ გრილ ადგილას
2-3 საათის განმავლო-
ბაში, დავამატებთ ამ-
დენივე ნატურალურ
თაფლს და დღეში 2-3-
ჯერ სუფრის კოვებით
მივიღებთ.

ახალი ამბები



ფრინველის ხორცისა და კვერცხის
მწარმოებელი კომპანია „დილა“ გაუყინავი ნედ-
ლი ქათმის სერიულ წარმოებას იწყებს. „დილ-
ამ“ პილოტური პროექტის განხორციელება უკვე
დაიწყო და ბაზარზე 15 ტონამდე ნედლი ქათა-
მი გამოიტანა და 1 კილოს 5,5 ლარად ყიდის.
სერიული წარმოების დაწყების შემდეგ მენეჯ-
მენტი თვეში 50 ტონამდე ქათმის რეალიზა-
ციას აპირებს, რომლითაც დედაქალაქის გარ-
და რეგიონებსაც მოამარაგებს. დღემდე „დილა“
თვეში 120-დან 150 ტონამდე გაყინულ ქათამს
ყიდდა. წარმოების გაფართოების ხარჯზე ექვს
თვეში „დილა“ მთლიანი ქათმის გარდა, ბაზ-
არზე ვაკუუმ მეთოდით დაფასებული ფრინვე-
ლის ცალკეული ნაწილებსაც გამოიტანს.



აპრილის დასაწყისში სიღნაღში საქონ-
ლის ხელოვნური განაყოფიერების ცენტრი გაიხ-
სნება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან
ნახევარი მილიონი დოლარი დაიხარჯა. ცენ-
ტრში ერთდროულად 10 ძროხის განაყოფი-
ერება მოხდება, რაც მომხმარებელს საშუალოდ
30 ლარი დაუჯდება. სოფლის მეურნეობის სამინ-
ისტროში ფიქრობენ, რომ ცენტრის ამუშევრა
კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ გამ-
ანაყოფიერებელს, რაც მომხმარებელს ადგილზე
მინიმუმ 50 ლარი უჯდება.



კომპანია „ბათოილმა“ ზეთის შემდეგ
მაიონეზისა და მარგარინის წარმოება გააძა-
რდა, რისთვისაც 1 მილიონი დოლარი ესაჭიროე-
ბა. სესხის ასაღებად „ბათოილი“ მოლაპარაკებებს
„ქართუ ბანკთან“ და „რესპუბლიკასთან“ აწარ-
მოებს. მაიონეზი, რომელიც სარეალიზაციო ქსელში
მზიურის ბრენდით გაიყიდება ადგილობრივ ბა-
ზარზე წარმოებულ მაიონეზთან შედარებით 10
%-ით იაფი ელირება. საწარმოო ხაზი „ბათოილ-
მა“ იტალიაში შეუკვეთა, რაც დაახლოებით 250
ათასი ევრო დაუჯდება. საწარმოს საათში ნახევარი
ტონა მაიონეზის წარმოება შეეძლება, რომელსაც
პირველი ეტაპისათვის მხოლოდ ადგილობრივ ბა-
ზარზე გაყიდის.

მაიონეზის გარდა „ბათოილი“ მარგარინის
სეგმენტშიც შედის, რომელსაც, ადგილობრივი
ბაზრის გარდა, თურქეთშიც გაყიდის. შეთ-
ანხმება 100 ტონა მარგარინის ექსპორტზე უკვე
მიღწეულია. საწარმო დღეში 10 ტონა მაიონ-
ეზის გამოშვებას გეგმავს, რომელიც იმპორტირე-
ბულთან შედარებით 10 %-ით იაფი ელირება.
მარგარინის საწარმოებლად საწარმოო ხაზის
შექმნა „ბათოილს“ 1 მილიონი ლარი დაუჯდება.

რუმინეთი უკან ღარბა, წინ რუსეთია...



აქართველოს ნაკრებმა, 14 მარტს გამართულ ევროპის ერთა თასის და ამავდროულად, რაგბის 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში,, რუმინეთი 28-23 დაამარცხა. მატჩს წინ უძღოდა დაძაბული შეხვედრები პორტუგალიასთან და ესპანეთთან. მანამდე ქართველებმა გერმანელი მორაგბეები იოლად დაამარცხეს, რასაც შემდეგ პორტუგალიელებთან მოულოდნელი ფრე მოჰყვა თბილისში. ქართველმა ბორჯღალოსნებმა თბილისში განცდილი წარუმატებლობისთვის შური მადრიდში იძიეს და ესპანელები 55-11 გაანადგურეს, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო. პირველი სერიოზული

გამოცდა ქართველებს რუმინეთთან ელოდა. რუმინელები ჩვენი ტრადიციული მეტოქეები არიან. ბოლო სამი წელია, მათ ზედიზედ ვამარცხებთ ყველა შეხვედრაში და ანთიმოზ ივერიელის თასიც საქართველოში რჩება. ეს გარდამავალი თასი 2002 წლიდან თამაშდება და ბოლო გამარჯვების შედეგად ბორჯღალოსნებმა ის მეოთხედ დაისაკუთრეს. რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, ის ძალზე მოულოდნელად დაიწყო. მეოთხე ნუთისთვის სტუმრები უკვე ათი ქულით დანინაურდნენ, თუმცა, პირველი ტაიმის შუაწელში ჩვენებმა უპირატესობა მოიპოვეს და ტაიმი 15-13 მოიგეს. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მალხაზ ურჯუკაშვილმა მესამედ დაამინა ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე და ქართველებმა



გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს. შეხვედრის მიწურულს რუმინელებმა შედეგიანად გაიბრძოლეს და ერთი ლელოს დადებაც მოახერხეს, მაგრამ ყველაფერი უკვე გადანწყვეტილი იყო: საქართველოს ნაკრებმა 28-23 პრინციპული მეტოქე მძიმე ბრძოლაში დაამარცხა. ჩვენმა ნაკრებმა შერკინებაშიც მოუმატა, ბურთის უშუალო გათამაშებაშიც და რაც მთავარია დერეფანშიც. რუმინელებთან შეხვედრაში ჩვენებმა თავიანთი ყველა აუტი მოიგეს, ხოლო რუმინელებს ექვსჯერ აჯობეს დერეფანში.

ქართველთა ნაკრები, ტიმ ლენის ხელმძღვანელობით ცდილობს შეეგუოს რაგბის ახალ წესებს და თამაში ისე დაგეგმოს, რომ ეს წესები თავისდა სასიკეთოდ გამოიყენოს. ჩვენს ნაკრებში ავსტრალიელი სპეციალისტის მოსვლისთანავე ცნობილი გახდა, რომ ის აპირებდა ეგრედწოდებული „ხაზის“ თამაშის გაძლიერებას. როგორც უკვე გამოჩნდა ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ მიმდინარეობს და ძლიერი შერკინებით ცნობილი საქართველოს ნაკრები ცდილობს ახალი, თანამედროვე და სწავი თამაშის ელემენტები შეიძინოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდში ძირეული რეფორმები ტარდება. მსოფლიო რაგბიში მიმდინარე ცვლილებები იმისაკენ მიგვანიშნებენ, რომ მხოლოდ ძალისმიერი თამაშით ფონს ვერ გავალთ. რაგბი ვითარდება და ამ განვითარებას ჩვენმა გუნდმაც უნდა შეუწყოს ფეხი.

საქართველოს ნაკრებს წინ უმთავრესი გამოცდა რუსეთის ნაკრებთან ელის. 22 მარტს უკრაინაში, მარიუპოლში, ნეიტრალურ მოედანზე ერთა თასის გათამაშების ფავორიტები შერკინებიან ერთმანეთს. ეს შეხვედრა გადანწყვეტს 2008 წლის ერთა თასის მფლობელის ვინაობას და მოგებულ გუნდს 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის ჩინებულ შანსს მისცემს. მაგრამ ქართველი მორაგბეებისათვის ეს შეხვედრა მეტია, ვიდრე უბრალო სპორტული ასპარეზი. ეს ქვეყნის პრესტიჟის და ეროვნული სიამყის განმტკიცების მატჩია. 22 მარტს მარიუპოლში დიდი რაგბი იქნება!

რატი შუბლაძე
დავით გორგილაძე

ინფორმაციური თამაში „ჩვენ უსწავლობთ ბიბლიას“

დაიწყო სარაიონო ეტაპი

ცაგერი. 15.03

გამარჯვებულები:

უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში — №1 საჯარო სკოლა, გუნდი „ხვამლი“

უფროს ასაკობრივ ჯგუფებში — ცაგერის წმიდა ილია მართლის გიმნაზია, გუნდი „ხვამლი“.

ლენტეხი. 15.03

გამარჯვებულები:

უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში — №2 საჯარო სკოლა, გუნდი „კიდობანი“

უფროს ასაკობრივ ჯგუფებში — №1 საჯარო სკოლა, გუნდი „ლაგუმედა“.

თბილისი. მთაწმინდა-პრნანისის რაიონი. 18.03

გამარჯვებულები:

უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში — №51 საჯარო სკოლა, გუნდი „ველაბტარი“

უფროს ასაკობრივ ჯგუფებში — №47 საჯარო სკოლა, გუნდი „მთანმინდა“.

